

საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი

სამართლის მეცნე


International Scientific Journal

Herald of Law

12/2021 N4
E ISSN 2667 - 9434



სამართლის მეცნიერთა კავშირი
UNION OF LAW SCIENTISTS



სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი

ზურაბ ჭყონია, პროფესორი, ადვოკატი

რედაქტორი

მაია ცქიტიშვილი, სამართლის დოქტორი

მისაელ ბრენერი, სამართლის დოქტორი, იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის გერმანული და ევროპული საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სამართლის პროფესორი (გერმანია)

ბერნდ ჰაინრიხი, სამართლის დოქტორი, თიუბინგენის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი (გერმანია)

ჰარალდ ქრისტინ შოი, სამართლის დოქტორი, პრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის პროფესორი (ჩეხეთი)

ქეთევან მჭედლიშვილი-ჭედრიანი, სამართლის დოქტორი, პროფესორი (გერმანია)
სოფიო ლინოვანა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ეროვნული საავიაციო უნივერსიტეტის (უკრაინა) იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლისა და პროცესის კათედრის გამგე

გიორგი თოდრია, სამართლის დოქტორი, პროფესორი

გია მეფარიშვილი, სამართლის დოქტორი, პროფესორი იუსტიციის გადამდგარი მთავარი სახელმწიფო მრჩეველი, უმაღლესი კვალიფიკაციის გადამდგარი მოსამართლე

ვალერი ხრუსტალი, სამართლის დოქტორი, პროფესორი

ჯემალ განოციძე, სამართლისა და პოლიტიკის დოქტორი, პროფესორი სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი

არჩილ ლორია, სამართლის დოქტორი, პროფესორი

გია ლილუაშვილი, სამართლის დოქტორი, პროფესორი

მალვა ქურდაძე, სამართლის დოქტორი, პროფესორი, ადვოკატი

ზვიად გაბისონია, სამართლის დოქტორი, პროფესორი

როინ მიგრიაული, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ადვოკატი

მერაბ ტურავა, სამართლის დოქტორი, პროფესორი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, საქართველოს

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე და სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატის თავმჯდომარე **ინგა ბერიძე**, სამართლის დოქტორი, ადვოკატი

ზურაბ ძლიერიშვილი, სამართლის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე

დოდო ჯულუხაძე, სამართლის დოქტორი, პროფესორი

ზურაბ მაცაბერიძე, სამართლის დოქტორი, პროფესორი

ნონა თოდუა, სამართლის დოქტორი, პროფესორი

ირმა მერებაშვილი, სამართლის დოქტორი, პროფესორი

ზაზა თავაძე, სამართლის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე

თამარ ვეფხვაძე, სამართლის დოქტორი, პროფესორი

გიორგი ხატიძე, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

გიორგი თუმანიშვილი, სამართლის დოქტორი, პროფესორი

ნინო ხუნაშვილი, სამართლის დოქტორი, პროფესორი

გივი აბაშიძე, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ადვოკატი

კატერინე ნინუა, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

დავით დოლიძე, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ლია ჭილაშვილი, სამართლის დოქტორი, პროფესორი

მარიამ მესხიშვილი-უფაძე, სამართლის დოქტორი, პროფესორი

გოჩა ოჩიგავა, სამართლის დოქტორი, პროფესორი

გიორგი ლორია, სამართლის დოქტორი, პროფესორი

ლია ადგიშვილი, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ბექა ქანთარია, სამართლის დოქტორი, პროფესორი

სერგო ჭელიძე, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

დავით ჯალაბაძე, სამართლის დოქტორი, ადვოკატი

გამოქვეყნებული სტატიის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. მისი პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის შეხედულებებს.

ჟურნალში ნაშრომები ქვეყნდება – creative commons ლიცენზიით (CC BY CA). აღნიშნული ლიცენზიის თანახმად შესაძლებელია ჟურნალში გამოქვეყნებული ნაშრომების გამოყენება ნებისმიერი, მათ შორის, კომერციული მიზნებისათვის, მაგრამ წყაროს მითითების ვალდებულებით. ამ ლიცენზიით ნებისმიერი პირი უფლებამოსილია გააზიაროს, გაავრცელოს, გაუკეთოს რეპროდუქცია ჟურნალს და ჟურნალის ნაწილებს, მაგრამ ასევე წყაროს მითითების ვალდებულებით (მათ შორის ვებგვერდის მისამართის).

ჟურნალი არის ბუდაპეშტის ლია ნვლომის ინიციატივის ხელმძღვანელი.

მთავარი რედაქტორი:
ზურაბ ჭყონია

რედაქტორი:
მაია ცქიტიშვილი

ტექნიკური რედაქტორი:
ლევან ყაშლაშვილი

ქართული ტექსტის კორექტორი:
მაკა ბურღიაშვილი

ინგლისური ტექსტის კორექტორი:
სალომე კუპატაძე

დიზაინი და დაკაბადონება:
თამარ შაჰპარაძე

ყდის დიზაინი:
გიორგი ლორია

თბილისი
12/2021 #4

E ISSN 2667-9434
www.heraldoflaw.com
Email: info@heraldoflaw.com



EDITORIAL BOARD

EDITOR IN CHIEF

Zurab Chkonia, Professor, attorney

EDITOR

Maia Tskitishvili, PhD in Law

Michael Brenner, PhD in Law, Professor of German and European Constitutional and Administrative Law at Friedrich-Schiller-University of Jena (Germany)

Bernd Heinrich, PhD in Law, Professor Faculty of Law at Eberhard-Karls-University Tübingen (Germany)

Harald Christian Scheu, doc. Dr. iur., Mag. phil., Ph.D. / Charles University, Prague (Czech Republic)

Ketewan Mtschedlishvili-Hädrich, PhD in Law, (Germany)

Sofiia Lykhova, Doctor of Juridical Sciences, Professor, Head of the Department of Criminal Law and Procedure of the Law Faculty of National Aviation University (Ukraine)

Giorgi Todria, PhD in Law, Professor

Gia Meparishvili, PhD in Law, Professor Faculty of Law at Caucasus International University, Retired main state adviser of Justice, Retired judge with supreme qualification

Valeri Khrustali, PhD in Law, Professor, Former First Deputy at Supreme Court of Georgia

Jemal Gakhokidze, Doctor of Law and Politics sciences, Professor, The former Minister of State Security Lieutenant General

Archil Loria, PhD in law, Professor

Gia Liluashvili, PhD in law, Professor

Shalva Qurdadze, PhD in law, professor, Attorney

Zviad Gabisonia, PhD in Law, professor

Roin Migriauli, PhD in Law, Professor, Attorney

Merab Turava, PhD in Law, Professor, President of the Constitutional Court of Georgia, Former Vice President and Chairman of the Chamber of Criminal Cases of the Supreme Court of Georgia

Inga Beridze, PhD in law, Attorney

Zurab Dzierishvili, PhD in Law, Professor, Judge of the Chamber of Civil Cases of the Supreme Court of Georgia

Dodo Julukhadze, PhD in Law, Professor

Zukhra Matsaberidze, PhD in Law, Professor

Nona Todua, PhD in Law, Professor

Irma Merebashvili, PhD in Law, Professor

Zaza Tavadze, Professor, Former President of the Constitutional Court of Georgia

Tamar Vepkhvadze, PhD in Law, associate Professor

George Khatidze, PhD in Law, Associate Professor

George Tumanishvili, PhD in Law, Professor (Czech Republic)

Nino Khunashvili, PhD in Law, Professor

Givi Abashidze, PhD in Law, Associated Professor, Attorney

Ekaterine Ninua, PhD in Law, Associated Professor

Davit Dolidze, PhD in Law, Professor

Lia Chiglashvili, PhD in Law, Professor

Marina Meskhishvili-Ephadze, PhD in Law, Professor

Gocha Ochigava, PhD in Law, Professor

Giorgi Loria, PhD in Law, Professor

lia adeishvili, PhD in Law, Associated Professor

Beka Kantaria, PhD in Law, Professor

Sergo Tchelidze, PhD in Law, Associated Professor

Davit Jalabadze, PhD in Law, Attorney

The authors of the articles published in this journal are each solely responsible for the accuracy of their respective articles.

Their respective views do not necessarily coincide with the views of the Editorial Board. The articles will be published under creative commons license (CC BY CA). According to this license, the published work may be used for any purposes, including commercial purposes, provided that the original source is indicated. This license permits any person to share, distribute, reproduce the journal or its parts, provided that the original source is appropriately indicated (including the address of web-page).

journal is a signatory to Budapest Open Access Initiative.

Chief Editor:

ZURAB CHKONIA

Editor:

MAIA TSKITISHVILI

Technical Editor:

LEVAN KAULASHVILI

Proof-reader of Georgian text:

MAKA BURDIASHVILI

Proof-reader of English text:

SALOME KUPATADZE

Design and Imposer:

TAMAR QAVZHARADZE

Design of Cover:

GIORGI LORIA

Tbilisi

12/2021 #4

E ISSN 2667-9434

www.heraldoflaw.com

Email: info@heraldoflaw.com

მთავარი რედაქტორის მისალმება	6
უკრაინელი მეცნიერის სოფიო ლოხოვაიას მოლოცვა	8
ღალი ლაგარაშვილი სამეწარმეო საზოგადოების რედომიცილება „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონის მიხედვით	10
დავით დოლიძე ციფრული კორპორაციული მართვა: განაწილებული რეესტრის ტექნოლოგია და ხელოვნური ინტელექტი, როგორც პროცესის დიგიტალიზაციის ძირითადი ფაქტორები	25
თამარ ავალიანი უხამსობის შეფასების ქართული ტესტი და საერთაშორისო გამოცდილება	49
ნინო ქათამაძე პირადი ჩანაწერი, როგორც პირადი ცხოვრების უფლების შემადგენელი კომპონენტი, პიროვნული უფლებების სამართლებრივი დაცვის ქრილში	67
ნინო ბოჭორიშვილი ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო რეგიონალური და უნივერსალური სახელმეკრულებო ორგანოები და მათი მნიშვნელობა	90
ზვიად გაბისონია სამომხმარებლო შეთანხმებების სამართლებრივი ბუნება სოციალურ ქსელებში	109
გიორგი გამხიტაშვილი მექრთამეობისა და ზეგავლენით ვაჭრობის გამიჯვნის პრობლემატური ასპექტები	124

Greeting of editor in chief	6
Congratulation from Ukrainian scientist, Sofio Likhova	8
LALI LAZARASHVILI Redomiciliation of Company According to New Law "On Entrepreneurs"	11
DAVID DOLIDZE Digital Corporate Governance: Distributed Registry Technology and Artificial Intelligence as Key Factors in Process Digitalization	26
TAMAR AVALIANI The Georgian Test of Assessment of Obscenity and International Experience	50
NINO QATAMADZE Personal Notes as an Integral Component of the Right to Privacy in the Context of Legal Protection of Personal Rights	68
NINO BOTCHORISHVLI International Regional and Universal Human Rights Treaty Bodies and Their Importance	91
ZVIAD GABISONIA Legal Nature of Social Media User Agreements	110
GIORGI GAMKHITASHVILI The Problematic Aspects of Differentiating Bribery and Influence Trading	125

მთავარი რედაქტორის მისალმება

ძვირფასო მკითხველო,
მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ ჟურნალის მეოთხე ნომერი

GREETING OF EDITOR IN CHIEF

Dear reader,
it is my pleasure to introduce you the fourth issue of the journal.



გამოცემაში მკითხველი გაეცნობა სამეცნიერო სტატიებს სხვადასხვა საინტერესო და აქტუალურ თემებზე.

მოგესვენებათ „სამართლის მაცნე“ გახლავთ ღია წვდომის ჟურნალი და მასში გამოქვეყნებული სტატიები არის ყველასათვის ხელმისაწვდომი სრულიად უსასყიდლოდ.

ჟურნალი „სამართლის მაცნე“ 2021 წლის ბოლოს ბუდაპეშტის ღია ხელმისაწვდომობის ინიციატივის (BOAI) საერთაშორისო დეკლარაციის ხელმომწერი მხარე გახდა, ხოლო მიმდინარე წლის იანვარში ჟურნალი „სამართლის მაცნეს“ გამომცემელი „სამართლის მეცნიერთა კავშირი“ ბერლინის ღია წვდომის დეკლარაციას შეუერთდა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალის წინა, მესამე ნომრის გამოცემიდან სულ რაღაც 6 თვეში, „სამართლის მაცნემ“ მიიღო კიდევ ახალი 7 ინდექსი და დღეისათვის ის უკვე 10 საერთაშორისო გლობალურ სამეცნიერო ბაზაშია შესული, რაც ჟურნალის და მისი გამომცემლის დიდ წარმატებად უნდა შეფასდეს.

ბაზების მეშვეობით ჟურნალი ასახულია მსოფლიოს ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელებში და წამყვანი უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებში, შესაბამისად ის ხელმისაწვდომია ნებისმიერი ქვეყნის მკითხველისათვის, ეს კი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სამართლის დარგში მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევების წარმოჩენას, საერთაშორისო საზოგადოებისათვის გაცნობას

The reader will find scientific articles on various interesting and topical subjects in the issue.

As you are aware, “Herald of Law” is an open access journal and the articles published in it are available to everyone free of charge.

The journal “Herald of Law” became a signatory to the Budapest Open Access Initiative Declaration (BOAI) at the end of 2021, and the publisher of journal “Herald of Law”, Union of Legal Scientists joined Berlin Declaration on Open Access in January of current year.

It should be underlined, that just 6 months after the publication of the previous, third issue of the journal, “Herald of Law” has received 7 new indexes and as of today, it is listed in 10 international global scientific databases, which should be considered a great success of the journal and its publisher.

Through the databases, the journal is listed in the electronic libraries and in the libraries of the leading universities of the world, therefore, it is available to the readers from any country, which greatly contributes to the demonstration, introduction to international society, and integration of important scientific researches in the field of law.

Notwithstanding the above, we keep working on the new achievements and work intensively to index the journal in other prestigious scientific databases too.

Moreover, it is important that the

და აღნიშნული კვლევების საერთაშორისო ინტეგრაციას.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ჩვენ არ ვჩერდებით მიღწეულზე და ინტენსიურად ვაწარმოებთ სამუშაოებს ჟურნალის ასევე სხვა პრესტიჟულ სამეცნიერო ბაზებში ინდექსაციის მიზნით.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზა ISI, რომელშიც ინდექსირდება „სამართლის მაცნე“ ახდენს ჟურნალის იმფაქტ-ფაქტორის გამოთვლას.

გარდა ზემოაღნიშნულისა ჟურნალის მესამე ნომრის გამოცემის შემდეგ „სამართლის მაცნესა“ და „სამართლის მეცნიერთა კავშირის“ თანაორგანიზებით საპილოტე პროექტ „ონლაინ სამეცნიერო დისკუსიების“ ფარგლებში გაიმართა ონლაინ საერთაშორისო სამეცნიერო დისკუსია თემაზე “აუცილებელი მოგერიების და უკიდურესი აუცილებლობის აქტუალური საკითხები სისხლის სამართალში.”

ღონისძიებაზე მოხსენებით წარსდგნენ: პროფესორი გუსტავო ბალმასედა ჰოიოს ჩილედან და სამართლის მეცნიერთა კავშირის წევრი, პროფესორი კახა წიქარიშვილი. შეგახსენებთ, რომ ეს გახლდათ პროფესორ გუსტავო ბალმასედას მეორე მოხსენება საპილოტე პროექტ „ონლაინ სამეცნიერო დისკუსიების“ ფარგლებში.

დისკუსიაზე მონაწილეებდნენ სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, ადვოკატები, მოსამართლე და იურისტები.

დასასრულს, მადლიერება და პატივისცემა მინდა გამოვხატო „საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული ქსელის კონსორციუმის“ და „ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის“ ორგანიზაციების მესვეურთა მიმართ ჟურნალის მეოთხე ნომრის სტატიების უსასყიდლოდ ანტიპლაგიატის პროგრამით შემოწმებისათვის.

ასევე მადლიერებას გამოვხატავ რეცენზენტებისა და ყველა იმ პირის მიმართ, რომლებიც მუშაობდნენ მეოთხე ნომრის გამოცემაზე.

International Science Database ISI, in which the “Herald of Law” is indexed, calculates the impact factor of the journal.

In addition to the above, after publication of the third issue of journal, online international scientific discussion on "Issues of Self-Defence and Extreme Necessity in Criminal Law" was co-organized by “Herald of Law” and Union of Legal Scientists within the framework of the pilot project "Online Scientific Discussions".

The presentations were made at the event by Professor Gustavo Balmaseda from Chile, and member of Union Legal Scientist Kakha Tsikarishvili. Representatives of scientific circles, attorneys, judges and lawyers participated in the discussion.

Finally, I would like to express my gratitude towards the leaders of “Georgia Integrated Library Information System Consortium” and “National Science Library” for checking the articles of the fourth issue of journal for plagiarism free of charge.

Moreover, traditionally, I would like to express my gratitude to the reviewers and all the people working on the publication of the fourth issue.



უკრაინელი მეცნიერის სოფიო ლოხოვაიას მოლოცვა

CONGRATULATION FROM UKRAINIAN SCIENTIST, SOFIO LIKHOVA

პირველ რიგში გილოცავთ ჟურნალ „სამართლის მაცნეს“ მეოთხე ნომრის გამოცემას.

ძვირფასო ქართველო კოლეგებო! ჩემთვის დიდი პატივია „სამართლის მაცნეს“ სარედაქციო კოლეგიის წევრობა.

ქართველი მეცნიერები ავლენენ მაღალ პროფესიონალიზმს და დრმა ცოდნას. ამაში დავრწმუნდი, როდესაც 2021 წლის დეკემბერში გავმართეთ ერთობლივი სამეცნიერო-პრაქტიკული მრგვალი მაგიდა, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც ქართველი, ისე უკრაინელი მკვლევარები, ეროვნული საავიაციო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლისა და პროცესის კათედრის წევრები. ჩვენმა ქართველმა კოლეგებმა წარმოადგინეს საქართველოს სისხლის სამართლის ძირითადი ტენდენციები, რომლებსაც, ისევე როგორც უკრაინის სისხლის სამართლის კანონმდებლობას, აქვს საკუთარი ეროვნული ტრადიციები, მაგრამ ამავე დროს შეესაბამება ევროპულ ნორმებსა და სტანდარტებს.

მსურს მაღლობა გადავუხადო სამართლის მეცნიერთა კავშირს იმისთვის რომ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან შეკრიბა საუკეთესო მეცნიერები. ეს ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას და ჩვენი ქვეყნების ერთმანეთთან დაახლოებას.

უნდა ავლინებო, რომ სამართლის მეცნიერთა კავშირის გამოცემა ჟურნალ „სამართლის მაცნეს“ მნიშვნელობის შეფასება რთულია. ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიები გამოირჩევიან განსახილველი პრობლემების აქტუალობით და იწვევენ დიდ

First of all, I would like to congratulate on publication of fourth issue of the journal “Herald of Law”.

Dear Georgian colleagues! It is a great honor for me to be a member of the editorial board of “Herald of the Law”.

Georgian scholars show high professionalism and profound knowledge. I was convinced of this when we held a joint scientific-practical roundtable in December 2021, which was attended by both, Georgian and Ukrainian researchers, members of the Department of Criminal Law and Procedure of the Faculty of Law of National Aviation University. Our Georgian colleagues presented the main trends in the Criminal Law of Georgia, which, similar to Criminal Law of Ukraine, has its own national traditions, but at the same time comply with European norms and standards.

I would like to thank the “Union of legal Scientists” for their useful work in bringing together scientists from around the world. This contributes to international cooperation and our countries, states of the whole world are becoming closer to each other.

I would like to note that it is difficult to evaluate the importance of journal “Herald of Law”, published by Union of legal Scientists. Articles published in the journal are outstanding in terms of the current nature of problematic topics and create great interest. Journal unites the best ideas and allows globalizing and generalizing them.

Apart from the quality of articles, I was introduced to the web-page of the journal which deserves high assessment too, as it is flexible and

ინტერესს. ჟურნალი აერთიანებს საუკეთესო იდეებს და იძლევა მათი გლობალიზაციის და განზოგადების საშუალებას.

გარდა სტატიების ხარისხისა მე გავეცანი ჟურნალის ვებ გვერდს, რომელიც ასევე იმსახურებს მაღალ შეფასებას, ვინაიდან ის გახლავთ მოქნილი და სრულიად მორგებული თანამედროვე მოთხოვნებზე. სრულად შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

ჩემი მხრიდან, მე როგორც ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი გამოვხატავ ჟურნალთან თანამშრომლობის მზაობას.

ჩემს ქართველ კოლეგებს მინდა ვუსურვო წარმატებები გრანდიოზულ საქმიანობაში და ვუსურვო რომ არასოდეს გაჩერდნენ. ჩვენ, უკრაინელ სამართლის მეცნიერებს, ყოველთვის გვიხარია თქვენთან კომუნიკაცია.

მშვიდობისკენ მიმავალი გზა მეცნიერებაზე გადის!

ღრმა პატივისცემით და საუკეთესო სურვილებით,

*იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, ეროვნული სააკადემიის
უნივერსიტეტის (კიევი, უკრაინა) იურიდიული
ფაკულტეტის სისხლის სამართლისა და
პროცესის კათედრის გამგე
სოფია ლიხოვაია*

adapted for modern demands and is in full compliance with modern demands.

As the member of the editorial board of the journal, I would like to express readiness for co-operation.

I would like to wish my Georgian colleagues success in their grandiose work and keeping achieving more. We, Ukrainian legal scholars, are always glad to communicate with you.

Through science to peace!

With deep respect and best wishes,

*Doctor of Juridical Sciences, Professor,
Head of the Department of Criminal Law
and Procedure of the Law Faculty
of National Aviation University (Kyiv, Ukraine)
Sofia Lykhova*

სამართლო საზოგადოების რედომიცილება „მენარმეთა შესახებ“ ახალი კანონის მიხედვით

ლალი ლაზარაშვილი

სამართლის დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის
სკოლის პროფესორი, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და
სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

ელფოსტა: l.lazarashvili@ug.edu.ge

აბსტრაქტი

ნაშრომში გამოკვლეულია რედომიცილების არსი და მნიშვნელობა, მისი განხორციელების წინაპირობები, რედომიცილების პროცესი, სამართლებრივი შედეგები და შესაბამისი პრობლემატიკა „მენარმეთა შესახებ“ 2021 წლის 2 აგვისტოს საქართველოს ახალი კანონის რეგლამენტაციის გათვალისწინებით.

სტატიაში გამოკვლეულია მხოლოდ რედომიცილების სამართლებრივი მხარე და არა რედომიცილებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, როგორცაა, მაგალითად, საგადასახადო დაბეგვრისა და საინვესტიციო საქმიანობის საკითხები, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ზოგადად, შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმი და მიმზიდველი საინვესტიციო გარემო საწარმოსთვის რედომიცილების განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოტივატორია.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ „მენარმეთა შესახებ“ ახალ კანონში რედომიცილება, ძირითადად რეგლამენტირებულია 1994 წლის 28 ოქტომბრის „მენარმეთა შესახებ“ კანონის მსგავსად. კერძოდ, მსგავსია რედომიცილების შინაარსი, რედომიცილების დამაბრკოლებელი გარემოებები, განხორციელების პროცესი, სამართლებრივი შედეგები. სრულყოფილი და მკაფიო სამართლებრივი რეგულირების მნიშვნელოვან ხელისშემშლელ გარემოებად უნდა მივიჩნიოთ რედომიცილების განხორციელების მკაფიო პროცედურის არარსებობა, რაც, თავის მხრივ, რედომიცილების პრაქტიკული განხორციელების ერთ-ერთი დამაბრკოლებელი ფაქტორია. გარდა ამისა, უცხოური კომპანიების ნაკლები ინტერესი რედომიცილების მიმართ ალბათ უნდა აიხსნას იმითაც, რომ საქართველოში ახალი კომპანიის დაფუძნება ან ფილიალის გახსნა უფრო მიმზიდველია დაფუძნების სიმარტივის გამო, ვიდრე რედომიცილება, რომელიც გაცილებით რთული სამართლებრივი პროცედურაა. სამომავლო ამოცანაა რედომიცილების სამართლებრივი ჩარჩოს გაძლიერება, კერძოდ, რედომიცილების განხორციელების მკაფიო წესისა და პირობების მომწესრიგებელი კანონქვემდებარე აქტის მიღება, რომელიც ახალმა მენარმეთა შესახებ კანონმა საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის ფორმით განსაზღვრა. ასევე მნიშვნელოვანია კომპანიის თანამშრომელთა მიმართ მათი უფლებების დაცვის შესაბამისი გარანტიების შემოღება რედომიცილების შემთხვევაში.

საკვანძო სიტყვები: გარდაქმნა, რეორგანიზაცია, ადგილსამყოფელი

Redomiciliation of Company According to New Law "On Entrepreneurs"

Lali Lazarashvili

*Doctor of Law, Professor at the School of Law at Georgian University,
Senior Staff Scientist at Tinatin Tsereteli Institute of State and Law*

Email: l.lazarashvili@ug.edu.ge

ტელეფონი
ლაზარაშვილი

ABSTRACT

This article investigates issues such as the essence and significance of re-domiciliation, preconditions for its implementation, the process of re-domiciliation, legal consequences and relevant problems in connection with the regulations of the new Law of Georgia on Entrepreneurs dated as of August 2, 2021.

For this purpose, the article investigates issues such as the essence and significance of re-domiciliation, preconditions for its implementation, the process of re-domiciliation, legal consequences and relevant problems in connection with the regulations of the new Law. This article deals solely with legal issues of re-domiciliation and not with other aspects, such as, for example, tax regime or investment activities, though it should be noted, that in general, a preferential tax regime and an attractive investment environment are one of the important motivators for implementation for enterprise re-domiciliation in the country.

The study revealed that the new Law on Entrepreneurs regulates re-domiciliation basically in the same way as the Law on Entrepreneurs dated as of October 28, 1994. In particular, the definition of re-domiciliation, the disturbing circumstances, the process of re-domiciliation, the legal consequences are similar. The lack of a clear procedure for the implementation of re-domiciliation should be considered as an important obstacle to comprehensive and clear legal regulation, which, in turn is one of the obstacles to the practical implementation of re-domiciliation. In addition, the less interest of foreign companies in re-domiciliation should probably be explained by the fact that starting a new company or opening a branch in Georgia is more attractive due to the simplicity of establishment than re-domiciliation, which is much more complicated procedure. The future task is to strengthen the legal framework of re-domiciliation, in particular, to adopt a bylaw in the form of instruction approved by the decree of Minister of Justice of Georgia, regulating the clear rules and conditions for the implementation of re-domiciliation as it is established under the new Law on Entrepreneurs. It is also important to introduce appropriate safeguards for the employees of the company in case of re-domiciliation.

KEYWORDS: Transformation, Reorganization, Residing Place

შესავალი

საქართველოს პარლამენტმა 2021 წლის 2 აგვისტოს მიიღო „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონი, რომელიც ამოქმედდა 2022 წლის 1 იანვრიდან. შესაბამისად, 2022 წლის 1 იანვრიდან ძალადაკარგულად ცხადდება მოქმედი, 1994 წლის 28 ოქტომბრის „მეწარმეთა შესახებ“ კანონი. „მეწარმეთა შესახებ“ ახალ კანონში შენარჩუნებულია რედომიცილების ინსტიტუტი, რომელიც ქართულ საკორპორაციო სამართალში 2008 წელს იქნა შემოღებული „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს 1994 წლის 28 ოქტომბრის კანონის მე-5⁷ მუხლში 2008 წლის 14 მარტის კანონით განხორციელებული ცვლილებებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს ინსტიტუტი ქართულ საკორპორაციო სამართალში 2008 წლიდან არსებობს, იგი ჯერ კიდევ დაუმუშავებელია. სწორედ რედომიცილების საბაზისო სამართლებრივი საკითხების გამოკვლევას ისახავს მიზნად აღნიშნული სტატია „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონის რეგლამენტაციის გათვალისწინებით. ამ მიზნით სტატიაში გამოკვლეულია რედომიცილების არსი და მნიშვნელობა, მისი განხორციელების წინაპირობები, რედომიცილების პროცესი, სამართლებრივი შედეგები და შესაბამისი პრობლემატიკა. სტატიის მიზანია მხოლოდ რედომიცილების სამართლებრივი მხარის გამოკვლევა და არა რედომიცილებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ანალიზი, როგორცაა, მაგალითად, საგადასახადო დაბეგვრისა და საინვესტიციო საქმიანობის საკითხები, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ზოგადად, შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმი და მიმზიდველი საინვესტიციო გარემო

ქვეყანაში საწარმოს რედომიცილების განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია.

1. რედომიცილების არსი და მნიშვნელობა

1.1. რედომიცილების მნიშვნელობა

საკორპორაციო სამართალი კორპორაციებს სხვადასხვა არჩევანის შესაძლებლობას სთავაზობს, მათ შორის ერთ-ერთია იმ იურისდიქციის არჩევა, სადაც კორპორაცია ფუნქცია¹, თუმცა კორპორაცია არ არის შეუძლებელი დაფუნქციონირების იურისდიქციით და შეუძლია გადავიდეს სხვა იურისდიქციაშიც. შესაბამისად, იურისდიქციათა კონკურენცია და რეგულაციური კონკურენცია² პირობებში არაერთი ქვეყანა ცდილობს, ხელსაყრელი საკორპორაციო-სამართლებრივი რეჟიმი შესთავაზოს კომპანიებს და ამით მოიზიდოს ისინი, რამდენადაც საწარმოების საქმიანობა ხელს უწყობს სახელმწიფოს შემოსავლების გაზრდას, ინვესტიციების მოზიდვას, კარგად ფუნქციონირებადი, მოქნილი და მიმზიდველი ბაზრის ფორმირებას, მთლიანობაში კი – ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდას. ამდენად, რედომიცილება მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ეკონომიკური კეთილდღეობის გაძლიერების თვალსაზრისით.

რედომიცილება მნიშვნელოვანია თავად კომპანიისთვისაც: იგი ხელს უწყობს კომპანიის სამეწარმეო საქმიანობის გაფართოებას, ახალი ბაზრების ათვისებას ბიზნეს-კონტაქტების დაკარგვის გარეშე, განსაკუთრებით იგი მიმზიდველია მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, რომელიც წა-

1 კრააკმანი, რ. და სხვები, 2019. საკორპორაციო სამართლის ანატომია. თბილისი: GIZ-ის გამოცემა, გვ. 32.

2 იქვე. გვ.33.

რმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკის ხერხემალს.³

რედომიცილებას იცნობს არაერთი ქვეყნის კანონმდებლობა, იგი საკმაოდ აქტუალურია ევროპული კავშირის ქვეყნებში* და არამარტო. მაგალითად, ოფშორული ქვეყნები, შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმის გათვალისწინებით, განსაკუთრებით მიმზიდველ პირობებს სთავაზობენ კომპანიებს რედომიცილებისთვის.⁴

1.2. რედომიცილება, როგორც საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილი მიმოსვლის თავისუფლების გამოვლინება საკორპორაციო სამართალში

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით განმტკიცებულია მიმოსვლის თავისუფლება, რომლის თანახმად, ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და საქართველოდან თავისუფ-

ლად გასვლის უფლება. იმავდროულად, საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის პირველი პუნქტით, კონსტიტუციაში მითითებული ადამიანის ძირითადი უფლებები, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე. სწორედ მიმოსვლის თავისუფლების იურიდიული პირების მიმართ გავრცელების გამოხატულებაა „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული რედომიცილება, რაც საწარმოს თავისუფალ გადაადგილებას გულისხმობს საქართველოდან სხვა ქვეყანაში და პირიქით. ამასთან, ფიზიკური პირისგან განსხვავებით, იურიდიული პირის მიმართ ტერმინ „მიმოსვლის“ ნაცვლად უფრო უპრიანია, გამოვიყენოთ სწორედ ტერმინი „გადაადგილება“, რამდენადაც სიტყვა „მიმოსვლა“ უფრო ფიზიკურ პირს მიემატება, ვიდრე იურიდიულ პირს.

1.3. რედომიცილების არსი

ტერმინი „რედომიცილება“ ეტიმოლოგიურად წარმოსდგება ლათინური სიტყვიდან *domicilium*, რომელიც ქართულად საცხოვრებელ ადგილს, ადგილსამყოფელს ნიშნავს⁵ და თავსართისგან *re-*, რაც მოქმედების განახლების, გამეორების აღმნიშ-

3 Commission Staff Working Document Impact Assessment Accompanying the document Proposal for a Directive of the European Parliament and of the Council amending Directive (EU) 2017/1132 as regards the use of digital tools and processes in company law and Proposal for a Directive of the European Parliament and of the Council amending Directive (EU) 2017/1132 as regards cross-border conversions, mergers and divisions, SWD/2018/141 final-2018/0113 (COD). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52018SC0141&from=EN>> [წვდომის თარიღი 25 ოქტომბერი 2021].

* ევროპულ საკორპორაციო სამართალში საწარმოთა გადაადგილების თაობაზე იხ. ლაბარაშვილი, ლ., 2020. საწარმოთა გადაადგილების თავისუფლება ევროპულ საკორპორაციო სამართალში და მისი მნიშვნელობა ქართული საკორპორაციო სამართლისთვის. შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 1, გვ.29-41.

4 Tax Havens and Development. NOU. Official Norwegian Reports, 2009.19. Oslo: Government Administration Services Information Management, გვ.15-16; 35-36.

5 WordSense Dictionary. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.wordsense.eu/domicilium/>> [წვდომის თარიღი 25 ოქტომბერი 2021].

ვნელია.⁶ შესაბამისად, რედომიცილება სიტყვასიტყვით შესაძლებელია განიმარტოს, როგორც ადგილსამყოფელის გადატანა, განახლება, შეცვლა. რედომიცილების მარეგლამენტირებელი ნორმა „მეწარმეთა შესახებ“ ახალ კანონში არის 77-ე მუხლი. ამ ნორმის პირველი და მე-3 პუნქტების მიხედვით, რედომიცილება გულისხმობს უცხო ქვეყნის საწარმოს რეგისტრაციის საქართველოში გადმოტანას ან საქართველოში რეგისტრირებული საწარმოს რეგისტრაციის უცხო ქვეყანაში გადატანას. ამდენად, რედომიცილება შესაძლებლობას იძლევა, ერთი მხრივ, საქართველოში რეგისტრირებული საწარმო „გამგზავროს“ სხვა ქვეყანაში, გახდეს ამ ქვეყნის „მოქალაქე“ და მეორე მხრივ, პირიქით, სხვა ქვეყანაში რეგისტრირებული საწარმო „წამოვიდეს“ ამ ქვეყნიდან საქართველოში და გახდეს საქართველოს „მოქალაქე“ კომპანია. საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაში მხედველობაშია სხვა ქვეყნიდან საქართველოში ან საქართველოდან სხვა ქვეყანაში საწარმოს რეგისტრაციის გადატანა და არა საწარმოს ფილიალის გახსნა, შვილობილი კომპანიის დაფუძნება ან ფაქტობრივი ადგილსამყოფელის გადატანა. საწარმოს რეგისტრაციის გადატანა სხვა ქვეყანაში, თავის მხრივ, ნიშნავს საწარმოს ამოწერას რეგისტრაციის ქვეყნის სამეწარმეო რეესტრიდან (იგულისხმება სახელმწიფო რეესტრი), სადაც რეგისტრირდება მეწარმე სუბიექტი, საქართველოში – მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი, ხოლო უცხო ქვეყანაში – ეკვივალენტური რეესტრი) ლიკვიდაციის გარეშე და იმავე საწარმოს რეგისტრაციას სხვა ქვეყნის შესაბამის რეესტრში.

„მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონის 77-ე მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, რედომიცილების აუცილებელი ნიშანია მეწარმის საქმიანობის უწყვეტობის დაურღვევლობა. აღნიშნული გულისხმობს,

რომ რედომიცილების შედეგად მეწარმის სამართალსუბიექტობა, უფლებები და მოვალეობები ნარჩუნდება. სხვაგვარად, რედომიცილების საფუძველზე სხვა ქვეყანაში გადაადგილებული საწარმო წარმოადგენს თავდაპირველი, რედომიცილებამდელი საწარმოს უფლებამონაცვლეს, ანუ მისი უფლებებისა და მოვალეობების მემკვიდრეს.

ამდენად, მეწარმის რედომიცილებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოში რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტი ამოეწერება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან და რეგისტრირდება ეკვივალენტურ რეესტრში სხვა ქვეყანაში, ან უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული მეწარმე ამოეწერება ამ ქვეყნის შესაბამისი რეესტრიდან და რეგისტრირდება საქართველოში, რა დროსაც სხვა ქვეყანაში გადაადგილებული მეწარმე წარმოადგენს თავდაპირველი, რედომიცილებამდელი მეწარმე სუბიექტის უფლებამონაცვლეს.

საყურადღებო საკითხია, ერთი მხრივ, თუ, კონკრეტულად, რომელ უცხო ქვეყანაში შეიძლება ქართული საწარმოს რედომიცილება და მეორე მხრივ, შესაბამისად, რომელი უცხო ქვეყნიდანაა შესაძლებელი საქართველოში საწარმოს რედომიცილება. პირველ საკითხზე პასუხს იძლევა „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონის 77-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად საქართველოში რეგისტრირებული მეწარმის რედომიცილება შესაძლებელია ნებისმიერ ქვეყანაში, რომელთანაც დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებით არ არის აკრძალული რედომიცილება (შდრ. 1994 წლის 28 ოქტომბრის „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-5⁷ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, სადაც ანალოგიური მოწესრიგებაა). რაც შეეხება საკითხს, თუ რომელი უცხო ქვეყნიდანაა შესაძლებელი საქართველოში მეწარმე სუბიექტის რედომიცილება,

6 უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1973. თბილისი: „განათლება“, გვ. 347.

კანონი არც ამასთან დაკავშირებით შეიცავს რაიმე შეზღუდვას. ნაცვალგების პრინციპიდან⁷ გამომდინარე, ამ შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს ის ქვეყანა, რომელიც ქართულ კომპანიებს აუკრძალავს რედომიცილებას.

1.4. რედომიცილების სუბიექტი

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 77-ე მუხლი რედომიცილების სუბიექტად განსაზღვრავს მეწარმეს, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში ან უცხო ქვეყანაში. მოცემულ შემთხვევაში, ერთი მხრივ, საყურადღებოა, თუ რა იგულისხმება საქართველოში რეგისტრირებული მეწარმის ცნებაში – ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მეწარმე სუბიექტი, ინდივიდუალური მეწარმის ჩათვლით, თუ მხოლოდ სამეწარმეო იურიდიული პირი. მეორე მხრივ, ასევე საყურადღებოა, თუ რა იგულისხმება უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული მეწარმის ცნებაში.

„მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონი მეწარმის ცნებაში სამეწარმეო საზოგადოებებთან ერთად ინდივიდუალურ მეწარმესაც მოიაზრებს (მაგ., მუხ.1.1, მუხ.2). მიუხედავად ამისა, 77-ე მუხლის ანალიზიდან გამომდინარე, რედომიცილება შეეხება მხოლოდ სამეწარმეო საზოგადოებებს, ანუ კომერციულ (სამეწარმეო) იურიდიულ პირებს. აღნიშნული დასკვნის გამოტანის

შესაძლებლობას იძლევა, ერთი მხრივ, მუხლის სახელწოდება („სამეწარმეო საზოგადოების რედომიცილება“), მეორე მხრივ, აღნიშნული მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის თანახმად, რედომიცილებაზე ვრცელდება სამეწარმეო საზოგადოების რეორგანიზაციის მარეგულირებელი ნორმები. თავის მხრივ, ამავე კანონის VIII თავი, რომელიც რეორგანიზაციას არეგულირებს, მხოლოდ სამეწარმეო საზოგადოებებზე ვრცელდება. ამდენად, საქართველოდან რედომიცილების შესაძლებლობით სარგებლობენ მხოლოდ სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირები (სამეწარმეო საზოგადოებები).

ევროპული საკორპორაციო სამართლის მოწესრიგებას თუ შევადარებთ ამ საკითხს, საგულისხმოა, რომ საწარმოთა გადაადგილების თავისუფლებით მოსარგებლე საწარმოს ტერმინი, ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 49-ე მუხლის მე-2 აბზაციდან და 54-ე მუხლიდან გამომდინარე, გულისხმობს სამოქალაქო სამართლისა და საკორპორაციო სამართლის გაერთიანებებს, გარდა არაკომერციული იურიდიული პირებისა, ასევე საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს.⁸ ნიშანდობლივია, რომ ევროპულ პრაქტიკაში გადაადგილების თავისუფლებას, ძირითადად, მეწარმე სუბიექტები მიმართავენ, რომელთა შორის შპს-ები სჭარბობენ.⁹

რაც შეეხება საკითხს, თუ რომელი სუბიექტი იგულისხმება უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული მეწარმის ცნებაში „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონის 77-ე მუხლის

7 ალექსიძე, ლ., 2010. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისი: გამომცემლობა „თბილისი“, გვ. 207-208.

8 Dorresteyn, A., Monteiro, T., Teichmann, Ch. and Werlauff, E., 2009. European Corporate Law. Austin, Boston, Chicago, New York, The Netherlands: Wolters Kluwer, გვ. 32.

9 Commission Staff Working Document Impact Assessment Accompanying the document Proposal for a Directive of the European Parliament and of the Council amending Directive (EU) 2017/1132 as regards the use of digital tools and processes in company law and Proposal for a Directive of the European Parliament and of the Council amending Directive (EU) 2017/1132 as regards cross-border conversions, mergers and divisions, SWD/2018/141 final-2018/0113 (COD). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52018SC0141&from=EN>> [წვდომის თარიღი 25 ოქტომბერი 2021].

მიხედვით, ამასთან დაკავშირებით ასევე საფიქრებელია, რომ მასში მოიპოვება სხვა ქვეყნების მხოლოდ სამეწარმეო საზოგადოებები და არა, მაგალითად, სხვა მეწარმე სუბიექტები ან არაკომერციული (არასამეწარმეო) იურიდიული პირები, რამდენადაც 77-ე მუხლის სათაური მხოლოდ სამეწარმეო საზოგადოებებს მიემართება.

საქართველოში საწარმოს რედომიცილებასთან დაკავშირებით ასევე საყურადღებოა შემდეგი საკითხი – რომელი სამართლებრივი ფორმით უნდა დარეგისტრირდეს საქართველოში რედომიცილებული უცხო ქვეყნის კომპანია? ეს საკითხი მარტივად წყდება იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოში რედომიცილებულ საწარმოს აქვს იგივე სამართლებრივი ფორმა, რომელსაც ქართული საკორპორაციო სამართალი ითვალისწინებს: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კოოპერატივი. თუმცა, შესაძლებელია, უცხოურ კომპანიას ჰქონდეს ისეთი სამართლებრივი ფორმა, რომელსაც ქართული სამართალი არ იცნობს. საგულისხმოა, რომ ქართულ საკორპორაციო სამართალში მოქმედებს მეწარმე სუბიექტების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ამომწურავი ჩამონათვალის დამდგენი პრინციპი – *numerus clausus*.¹⁰ სწორედ ამიტომ, „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონის 77-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოში რედომიცილებული მეწარმე შესაძლებელია დარეგისტრირდეს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრი-

ვი ფორმით. ამდენად, უცხოური საწარმო უნდა მოერგოს ქართული საკორპორაციო სამართალით შემოთავაზებულ სამეწარმეო საზოგადოებების ფორმებს და ფაქტობრივად, ამ შემთხვევაში ადგილი ექნება უცხო ქვეყნის კომპანიის გარდაქმნას ქართულ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმად. ნიშანდობლივია, რომ გარდაქმნას აქვს ადგილი იმ შემთხვევაშიც, როდესაც ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა იდენტურია, მაგალითად, უცხოური შპს ახდენს რედომიცილებას საქართველოში, რადგან ამ შემთხვევაში უცხოური შპს გარდაიქმნება ქართულ საწარმოდ. ამიტომაც არის, რომ რედომიცილებას სხვაგვარად საწარმოს საერთაშორისო გარდაქმნასაც (Cross-border conversion of a company) უწოდებენ.¹¹

ამდენად, რედომიცილების სუბიექტთან დაკავშირებით ახალი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 77-ე მუხლის რეგლამენტაცია 1994 წლის 28 ოქტომბრის „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-5⁷ მუხლის რეგლამენტაციის მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ ახალი კანონის 77-ე მუხლში სათაურშივე გამოტანილი ამ ურთიერთობის სუბიექტი, რაც აღსაქმელად უფრო მკაფიოს ხდის ამ საკითხს.

1.5. საწარმოს გადაადგილების სხვა ფორმები

რედომიცილება საწარმოს გადაადგილების ფორმაა, თუმცა არა ერთადერთი. საწარმოთა გადაადგილების თავისუფლება შესაძლებელია ასევე განხორციელდეს

10 ჭანტურია, ლ. და ნინიძე, თ., 2002. მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. თბილისი: „სამართალი“, გვ. 13.

11 მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2017 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე Polbud-Wukonawstwo(საქმის ნომერი C-106/16) [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=195941&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=982166>> [წვდომის თარიღი 25 ოქტომბერი 2021].

საწარმოს ფაქტობრივი გადაადგილების მეშვეობით, რომელიც ერთ ქვეყანაში რეგისტრირებული საწარმოს მიერ სხვა ქვეყანაში საქმიანობის განხორციელებას, ფაქტობრივი ადგილსამყოფელის დაფუძნებას ნიშნავს.¹² ამ შემთხვევაში საწარმო იურიდიულ მისამართს ინარჩუნებს რეგისტრაციის ქვეყანაში, ხოლო სინამდვილეში საქმიანობს სხვა ქვეყნის მისამართზე.¹³ რედომიცილებისას ადგილი აქვს სწორედ რეგისტრირებული იურიდიული მისამართის და არა ფაქტობრივი ადგილსამყოფელის გადატანას. აღნიშნული გულისხმობს, რომ ქართული საწარმოს რედომიცილების შემთხვევაში საწარმო ამოირიცხება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან და რეგისტრირდება სხვა ქვეყნის ეკვივალენტურ რეესტრში ან, პირიქით, უცხო ქვეყნის საწარმოს რედომიცილების შემთხვევაში ეს საწარმო ამოირიცხება სხვა ქვეყნის შესაბამისი რეესტრიდან და რეგისტრირდება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.

ევროპული საკორპორაციო სამართალი როგორც საწარმოს ფაქტობრივი ადგილსამყოფელის, ისე რეგისტრირებული მისამართის გადატანას მიაკუთვნებს ე.წ. პირველად დაფუძნებას.¹⁴ ასევე, მისი მიხედვით საწარმოთა გადაადგილების თავისუფლება შესაძლებელია განხორციელდეს ე.წ. მეორადი დაფუძნების მეშვეობით,¹⁵ მას მიეკუთვნება ერთ წევრ სახელმწიფოში რეგისტრირებული საწარმოს მიერ სხვა წევრ ქვეყანაში ფილიალის, წარმომადგენლობის ან შვილობილი კომპანიის შექმნა,¹⁶ რომლებიც ასევე საწარმოს გადაადგილე-

ბის ფორმებია. პირველადი დაფუძნებისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში საწარმო არ ემიგრირებს და რჩება დაფუძნების ქვეყნის „მოქალაქედ“, მხოლოდ აფართოებს თავისი საქმიანობის არეალს სხვა ქვეყანაში თავისი წარმომადგენელი სტრუქტურული ერთეულის გახსნით (ფილიალი, წარმომადგენლობა), ან სხვა ქვეყანაში აარსებს შვილობილ საწარმოს.

2. რედომიცილების დამაბრკოლებელი ბარემოებები

„მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონის 77-ე მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავს რედომიცილების დამაბრკოლებელ გარემოებებს, რომელთა არსებობისას დაუშვებელია საწარმოს გადაადგილება. გასამიჯნია, ერთი მხრივ, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოს რედომიცილების დამაბრკოლებელი გარემოებები და მეორე მხრივ, უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული საწარმოს საქართველოში რედომიცილების დამაბრკოლებელი გარემოებები.

2.1. საქართველოში რეგისტრირებული საწარმოს რედომიცილების დამაბრკოლებელი ბარემოებები

„მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონის 77-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოს რედომიცილება უცხო ქვეყანაში დაუშვებელია,

12 იქვე. გვ. 32.

13 იქვე. გვ. 32-33.

14 იქვე. გვ. 32-33.

15 Edwards, V., 1999. EC Company Law. New York: Oxford University Press Inc., გვ. 342.

16 იქვე. გვ. 342.

თუკი ერთ-ერთ შემდეგ გარემოებას აქვს ადგილი:

- იმ ქვეყანასთან საქართველოს მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებით, სადაც ქართული კომპანია ახდენს რეგისტრაციის გადატანას, აკრძალულია მეწარმის რედომიცილება;
- მეწარმის წინააღმდეგ საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო დავა;
- მეწარმის წინააღმდეგ საქართველოში მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის წარმოება;
- მეწარმის წინააღმდეგ საქართველოში მიმდინარეობს გადახდისუნარიანობის საქმის წარმოება;
- რედომიცილების მომენტში მეწარმეს საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიმართ გააჩნია საგადასახადო დავალიანება.

ამ შემთხვევაშიც ახალი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 77-ე მუხლის რეგლამენტაცია 1994 წლის 28 ოქტომბრის „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-5⁷ მუხლის რეგლამენტაციის მსგავსია, კერძოდ, რედომიცილების განხორციელების მსგავს დამაბრკოლებელ გარემოებებს ითვალისწინებს 1994 წლის 28 ოქტომბრის „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-5⁷ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.

ნათელია, რომ კანონმდებელი, ერთი მხრივ, პატივს სცემს სხვა ქვეყანასთან დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელიც კრძალავს ქართული მეწარმე სუბიექტის რედომიცილებას ამ ქვეყანაში. მეორე მხრივ, კანონმდებელი იცავს კრედიტორებისა და მესამე პირების ინტერესებს, რათა რედომიცილება არ იქნეს გამოყენებული, როგორც კომპანიის „გაქცევა“ პასუხისმგებლობისგან. მართალია, რედომიცილების შემდგომ მეწარმე ინარჩუნებს უფლებებსა და მოვალეობებს და ამ შემთხვევაშიც შეიძლება მის მიმართ

შესაბამისი წარმოების განხორციელება, თუმცა სხვა ქვეყანაში მეწარმის ემიგრაცია გარკვეულად ართულებს და ხარჯიანს ხდის მასთან სამართლებრივ ურთიერთობებს. ამიტომ არის, რომ, კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, კომპანიას ეკრძალება რედომიცილება, თუკი მის წინააღმდეგ საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო დავა. ამ შემთხვევაში მხედველობაშია როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციული სამართალწარმოებით მიმდინარე დავა. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ დავაში აღნიშნული მეწარმე უნდა მონაწილეობდეს მოპასუხის პროცესუალური სტატუსით, რადგან ზემოაღნიშნული ნორმა ითხოვს საწარმოს წინააღმდეგ დავის წარმოებას, ხოლო მხარე, რომლის წინააღმდეგაც დავა წარმოებს, სწორედ მოპასუხეა. ამდენად, დავები, სადაც კომპანია არის მოსარჩელე, კანონის აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, არ უნდა იყოს რედომიცილებისთვის ხელის შემშლელი, აქ კომპანია თავად გადაწყვეტს, მოახდინოს თუ არა რედომიცილება დავის დასრულებამდე. დავის გაგრძელების შესაძლებლობა რედომიცილებულ კომპანიას არ ეკარგება, იგი დავას გააგრძელებს რედომიცილებამდელი კომპანიის, ანუ მოსარჩელის საპროცესო უფლებამონაცვლედ, რადგან, როგორც აღინიშნა, რედომიცილება რეორგანიზაციის სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს, ე.ი. კომპანიათა უფლებამონაცვლეობა დასაშვები ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე. ცალკეა გამოყოფილი საწარმოს წინააღმდეგ სისხლის სამართლის წარმოების მიმდინარეობა, რაც ასევე რედომიცილების დამაბრკოლებელი გარემოებაა. ასევე ცალკეა გამოყოფილი სახელმწიფოს, როგორც კრედიტორის ფისკალური ინტერესები.

2.2. სხვა ქვეყანაში რეგისტრირებული საწარმოს საქართველოში რედომიცილების დამაბრკოლებელი გარემოებები

„მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონის 77-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი გამოჰყოფს სხვა ქვეყანაში რეგისტრირებული საწარმოს საქართველოში რედომიცილების ერთადერთ დამაბრკოლებელ გარემოებას – როდესაც ამ ქვეყანასთან დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებით აკრძალულია მეწარმის რედომიცილება. თუმცა, ასევე ნათელია, რომ მეწარმე, რომელიც საქართველოში გადაწყვეტს რედომიცილებას, უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამისი უცხო ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილ რედომიცილების მოთხოვნებს, საიდანაც საქართველოში ემიგრირებს. ამ საკითხზეც ახალი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 77-ე მუხლის რეგლამენტაცია 1994 წლის 28 ოქტომბრის „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-5⁷ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის რეგლამენტაციის მსგავსია.

3. რედომიცილების პროცესი

„მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონი, 1994 წლის 28 ოქტომბრის კანონის მსგავსად, არ შეიცავს რედომიცილების განხორციელების პროცედურული საკითხების კონკრეტულ მოწესრიგებას. ამ საკითხების განსაზღვრას ახალი კანონის 77-ე მუხლის მე-5 პუნქტი ითვალისწინებს „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ“ იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით, რომელშიც ამ საკითხზე შესაბამისი ცვლილებები ჯერჯერობით შეტანილი არ არის. 1994 წლის

28 ოქტომბრის კანონის მე-5⁷ მუხლის მე-5 პუნქტი ამ საკითხების განსაზღვრას ითვალისწინებდა მთავრობის დადგენილების მიერ, რომელიც დღემდე არ არის მიღებული.

არც ახალი კანონის გარდამავალ დებულებებშია აღნიშნული ინსტრუქციაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის კონკრეტული თარიღი. თუმცა, ახალი კანონი, 1994 წლის კანონის მსგავსად, იძლევა ორიენტირს, რის საფუძველზეც რედომიცილების პროცესის ძირითადი ეტაპების გამოკვეთა შესაძლებელია. კერძოდ, რედომიცილების პროცესისთვის ნათელის მოსაფენად ამოსავალია ის გარემოება, რომ რედომიცილება არის რეორგანიზაციის ერთ-ერთი ფორმის – გარდაქმნის გამოვლინება. სწორედ ამის გათვალისწინებით, ქართული კომპანიების რედომიცილების პროცედურისთვის მეტ-ნაკლებად ნათელის მოსაფენად სწორედ გარდაქმნის პროცედურა არის მხედველობაში მისაღები.

„მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონის 60-64-ე მუხლები გამოჰყოფს სამეწარმეო საზოგადოების რეორგანიზაციის პროცესის შემდეგ ძირითად ეტაპებს:

- პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების მიღება საზოგადოების რეორგანიზაციის შესახებ (მუხ.60-61);
- აღნიშნული გადაწყვეტილების გამოქვეყნება (მუხ.63);
- აღნიშნული გადაწყვეტილების რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში (მუხ.64).

სწორედ ამ ეტაპების დაცვაა საჭირო საწარმოს რედომიცილების შემთხვევაშიც, რა თქმა უნდა, რედომიცილების სპეციფიკის გათვალისწინებით.

„მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონის 77-ე მუხლის მე-5 პუნქტი ითვალისწინებს რედომიცილების კონკრეტული წესისა და პირობების განსაზღვრას „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდი-

 17. Pratyush, R., 2012. *Obscenity: Analysis of Indian and US Laws*. [online] available at: <SSRN:<https://ssrn.com/abstract=2057442>> [Accessed 10 September 2021]. (in English)
 18. Okruashvili, M. and Kotetishvili, I., 2005. *Freedom of Expression in US and Europe*, first volume, Tbilisi: Freedom Institute, p.68. (in Georgian)
 19. Decision of US Supreme Court *Miller v. California*, 21/06/1973, 413 U.S. 15. (in English)
 19. *Miller v. California*, 1973. Decision of US Supreme Court California. 413 U.S. 15. (in English)
 20. Decision of US Supreme Court *Pope v. Illinois* 4/05/1987, 481 U.S. 497. (in English)
 21. Staal, L., 1988. *First Amendment - The Objective Standard for Social Value in Obscenity Cases*. 78 *J. Crim. L. and Criminology* 735. [online] available at: <<https://scholarlycommons.law.northwestern.edu/cgi/viewcontent.cgi?article=6569&context=jclc>> [Accessed 10 September 2021]. (in English)
 22. District Attorney, et al. No. 71-1051 SUPREME COURT OF THE UNITED STATES. 1973, 413 US 49. (in English)
 23. Decision of US Supreme Court *Paris Adult Theatre I v. Slaton*, 21/06/1973, 413 U.S. 49. (in English)
 24. Ginsberg, V., 1968. Decision of US Supreme Court. *New York*, 390 U.S. 629. (in English)
 25. McLawhorn, R., 1986. *Attorney General Commission Report on Pornography* [online] available at: <<https://epublications.marquette.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2396&context=lng>> [accessed 19 September 2021]. (in English)
 26. Stanley, V., 1969. Decision of US Supreme Court, *Georgia*, 394 U.S. 557. (in English)
 27. Cohen, V., 1971. Decision of US Supreme Court, *California*, 403 U.S. 15. (in English)
 28. Strauss, M., 1991. *Redefining the Captive Audience Doctrine*, 19 *Hasting Const.L.Q.* 85, p. 85. [online] available at: <https://repository.uchastings.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1481&context=hastings_constitutional_law_quaterly> [Accessed 14 October 2021]. (in English)
 29. Malik, O., 2013. *The Captive Audience Doctrine: Protecting the Unwilling Listener's Right to Privacy from Unwanted Speech*. [online] available at: <https://ablawg.ca/wp-content/uploads/2013/12/Blog_OM_TY_Captive-Audience-Doctrine_December-2013.pdf> [accessed 14 October 2021]. (in English)
 30. Lederman, A. D., 1995. *Free Choice and the First Amendment or Would You Read This If I Held it in Your Face and Refused to Leave ?*, 45 *Case W. Rsrv. L. Rev.* 1287. [online] available at: <<https://scholarlycommons.law.case.edu/caselrev/vol45/iss4/34>> [accessed 17 September 2021]. (in English)
 31. Ibid.
 32. Strauss, M., 1991. *Redefining the Captive Audience Doctrine*, 19 *Hasting Const.L.Q.* 85, p. 85. [online] available at: <https://repository.uchastings.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1481&context=hastings_constitutional_law_quaterly> [Accessed 14 October 2021]. (in English)
 33. CORBIN, C., 2009. *THE FIRST AMENDMENT RIGHT AGAINST COMPELLED LISTENING*. Vol 89:939, p. 944. [online] available at: <<https://www.bu.edu/law/journals-archive/bulr/volume89n3/documents/CORBIN.pdf>> [Accessed 14 October 2021]. (in English)
 34. Ibid.
 35. Holderness, C.G., Jensen, M.C. and Meckling, W.H., 2000. *The Logic of the First Amendment* p. 31. Harvard Business School NOM Unit Working Paper No. 00-01. [online] available at: <SSRN:<https://ssrn.com/abstract=215468>> [Accessed 10 September 2021]. (in English)
 36. Decision of US Supreme Court, *Cohen v. California*, 403 U.S. 15, 21. (in English)
 37. Ibid.
 38. Ibid.
 39. Ibid.
 40. Malik, O., 2013. *The Captive Audience Doctrine: Protecting the Unwilling Listener's Right to Privacy from Unwanted Speech*. [online]

- available at: <https://ablawg.ca/wp-content/uploads/2013/12/Blog_OM_TY_Captive-Audience-Doctrine_December-2013.pdf> [Accessed 10 September 2021]. (in English)
41. Decision of US Supreme Court Kovacs v. Cooper, 31/01/1949, 336 U.S. 77. (in English)
 42. Decision of US Supreme Court, Adult Theatre I v. Slaton, 21/06/1973, 413 U.S. 49. (in English)
 43. Ibid.
 44. Decision of US Supreme Court, Young v., 1976. American Mini Theatres, Inc., 427 U.S. 50. (in English)
 45. Decision of US Supreme Court, Adult Theatre I v. Slaton, 21/06/1973, 413 U.S. 49. (in English)
 46. Bychawska-Siniarska, D., 2017. Protecting the Right to Freedom of Expression under the European Convention of Human Rights, A Handbook for Legal Practitioners, Council of Europe, p. 58. (in English)
 47. Guide on Article 10 of the European Convention on Human Rights, Freedom of expression, Updated –31 August 2020. p. 96. (in English)
 48. European Court of Human Rights, Mouvement Raëlien suisse v. Switzerland, 13/07/2012, application 16354/06. (in English)
 49. Decision of US Supreme Court Miller v. California, 21/06/1973, 413 U.S. 15. (in English)
 50. European Court of Human Rights Handyside v. UK, 7/12/1976, application 5493/72. (in English)
 51. Ibid.
 52. Freedom of Expression in the US and Europe, volume 1, Freedom Institute, Tbilisi, 2005, p.140. (in English)
 53. Ibid.140.
 54. European Court of Human Rights Handyside v. UK, 7/12/1976, application 5493/72. (in English)
 55. European Court of Human Rights, CASE OF SAVVA TERYTYEV v. RUSSIA, 28/08/2018, application, 25147/09. (in English)
 56. European Court of Human Rights, CASE OF MURAT VURAL v. TURKEY 21/10/2014, 9540/07. (in English)
 57. Gotsiridze, E., 2007. Dissertation „Freedom of Expression in the context of gust balance of conflicting Values (According to the European Convention and ECHR case law)", TSU, Institute of International Law, Tbilisi: p. 426. (in Georgian)
 58. Okruashvili, M. and Kotetishvili, I., 2005. Freedom of Expression in US and Europe, first volume, Tbilisi: Freedom Institute, p. 140. (in Georgian)
 59. Vereinigung Bildender Künstler v. Austria, 25 January 2007. [online] available at: <<https://globalfreedomofexpression.columbia.edu/cases/vereinigung-bildender-kunstler-v-austria/>> [Accessed 10 September 2021]. (in English)
 60. Decision of Constitutional Court of Georgia, 20 December 2013 (case N. N1/7/561, 568). (in English)
 61. Decision of Constitutional Court of Georgia, 10 November 2009 (case N.1/3/421,422). (in English)
 62. Decision of Constitutional Court of Georgia, 18 April 2011 (case N.2/482,483,487,502). (in English)
 63. Decision of Constitutional Court of Georgia, 10 November 2009 (case N.1/3/421,422). (in English)
 64. Decision of Constitutional Court of Georgia, 7 August 2019, (case N. 1/7/1275). (in English)
 65. Law on „Freedom of speech and Expression" [online] available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=6>> [Accessed 25 September 2021]. (in English)
 66. Law on „Freedom of speech and Expression" [online] available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=6>> [Accessed 25 September 2021]. (in English)

პირადი ჩანაწერი, როგორც პირადი ცხოვრების უფლების შემადგენელი კომპონენტი, პიროვნული უფლებების სამართლებრივი დაცვის ჟრილში

ნინო ქათამაძე

სამართლის დოქტორი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი და ამავე უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

ელფოსტა: ninoqatamadze20@gmail.com

აბსტრაქტი

პიროვნული უფლებების სამართლებრივი შინაარსის უკეთ წვდომისა და დაცვის მექანიზმების სრულყოფის პროცესში განსაკუთრებით საინტერესოა პიროვნული უფლებებით დაცული ცალკეული სფეროების ანალიზი, განსაკუთრებით კი ლეგიტიმური მიზნის შესაბამისად პირადი ცხოვრების უფლებით დაცულ ამ სფეროში ჩარევის მართლზომიერების შემოწმება. სამართლებრივი პრობლემის სრულყოფილი წვდომისთვის მნიშვნელოვანია პირადი ცხოვრების უფლების განხილვა როგორც საჯარო, ისე კერძოსამართლებრივი განზომილების ფარგლებში და მათი ურთიერთმიმართების დადგენა.

პიროვნული უფლებების და განსაკუთრებით პირადი ცხოვრების მრავალმასშტაბიანი და რთული მოცულობიდან გამომდინარე, დაცულ სფეროში ჩარევის ლეგიტიმურობის შესამოწმებლად მიზანშეწონილია საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული გამოიყენოს კრიტერიუმის – კერძოდ, იურიდიულ დოქტრინაში ცნობილი სფეროთა თეორიის გამოყენება. თეორია საშუალებას იძლევა პირადი ცხოვრების უფლება განაწილებულ იქნეს სხვადასხვა განზომილების ფარგლებში დაცვის განსხვავებული სტანდარტების უზრუნველყოფით. ამასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზს კი სააშკარააზე გამოაქვს ყველა ის სირთულე, რომელიც ცალკეული შემთხვევების კონკრეტულ (კერძოდ და ინტიმურ) სფეროში მოთავსებას უკავშირდება, რათა დადგინდეს შესაძლებელია თუ არა პირადი ჩანაწერის აბსოლუტურად დაცულ ინტიმურ სფეროდ მოსაზრება.

დოქტრინალური ანალიზის შედეგად იკვეთება სხვადასხვა მოსაზრება, რომელიც აფერხებს საკითხის ირგვლივ ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას. კვლევა ეფუძნება იურიდიული დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზს. ნაშრომში წარმოჩენილია სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის მიერ შემუშავებული კონცეპტუალური მიდგომები და ქართული საკანონმდებლო მონესრიგების პერიპეტიები შედარებითსამართლებრივ ჭრილში, რათა დადგინდეს, სარგებლობს თუ არა პირადი ცხოვრების კონკრეტული სფეროები აბსოლუტური დაცვით და რა გარემოებები იძლევა აღნიშნულ სფეროში ლეგიტიმურად ჩარევის შესაძლებლობას.

საკვანძო სიტყვები: კერძო, პიროვნული, სფერო

Personal Notes as an Integral Component of the Right to Privacy in the Context of Legal Protection of Personal Rights

Nino Qatamadze

Doctor of Law, Head of Quality Assurance Office at Sulkhani-Saba Orbeliani University and Associate Professor at the Same University, Faculty of Law

Email: ninoqatamadze20@gmail.com

Abstract

In the process of better understanding the legal essence of personal rights and perfecting mechanisms for protection, it is especially interesting to analyze certain areas protected by personal rights, especially to check the legitimacy of interference in this area protected by the right to privacy. For the purposes of understanding fully the legal problem, it is important to consider the right to privacy in both, public and private dimensions and to establish their relationship.

Given the large-scale and complex scope of personal rights and especially right to personal life, it is appropriate to use a separation criteria proven in international practice to test the legitimacy of interference in a protected area. In particular, the application of the field theory known in legal doctrine. The theory allows to analyze the right to privacy within different dimensions by providing different standards of protection. The analysis of the related case law brings to light all the difficulties related to the placement of individual cases in a specific (private and intimate) area, in order to determine whether it is possible to consider a personal notes as an absolutely protected intimate area.

Doctrinal analysis reveals different views, which hinders the formation of a uniform case law around the issue.

The research is based on the analysis of legal doctrine and case law. The paper presents the conceptual approaches developed by different legal systems and the vicissitudes of Georgian legislation in a relatively legal context to determine whether specific areas of private life enjoy absolute protection and what circumstances allow legitimate interference in this area.

KEYWORDS: Private, Personal, Field

შესავალი

პიროვნული საწყისი სამოქალაქო სამართალში ყველაზე მეტად აისახება პირად უფლებებში, რომლებიც პიროვნებასა და ადამიანის შინაგან სფეროს მჭიდროდ უკავშირდება.¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში – სსკ) პირველი მუხლი, რომელიც კოდექსის მოქმედების სფეროს განსაზღვრავს, მოწესრიგების ერთ-ერთ საგნად პირად არაქონებრივ ურთიერთობებსაც უთითებს. პიროვნული უფლებები, რომლებიც პიროვნების ღირსების დაცვის იდეიდან იღებენ სათავეს, უპირველეს ყოვლისა, ცალკეული ინდივიდების არამატერიალური სიკეთის დაცვისკენაა მიმართული.² ეს უფლებები, პიროვნებასთან მჭიდრო კავშირის გამო, განამტკიცებენ ადამიანის, როგორც კერძო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის სტატუსს საზოგადოებაში და ემსახურებიან მისი პიროვნების პატივისცემისა და ინდივიდუალობის (იდენტობის) დაცვას.³

დასავლეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის მიერ ჩამოყალიბებული და სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებული ზოგადი პირადი არაქონებრივი უფლებებიდან საქართველოს სამოქალაქო კო-

დექსმა შეარჩია ყველაზე მნიშვნელოვანი და ზოგად დებულებებში მოათავსა ის, სადაც ფიზიკური პირის სტატუსია განმტკიცებული.⁴ სსკ-ის მე-18 მუხლი ჩამოთვლის სასამართლოში დაცვის ღირს ინტერესებს ცალ-ცალკე, როგორებიცაა: სახელის უფლება (I ნაწილი), გამოსახულების უფლება (V ნაწილი), პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება და საქმიანი რეპუტაცია (II ნაწილი). პიროვნული უფლებების მოწესრიგების ქართული მოდელი მნიშვნელოვნად განსხვავდება გერმანული ზოგადი პიროვნული უფლების მომწესრიგებელი ჩარჩო დებულებისა და ანგლოამერიკული სამართლის პირმო პირადი ცხოვრების უფლების (Right of Pivacy), ასევე ზოგადაბსტრაქტული მოწესრიგებისგან*, რადგან ის ცალკეული პიროვნული უფლებების რეგულირებით შემოიფარგლება. ამ პირობებში ყურადღების მიღმა რჩება პიროვნულობის ისეთი მნიშვნელოვანი მახასიათებლები, როგორებიცაა: ადამიანის ხმა, ქესტიკულაცია, უფლება წარმოთქმულ სიტყვაზე და ა.შ. ამასთან, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება ზოგადი პიროვნული უფლების აღიარების თაობაზე,⁵ რომელიც სსკ-ის მე-18 მუხლის შინაარსობრივი გააზრებით ზოგადად უნდა მოიცავდეს სა-

- 1 ბიჭია, მ., 2017. პირადი უფლებების ხელყოფისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან. თბილისი: სამართლის ჟურნალი, (1), გვ. 4.
- 2 Rixecker, R., 2018. Münchener Kommentar zum BGB. Allgemeine Persönlichkeitsrecht, §12, Band 1, 7. Auflage, München: Rn. 35.
- 3 კერესელიძე, დ., 2009. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები. თბილისი: ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, გვ. 131.
- 4 ჭანტურია, ლ., 1997. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. თბილისი: გვ.190.
- * აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დეტალურად იხ. ქათამაძე, ნ., 2020. დისერტაცია პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის სამოქალაქო სამართლებრივი მექანიზმი. თბილისი: ხელმისაწვდომია: <https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi5/Nino_Katamadze.pdf> [წვდომის თარიღი 26 იანვარი 2021]. გვ. 32-37.
- 5 იხ. კერესელიძე, დ., 2009. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები. თბილისი: ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, გვ. 137; შდრ. ბიჭია, მ., 2012. პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით. თბილისი: ბონა კაუზა, გვ. 126.

ქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, ასევე მათგან გამომდინარე ცალკეულ ფასეულობებს.

პიროვნულ უფლებებზე მსჯელობისას ყურადღებას იმსახურებს პირადი ჩანაწერის, როგორც პიროვნების შინაგანი აზრების და საკუთარ თავთან წარმოებული დიალოგის წერილობითი ფორმით ასახული მატერიის პიროვნული უფლებებით დაცულ სფეროსადმი მიკუთვნებისა და მასზე სამართლებრივი დაცვის განხორციელების საკითხები. ვინაიდან აღნიშნული უფლება ცალკე არ არის რეგულირებული სსკ-ის მე-18 მუხლში, მასზე მსჯელობა საქართველოს კონსტიტუციის დებულებებზე დაყრდნობით უნდა წარიმართოს, რაც ბუნებრივად აჩენს კონსტიტუციურსამართლებრივი და სამოქალაქოსამართლებრივი პიროვნული უფლებების მიმართების დადგენის საჭიროებას, ასევე სამოქალაქოსამართლებრივ სიბრტყეში პიროვნული უფლებებით დაცული სფეროების განხილვისა და ბოლოს, დაცულ სფეროში ჩარევის მართლზომიერებისა, საკითხის შესწავლის საჭიროებას.

წინამდებარე სტატიის მიზანია პიროვნული უფლებებით დაცული სფეროების ერთმანეთისგან გამიჯვნა და პირადი ჩანაწერის, როგორც პირადი ცხოვრების უფლების ერთ-ერთი კომპონენტის დაცვის სამართლებრივი მექანიზმის, უკეთ გააზრება კერძო და საჯაროსამართლებრივი განზომილების ფარგლებში და ამ თემატიკის თაობაზე სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული დისკურსის ანალიზი.

ნაშრომი ეფუძნება შედარებითსამართლებრივ, ნორმატიულ და სისტემური კვლევის მეთოდებს, უპირატესად გერმანულ სამართალში არსებული მიდგომების გათვალისწინებით ანგლო-ამერიკული სამართლის ოჯახის ქვეყნებში არსებულ მოწესრიგებასთან შედარების შედეგად.

პირადი ცხოვრების უფლების კერძო და საჯაროსამართლებრივი ცნებების მიმართება

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი იცავს ისეთი სიკეთების ხელშეუხებლობას, როგორებიცაა: ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება, პირადი სივრცე და კომუნიკაცია*. ამ კონტექსტში ნახსენები პირადი ცხოვრება“ მოიცავს ყველა სხვა კომპონენტს, რაც პირდაპირ არ არის მოხსენიებული კონსტიტუციის მე-15 მუხლში⁶. ზოგადი ხასიათის მქონე ტერმინ „პირად ცხოვრებას“ სხვა დატვირთვაც გააჩნია. საზოგადოების განვითარების კვალობაზე ჩნდება ადამიანური ცხოვრების ახალი იზოლირებული ინსტიტუტები. ამიტომ ყველა ასეთი ახალი ინსტიტუტია მოექცევა ტერმინ „პირადი ცხოვრების“ ცნებაში.⁷

ჩამონათვალი სიკეთებისა ასევე ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ საუბარია ადამიანის იზოლირებულ სფეროზე, რაზეც ყველას არ აქვს წვდომა⁸. ყველა უფლების მიზანი პირადი ცხოვრების თავისუფალი უზრუნველყოფა და შესაბამისად, ისინი

* მუხლის ძველი რედაქცია დაცულ სფეროთა ჩამონათვალში მოიაზრებდა ადამიანის პირად ცხოვრებას, პირად ჩანაწერს, მიმწერას, საუბარს სატელეფონო და სხვა ტექნიკური საშუალებით, ამავე საშუალებით მიღებულ შეტყობინებას.

6 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე #1/3/407, II/3.5).

7 ტულუში, თ. და სხვები, 2013. ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა. თბილისი: გვ. 190.

8 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება (საქმე #ას-290-276-2016).

პირადი ცხოვრების ძირითადი უფლების შინაარსობრივ კომპონენტად უნდა განვიხილოთ, თითოეული მათგანისთვის საკუთარი, დამოუკიდებელი დაცვის სფეროს უზრუნველყოფით⁹. თუ ზოგადი პიროვნული უფლების სამოქალაქო სამართლებრივ დაცვის მექანიზმზე გადმოვიტანთ მსჯელობას, ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილი სფერო პირის ინტიმურ ან კერძო საიდუმლო სფეროში მოექცევა, რაც ძირითადი უფლებისგან განსხვავებით ნეგატიურ სუბიექტურ უფლებად წარმოჩინდება, რომელიც ზღუდავს არა მხოლოდ საჯარო ხელისუფლებას, არამედ ნებისმიერ კერძოსამართლებრივ სუბიექტს¹⁰.

საქართველოში ზოგადი პიროვნული უფლება კონსტიტუციის ცალკეული მუხლებით აღიარებული ძირითადი უფლებების, მაგალითად, კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებების საფუძველია¹¹. ზოგადი პიროვნული უფლება მოიცავს უფლებებს, რომლებიც პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას აკონკრეტებს სპეციალური ძირითადი უფლებებით დაუცველი ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროთა მიხედვით. უპირველეს ყოვლისა, ის იცავს თავად პიროვნებას, მის ღირსებას, პატივს, საზოგადოებრივ სახეს, რეპუტაციას, იდენტობას, ინდივიდუალობას და ავტონომიურობას.¹² დაცვის ღიაპაზონი მოიცავს მთლიან პირად სივრცეს და უფლებას მართლობაზე ამერიკული "Right of Privacy"-ის მსგავსად¹³.

აღნიშნულის მიუხედავად, მაინც არ

გვაქვს საფუძველი, რომ კონსტიტუციაში ნახსენები „ზოგადი პიროვნული უფლება“ და პიროვნულობის დაცვის სამოქალაქო სამართლებრივი საშუალებები ერთმანეთთან გავაიგივოთ. ძირითადი უფლებები კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში უშუალოდ ვერ მოქმედებს, ვინაიდან ეს უკანასკნელი ქმნის დაცვის გადაწყვეტის ნორმატიულ ბაზას კერძო პირებს შორის ურთიერთობაში, მაშინ, როდესაც ძირითადი უფლებების დაცვის ადრესატი ყოველთვის სახელმწიფოა¹⁴. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ხელისუფლების ბოჭვის ვალდებულების პირნათლად შესრულებისთვის, აუცილებელია სამოქალაქო სამართალში არსებობდეს დასაყრდენი ამ უფლებებით დადგენილი პრინციპების სამოქალაქო სამართალში განსახორციელებლად, სამოქალაქო სამართლებრივი ზოგადი პიროვნული უფლების სახით.

პირადი ჩანაწერის ხელშეუხებლობის უფლება

პირადი ჩანაწერის ხელშეუხებლობის უფლებით დაცულია ნებისმიერი ფიზიკური პირი და ეს უკანასკნელი მჭიდროდ არის დაკავშირებული პირადი ცხოვრების ძირითად უფლებასთან. პირადი ჩანაწერი არის ინდივიდის მიერ კალმით ან ბეჭდური ფორმით შესრულებული, ან ტექნიკური საშუალებით ჩაწერილი ინფორმაცია (პირადი წიგნაკი, კალმით შესრულებული ან აუდიოჩანაწერის სახით

9 კობახიძე, ი., 2013. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. მუხ. 20, თბილისი: გვ. 179.

10 იქვე. გვ. 186.

11 კუბლაშვილი, კ., 2008. ძირითადი უფლებები. თბილისი: ჯისიი, გვ. 95-96.

12 Bamberger, H., Roth, H., Hau, W. and Poseck, R., 2018. Beck'scher Online-Kommentar. München: §12, 46 Auf., Rn. 115.

13 BGHZ 106, 229= GRUR 1989, 225-საფოსტო ყუთის რეკლამის შესახებ გადაწყვეტილება (Briefkastenwerbung); შდრ. BGH NJW 1996, 1128.

14 Beater, A., 2005. BGB-Kommentar. Stuttgart: §823 BGB, 13. Auf., Anh I, Rz. 6.

წარმოებული დღიური და სხვა.), რომელიც „განეკუთვნება მისი ან სხვა ინდივიდის პირადი, ან პროფესიული სფეროს და ინდივიდის მიერ არ არის მოაზრებული საჯარო ხელისუფლებისთვის, ან ადამიანთა შედარებით ფართო წრისთვის გასაზიარებლად“.¹⁵

ყველას აქვს უფლება, თავად გადაწყვიტოს გამომხატვის რა ფორმას აირჩევს საზოგადოებაში კომუნიკაციის გზით: წერილები, ელექტრონული შეტყობინებები ან მსგავსი ჩანაწერები, როგორც წესი, არ უნდა გასაჯაროვდეს ავტორის ნებართვის გარეშე.¹⁶ ამდენად, კონკრეტული ნააზრევის შინაარსის ვერბალური გამომხატულება ავტორის პიროვნული სფეროს ექსკლუზიური ბატონობის სფეროში ექცევა.

დღიური ან დღიურის მსგავსი ჩანაწერები უმეტესად შეიცავს მნიშვნელოვნად პირად და მგრძობიარე ინფორმაციას, სადაც პიროვნება „საკუთარ თავთან საუბრისას“ გადმოსცემს პიროვნულ გამოცდილებებს, შთაბეჭდილებებს, გონებაში მიმდინარე მოვლენებს, იმედებს, სურვილებს და განზრახვებს.¹⁷ გერმანიის საკო-

ნსტიტუციო სასამართლო პრაქტიკაში სადავო თემას წარმოადგენს დღიურის ან პირადი ჩანაწერის სისხლის სამართლის მიზნებისთვის გამოყენების საკითხის კონსტიტუციურობა.¹⁸ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ასევე პირადი ხასიათის ჩანაწერის პიროვნული უფლების ყველაზე მიუწვდომელ, ინტიმურ სფეროდ განხილვის საკითხიც. დასავლურ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, საკუთარი მენტალური სფეროდან მომდინარე აზრების წერილობითი ფორმით გადმოტანა უკვე ადვილად ხელმისაწვდომს ხდის ამ უკანასკნელთ მესამე პირთათვის და შესაბამისად, გამოჰყავს ავტორის კონტროლირებადი სივრციდან¹⁹. ერთ-ერთი პოზიციის მიხედვით, თუ ჩანაწერი ასახავს ავტორის პიროვნულ სტრუქტურასთან უშუალოდ დაკავშირებულ მოვლენებს, რომელთაც სერიოზული და საფრთხის შემცველი შემხებლობა აქვთ მესამე პირზე, საზოგადოებისა და საჯაროობის ინტერესი წინ უსწრებს ავტორის კონფიდენციალურობისა და საილუმლოდ შენახვის ინტერესს. აღნიშნულის საპირისპიროდ,

15 გოცირიძე, ე., 2013. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე, თბილისი: პეტიტი, გვ. 180.

16 Branahl, U., 2013. Medienrecht. Dortmund: Springer, 7. Aufl., გვ. 146.

17 Rixecker, R., 2018. Münchener Kommentar zum BGB. Allgemeine Persönlichkeitsrecht, München: §12, Band 1, 7. Auflage, Rn. 120.

18 BVerfGE 80, 367 = NJW 1990, 563 – დღიურთან დაკავშირებით გადაწყვეტილება (Tagebuch Fall); შდრ. სისხლის სამართლის პროცესუალურ ნაწილთან დაკავშირებით BGH, Urteil vom 21. 2. 1964 – 4 StR 519/63 (LG Hagen) – აღნიშნულ საქმეში ბრალდებულს წარმოადგენს საჯარო სკოლის მასწავლებელი, რომელიც გასამართლებულ იქნა ცრუ ჩვენების მიცემის ბრალდებით. ეს უკანასკნელი სასიყვარულო ურთიერთობაში იყო მის მეზობლად მცხოვრებ დაქორწინებულ უფროს პედაგოგთან და რეგულარულად აწარმოებდა ჩანაწერებსა და შეხვედრის კალენდარს, რომელიც ხელში ჩაუვარდა მის მომდევნო პარტნიორს. უფროსი მასწავლებლის მიმართ, რომელიც მოგვიანებით სკოლის რექტორი გახდა, აღიძრა დისციპლინური საქმის წარმოება, სადაც მოწმის სახით დაიკითხა ქალბატონიც, მან ცრუ ჩვენება მისცა რექტორის მიმართ და უარყო მასთან ყველანაირი ინტიმური ურთიერთობა. სასამართლომ დაადგინა, რომ სისხლის სამართლის პროცესის მიზნებისთვის ბრალდებულის პირადი ჩანაწერი ინტიმური ურთიერთობის შესახებ, ავტორის ნებართვის გარეშე არ უნდა იქნა გამოყენებული სასამართლო მტკიცებულებად.

19 Rixecker, R., 2018. Münchener Kommentar zum BGB. Allgemeine Persönlichkeitsrecht, München: §12, Band 1, 7. Auflage, Rn. 120.

განსხვავებული აზრის* მიხედვით, პირადი ჩანაწერები, სადაც კონკრეტული პირი საკუთარ თავთან აწარმოებს საუბარს, მიეკუთვნება პიროვნების აბსოლუტურად დაცულ ძირითად სფეროს.

პირადი ცხოვრების უფლების ფართო და მრავალმხრივი ცნების, ასევე პირადი ჩანაწერის პირად ცხოვრების ინტიმურ სფეროდ განხილვის რთული საკითხის გადასაჭრელად, დიდ როლს ასრულებს ცალკეულ შემთხვევებზე მორგებული პიროვნულობის უფლებით დაცული სფეროების გამოკვეთის მეთოდი. პიროვნული უფლებებით დაცულ სფეროში ჩარევის დაშვებადობის ზღვარის შეფასებისათვის იურიდიულ დოქტრინაში განვითარდა ე.წ. „სფეროთა თეორია“, რომელიც პიროვნულ უფლებებს ჰყოფს დაცული სფეროების მიხედვით. აღნიშნულ განაწილებას იურიდიულ დოქტრინაში საფუძველი ჩაუყარა ჰუმბანმა.²⁰ თავდაპირველად აღნიშნული იდეა გერმანიის ფედერალური

უმაღლესი სასამართლოს მიერ იქნა გაზიარებული,²¹ ხოლო შემდგომ იგივე დაყოფა საკონსტიტუციო სასამართლომაც გამოიყენა²². სფეროთა თეორიამ დიდი მოწონება დაიმსახურა იურიდიულ ლიტერატურაშიც და კრიტიკური პოზიციების მიუხედავად დღემდე მაინც ინარჩუნებს პრაქტიკული ინსტრუმენტის სტატუსს, რომელიც ცალკეულ შემთხვევათა ზღვარში ახდენს მათ სტრუქტურირებას და ამ გზით შექმნილ ბაზაზე ხდება სხვა შემთხვევათა დაშენება.

თეორია ეფუძნება პიროვნული უფლების განაწილებას მომიჯნავე სფეროებში მზარდი დაცვის ინტენსივობით. ამოსავალი წერტილი არის ის ფაქტი, რომ ადამიანი სოციალური არსებაა, რომლის ცხოვრება ნაწილობრივ დაცულ ანუ პირად, ხოლო ნაწილობრივ საჯაროსივრცეში მიმდინარეობს. სხვადასხვა ტერმინოლოგიით იურიდიულ დოქტრინაში ამ მეთოდის გამოყენებით განასხვავებენ ხელშეუხებელ

* Matthias, J. and Geck, E., 2012. Tagebuchfall revisited – Der Bundesgerichtshof, die Gedankenfreiheit und ein selbstgespräch im Auto. Nürnberg: Juristen Zeitung, გვ. 561-567. გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის მეორე სენატი (JZ 2012, 582) არა მხოლოდ აგრძელებს 2005 წლის სასამართლო გადაწყვეტილების პათოსს საავადმყოფოს პალატაში აკუსტიკურ თვალთვალთან დაკავშირებით, არამედ აღადგენს გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს დღიურის ცნობილ საქმეში ხმათა თანაბრობის გამო დადგენილ კონსტიტუციურ დოგმას. სასამართლო მსჯავრდებულის მიერ საკუთარ ავტომობილში წარმოებულ საუბარს საკუთარ თავთან აბსოლუტურად დაცულ პიროვნულ სფეროდ განიხილავს და ამ გზით მოპოვებულ მტკიცებულებასაც კონფიდენციალურად მიიჩნევს.

20 Hubmann, H., 1967. Das Persönlichkeitsrecht. Köln: გვ. 268.

21 BGHZ 13, 334 (338), მკითხველის წერილის საქმე – (Leserbrief).

22 Epping, V. and Hillgruber, C., 2018. Beck'scher Online-Kommentar Grundgesetz. München: OK Grundgesetz, Art. 2, 37. Edition, Rn. 36 – კონსტიტუციურ სამართალში, დოგმატური თვალსაზრისით, სფეროთა თეორია განიხილება მართლზომიერების პრინციპის სპეციალურ გამოვლინებად, ანუ ზღვრის ზღვარის კონსტრუქციად, რომელიც ზოგადი პიროვნული უფლების დაცვის საზღვრების გამოსაკვეთად. სფეროთა თეორიის უკან დგას მართლზომიერების პრინციპი, ანუ საფეხურების გარეშე არსებული შკალა, რომლის დაცვის ხარისხის პიროვნულ ბირთვთან მიახლოების პირდაპირპროპორციულად იმატებს. ამდენად, აღნიშნული ორი პრინციპი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება. სფეროთა თეორია ახდენს მართლზომიერების პრინციპის განვრცობას შემთხვევათა ცალკეული ჯგუფების ზოგად-აბსტრაქტული ანალიზის გზით, მართლზომიერების ტესტი კი ახდენს ცალკეული შემთხვევის შესაბამისი დაცვის ინტენსივობის განსაზღვრას.

ინტიმურ, საიდუმლო/პირად და სოციალურ სფეროებს.²³ აზრის ჩამოყალიბება და აზროვნება ადამიანის იმანენტური მდგომარეობაა და მისი არსისმიერი საწყისის გამოძახილია²⁴. ამდენად, ხელშეუხებლად უნდა იქნეს მიჩნეული პიროვნების პირადი ნააზრევი, მათ შორის სახელმწიფოს ჩარევისა და იძულებისგან. ამავე ლოგიკით ანალოგიური დაცვის ღირსი, ინტერესი უნდა გააჩნდეს წერილობითი ფორმით ჩამოყალიბებულ ნააზრევსაც, სადაც ადამიანი საკუთარ თავთან მართავს დიალოგს.

სამოქალაქოსამართლებრივი პიროვნული უფლების მიზნებისთვის, სადაც ნაკლებად დასაშვებია პირადი ჩანაწერების საგანგებო სიტუაციებში განხილვა აღმატებული საზოგადო ან მესამე პირის ინტერესებისთვის, ითვლება, რომ აღნიშნული ჩანაწერები სრულად განრიდებულია მესამე პირთა მზერისგან, რამდენადაც ავტორი დაინტერესებულია მისი საიდუმლოდ შენახვით.²⁵ კერძო პირებს წვდომა მსგავს დოკუმენტებზე, რომლებიც, როგორც წესი, არ აქვთ. ინტიმური სფეროს დაცვის განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, ადამიანის დღიურში დაფიქსირებული ჩანაწერების გაცნობა და მათი იურიდიულ მტკიცებულებად გამოყენება დასაშვებად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ამ პირის

სურვილით ან თანხმობით, გამონაკლისის სახით, ჩარევის გამამართლებელი განსაკუთრებული საფუძვლის არსებობისას²⁶.

პირადი ჩანაწერის ინტიმური სფეროსადმი მიკუთვნების საკითხი

ინტიმური სფეროს სიტყვა-სიტყვითი განმარტება არ მოიძებნება, თუმცა ადამიანის ღირსებასთან მისი განსაკუთრებული სიახლოვის გამო, ის პიროვნულობის აბსოლუტურად დაცულ ბირთვს განეკუთვნება, რომლის დარღვევაც თვით საზოგადო ინტერესის არსებობის შემთხვევაშიც კი არ არის გამართლებული²⁷. პიროვნების ბიოლოგიური და სულიერ-ზნეობრივი ინტიმური სივრცე და მასთან პირდაპირ და არაპირდაპირ დაკავშირებული ფაქტები საჭიროებს დაცვას არა მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან (კონსტიტუციაზე დაყრდნობით), არამედ კერძო პირების წინაშეც²⁸. ამდენად ის ხელშეუხებელ სივრცედაა აღიარებული²⁹ და მოიცავს პიროვნებასთან დაკავშირებულ ყველა ასპექტს, რომელთა შესახებ უფლებამოსილ პირს არ სურს კომუნიკაცია ან მესამე პირებისთვის გაცნობა.³⁰ ქართული სასამართლო პრაქტიკაც იმეორებს ადამიან-

23 Hiller, V., 2014. Der Konflikt zwischen Persönlichkeitsschutz und Pressefreiheit im deutschen und schwedischen Recht. Freiburg: Nomos, 1. Auflage, გვ. 30; მსგავსი პოზიცია იხ. Pashke, M., 2014. Medienrecht. Hamburg: Vollst. überarb. Aufl., გვ. 310; Branahl, U., 2013. Medienrecht. Wiesbaden: 7. Aufl., გვ. 120.

24 BGH JZ 2012, 582, 583 Tz.15.

25 Rixecker, R., 2018. Münchener Kommentar zum BGB. Allgemeine Persönlichkeitsrecht, München: §12, Band 1, 7. Auflage, Rn. 120.

26 გოცირიძე, ე., 2013. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე, თბილისი: პეტეტი, გვ. 180.

27 Epping, V. and Hillgruber, C., 2018. Beck'scher Online-Kommentar Grundgesetz. München: OK Grundgesetz, Art. 2, 37. Edition, Rn. 40.

28 Bamberger, H., Roth, H., Hau, W. and Poseck, R., 2018. Beck'scher Online-Kommentar. München: §12, 46 Auf., Rn. 212.

29 Hiller, V., 2014. Der Konflikt zwischen Persönlichkeitsschutz und Pressefreiheit im deutschen und schwedischen Recht. Freiburg: Nomos, 1. Auflage, გვ. 30; იგივე პოზიცია იხ. Pashke, M., 2014. Medienrecht. Hamburg: Vollst. überarb. Aufl., გვ. 59.

30 Epping, V. and Hillgruber, C., 2018. BeckOK Grundgesetz, München: Art. 2, 37. Edition, Rn. 39.

ნის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დადგენილ ვალდებულებას და ინტიმურ სფეროს აბსოლუტური დაცვით უზრუნველყოფს³¹.

სასამართლო პრაქტიკის განზოგადების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ინტიმურ სფეროში ხშირად ექვევა პირადი მიმოწერა, სქესობრივი ცხოვრების ამსახველი დეტალები,³² შიშველი ფოტოები,³³ ჯვრისწერის ცერემონიის დროს გადაღებული ფოტოები³⁴, მეუღლეებს შორის სექსუალური ხასიათის საუბრები,³⁵ პიროვნულობის ამსახველი გამოსახულებები. „ინტიმურობას“ კერძო და საჯარო ცხოვრებას შორის ურთიერთობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია, მასში მოიაზრება: **1.** სიახლოვე და სანდობა (გასაიდუმლოება). **2.** სექსუალური, ეროტიკული მოქმედებანი, შეხება. **3.** მყუდრო ატმოსფერო. **4.** ინტიმური (როგორც განსაკუთრებით პიროვნული)³⁶.

გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს მოსაზრებით, ინტიმური სფერო არის პიროვნულობის არსებითი და ცენტრალური განზომილება, რომელიც ხელშეუხებელ, სხვათა ჩარევისგან თავისუფალ სივრცეს წარმოადგენს. გერმანიის

ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკითაც ადამიანის ღირსებისა და თავისუფალი განვითარების უფლების დაცვასთან არის კავშირში ადამიანის ინტიმური სფეროს ხელშეუხებლობის დათქმაც,³⁷ რომელშიც ჩარევის გასამართლებად არც საყოველთაო ინტერესის არსებობა შეიძლება იქნეს მითითებული და შესაბამისად, არც თანაზომიერების პრინციპი.³⁸ ამასთან, ინტიმურ სფეროში ჩარევა მხოლოდ ორ შემთხვევაში შეიძლება იყოს კანონიერი: **1.** ინდივიდის თანხმობისას. **2.** საჯარო პირებთან დაკავშირებით, როცა ფაქტები რომელიმე ინტიმური სფეროდან გარკვეულ სოციალურ ან პოლიტიკურ გამოცხადებას უკავშირდება.³⁹ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრებით, ამ ხელშეუხებელ, საიდუმლო სფეროში ჩარევა *per se* ფუძნებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, ინტერესების მართლზომიერების პრინციპით შეპირისპირების საჭიროების გარეშე,⁴⁰ ხოლო სხვა ე.წ. კერძო სფეროში მიმდინარე მოვლენების დაცულობის ხარისხის განსაზღვრისათვის აუცილებლად მიიჩნევა არა ამ ქვეყნის სხვა ადამიანის სამყაროზე ზემოქმედების ხარისხის შეფასებას, არამედ

31 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება (საქმე #ას-290-276-2016); საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე #ას-1054-994-2015) საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება (საქმე #ას-1155-1101-2014) საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება (საქმე #ას-1337-1375-2014).

32 Fechner, N., 2010. Wahrung der Intimität? Grenzen des Persönlichkeitsschutzes für Prominente. Frankfurt am Main: გვ. 33.

33 BGH NJW 1985, 1617, 1618.

34 Beater, A., 2005. BGB-Kommentar. Stuttgart: §823 BGB, 13. Aufl., Anh I, Rz. 321.

35 BGW NJW 1988, 1984, 1985.

36 Branahl, U., 2013. Medienrecht. Dortmund: Springer, 7. Aufl., გვ. 158.

37 BVerfG, Beschluß vom 8. 3. 1972 – 2 BvR28/71 (Beschlagnahme der ärztlichen Karteikarte eines Beschuldigten).

38 BVerfG, Beschluß vom 31. 1. 1973 – 2 BvR 454/71 – ფარული ჩანაწერის არამართლზომიერი შეფასება (Unzulässige Verwertung einer heimlichen Tonaufnahme).

39 ბიჭია, მ., 2012. პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით. თბილისი: გვ. 37.

40 BVerfG, Beschluß vom 31. 1. 1973 – 2 BvR 454/71 – ფარული ჩანაწერის არამართლზომიერი შეფასება Unzulässige (Verwertung einer heimlichen Tonaufnahmen).

ამ ქვეყნის სოციალური მნიშვნელობისა და მასშტაბის განსაზღვრას.⁴¹ შესაბამისად, ზოგადი პიროვნული უფლებებით დაცული უფლებებით მინიჭებული ძალაუფლება ცხოვრებისეული მოვლენების გასაჯაროების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების თაობაზე გამონაკლისის სახით ექვემდებარება შეზღუდვას, თუ პირი, როგორც სოციალური მცხოვრები არსება, კომუნიკაციის დამყარებისას გავლენას ახდენს სხვის სივრცეზე ან საზოგადოებრივ ბალანსზე⁴². ამდენად, აბსოლუტურ დაცვას სასამართლო ავრცელებს არა მთლიანად კერძო სფეროზე, არამედ პირადი ცხოვრების ყველაზე შიდა და დრამა ნაწილზე⁴³, ე.წ. ინტიმურ სფეროზე.

სასამართლოების მიერ აღნიშნული პოსტულატის კონსტატაცია ხშირად ხდება, თუმცა სამართლებრივი სიციხადისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას ართულებს აბსოლუტურად დაცული ბირთვისა და ინტიმური სფეროს გაერთიანების პრობლემა, რაც იწვევს არათანმიმდევრული, ერთგვარად სუბიექტურ შეფასებაზე დაფუძნებული და ნაკლებად განჭვრეტადი სამართლებრივი შედეგის მქონე სისტემის ჩამოყალიბებას. ამ პრობლემის პრაქტიკულობის დასადასტურებლად შეიძლება მოყვანილ იქნეს დღიურთან გაიგივებული პირადი ჩანაწერის რომელიმე კონკრეტულ სფეროსთან მიკუთვნების საკითხი და მასთან დაკავშირებული არათანმიმდევრული სასამართლო პრაქტიკა. მაგ. გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლო პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევა, როდესაც სასამართლომ ცრუ ჩვენების საქმეზე

სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას ბრალდებულის მიერ განხორციელებული ინტიმური შინაარსის მქონე დღიურის გამოყენება ავტორის ნებართვის გარეშე პიროვნული უფლების შემადგენელი ინტიმური სფეროს დარღვევად მიიჩნია და ამორიცხა მტკიცებულებათა სიიდან.⁴⁴ ამის საპირისპიროდ, იმავე გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში მოიძებნება საქმეებიც, სადაც სასამართლოს ასევე მოუწია სისხლის სამართლის საქმესთან კავშირში მყოფი პირადი ჩანაწერის მართლმსაჯულების მიზნებისთვის გამოყენების მართლზომიერების შეფასება, დასაშვებად ჩათვალა ამ სახის ჩანაწერის მტკიცებულებად დართვა პროცესში. ერთ-ერთი მათგანია *Tagebuchentscheidung* გადაწყვეტილება,⁴⁵ სადაც პირს ბრალი ედებოდა მკვლელობაში, სისხლის სამართლის მიმდინარეობის დროს სამართალდამცავ ორგანოებს ხელში ჩაუვარდათ მკვლელობამდე ბრალდებულის მიერ განხორციელებული პირადი ჩანაწერები, სადაც ის აღწერდა საკუთარ ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას. სასამართლომ სამოტივაციო ნაწილში ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ პირადი ჩანაწერი არ მიეკუთვნება აბსოლუტურად დაცულ სფეროს და მისი გამოყენება დასაშვებია საზოგადოებისთვის აუცილებელი და აღმატებული ლეგიტიმური მიზნის არსებობისას თანაზომიერების პრინციპის საფუძველზე, როგორცაა, მაგალითად, სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა. ამდენად, სასამართლომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში გადამწყვეტად მიიჩნია ჩანაწერის

41 BVerfG, Urteil vom 10. 5. 1957 – 1 BvR 550/52-ჰომოსექსუალიზმთან დაკავშირებით გადაწყვეტილება (Männliche Homosexualität); BVerfG, Beschluß vom 19. 7. 1972 – 2 BvL 7/71 – სოციალურ მუშაკებს არ აქვთ უფლება უარი თქვან ჩვენების მიცემაზე (Kein Zeugnisverweigerungsrecht der Sozialarbeiter); BVerfG: BVerfG 05.06.1973 1 BvR 536/72 "Lebach"(GRUR 1973, 541).

42 BVerfG, Beschluß vom 14-09-1989 – 2 BvR 1062/87.

43 BVerfG, Beschluß vom 16. 7. 1969 – 1 BvL 19/63 – მიკროაღწერა (Mikrozensus).

44 BGH, Urteil vom 21. 2. 1964 – 4 StR 519/63 (LG Hagen).

45 BVerfG, 80, 367, (373), Beschluß vom 14-09-1989 – 2 BvR 1062/870 – დღიურთან დაკავშირებით გადაწყვეტილება (Tagebuchentscheidung).

დიფერენციაცია შინაარსობრივი მხარის მიხედვით, შეაფასა ჩანაწერის შინაარსობრივი მხარის ბმა უშუალოდ დანაშაულებრივ ქმედებასთან და დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით ამორიცხა პირადი ჩანაწერი პირადი ცხოვრების მოწყობის აბსოლუტურად დაცული სფეროდან შემდეგი დასაბუთებით: „თუ ამგვარი ჩანაწერი შეიცავს დანაშაულის დაგეგმვის ან საქმესთან კავშირში მყოფ უშუალო დეტალებს, ის უკვე აღარ მიეკუთვნება პირადი ცხოვრების ხელშეუხებელ სფეროს. ის ფაქტი, რომ, მაგალითად, საუბრის ფარული ჩანაწერისგან განსხვავებით, დღიური თავად უფლებამოსილმა პირმა შექმნა მატერიალური სახით, მიანიშნებს, რომ მან დაუშვა დოკუმენტის საკუთარი ბატონობის სფეროდან გამოსვლისა და სხვის ხელში მოხვედრის ალბათობა. გარდა ამისა, მკვლევარის საქმეში ბრალდებულის ჩანაწერები შინაარსის გათვალისწინებით სცილდება მხოლოდ უფლებამოსილი პირის დაცულ სფეროს და მნიშვნელოვნად ზემოქმედებს საზოგადოებრივი ინტერესების მთლიან ბალანსზე⁴⁶“. აღსანიშნავია, რომ მოსამართლეთა ეს პოზიცია არ ყოფილა ერთადერთი და ამავე საქმეზე განსხვავებული პოზიციის მქონე სენატის სხვა წევრების აზრით, პირადი ჩანაწერები აბსოლუტურად დაცულ ინტიმურ სფეროს განეკუთვნება და მისი გამოყენება პროცესის მიზნებისთვის წარმოადგენს ძირითადი კანონით გარანტირებული ღირსების უფლებისა და საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შელახვას⁴⁷. მხოლოდ და მხოლოდ ის ფაქტი, რომ პიროვნებამ ჩანაწერები ფურცელზე განახორციელა, არ ქმნის

მის აბსოლუტურად დაცული სფეროდან ამორიცხვის საფუძველს და ქვემარტივად იმსახურებს კრიტიკას, რადგან სასამართლოს ამ ნაწილში არ წარმოუდგენია მყარი არგუმენტი, რომლიც, მაგ. გამოსახულების და პირადი დღიურის სხვადასხვა სფეროში მოხვედრას გაამართლებდა.

ძირითადი უფლების ნაწილში დაცულ სფეროში ჩარევის საშუალებას საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილიც განამტკიცებს, რომლის მიხედვითაც აღიარებულია, რომ პირადი ცხოვრების აღნიშნული უფლების შეზღუდვა დაიშვება სასამართლო გადაწყვეტილებით ან გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. გასათვალისწინებელია, რომ ამ უფლების შეზღუდვა ყველაზე ხშირად სისხლისსამართლებრივი ჩარევის საფუძველზე ხორციელდება. ჩარევის სტანდარტული შემთხვევებია: პირის მოსმენა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ფარგლებში, წერილის დაყადაღება, ამოღება და სხვა⁴⁸.

პირადი ცხოვრების უფლებით დაცული კერძო სფერო

სამართლებრივ და დემოკრატიულ სახელმწიფოში თავისუფალი საზოგადოების არსებობა წარმოუდგენელია კერძო სფეროს არსებობის გარეშე,⁴⁹ რადგან პირადი სივრცის უზრუნველყოფილი დაცვა წარმოადგენს თავად თავისუფლების იდეის შეუქცევად ნაწილს. კერძო სფერო უკავშირდება ადამიანის ცხოვრების პიროვ-

46 BVerfG, Beschluß vom 14-09-1989 – 2 BvR 1062/87-სენატში გადაწყვეტილების მიღებისას ხმები თანაბრად გაიყო, თუმცა მოსამართლეების – Träger, Kruis და Kirschhof-ის ციტირებული მოსაზრება დაედო საფუძველად გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს.

47 იქვე.

48 კობახიძე, ი., 2013. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თბილისი: მუხ. 20, გვ. 186.

49 Bamberger, H., Roth, H., Hau, W. and Poseck, R., 2018. Beck'scher Online-Kommentar. München: §12, 46 Auf., Rn. 182.

ნულ კუთხეს, სადაც ყველას უნდა გააჩნდეს საჯარო კონტროლის და შებოჭვის გარეშე ცხოვრების უფლება – რანგის, სოციალური მდგომარეობის თუ პოზიციის მიუხედავად. პიროვნული უფლება, როგორც ერთგვარი კონფიდენციალურობის უფლება, უზრუნველყოფს პირის დაცვას საჯარო კონტროლისგან, მიყურადებისგან, დაკვირვების ობიექტად ქცევისგან და სხვა, ნებისმიერი ტიპის ჩარევისგან მის საოჯახო, კერძო და შინამეურნეობაში. კერძო სფერო საკმაოდ ფართო სივრცეა. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვყოთ განასხვავებულ კერძო ცხოვრების სფეროები: 1. ინფორმაციული კერძო ცხოვრება (პერსონალური მონაცემების დაცვა). 2. საკომუნიკაციო თავისუფლება. 3. სივრცის ხელშეუხებლობა.

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კერძო სფეროს საგნობრივად დაცულ მასშტაბს მიეკუთვნება ისეთი მოვლენა, რომელიც თავისი ინფორმაციული შემცველობის გამო, მიჩნეულია ტიპურად, „პირადად“, ვინაიდან მათი საზოგადო განხილვა და წარდგენა ითვლება უხერხულად, სამარცხვინოდ ან იწვევს გარშემომყოფთა უარყოფით რეაქციებს და დამამცირებლად წარმოაჩენს ინდივიდს საზოგადოების თვალში⁵⁰. კერძო სფეროს თაობაზე კონცეფციამ და შესაბამისად

მსჯელობამ სფეროთა თეორიაზე გერმანიის რეალობაში პიროვნების დაცვის სამოქალაქო საქმეთა განმხილველ სასამართლო პრაქტიკაშიც ჰპოვა ასახვა. ამდენად, გერმანიის უმაღლესმა სასამართლომ პირველად ცნობილ *Leserbriefentscheidung*-ში განავითარა მსჯელობა „ხელშეუხებელ კერძო სფეროზე“, სადაც სასამართლომ მოახდინა დიფერენცირება კერძო და მის ანტიპოდ – „საზოგადო სფეროს“ შორის.⁵¹ გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს და საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია თანმხვედრი იყო პიროვნული უფლების მიზნის განსაზღვრის ნაწილში, რაც შინაგანი სფეროს ავტონომიური და სხვების ჩარევისგან თავისუფალი განკარგვის აბსოლუტურ უფლებამოსილებაში გამოიხატება.⁵²

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკის განზოგადების შედეგად შეიძლება დადგინდეს, რომ კერძო სფერო მოიცავს საცხოვრებელ, საოჯახო ან სხვა, საზოგადოებისგან განცალკევებულ ტერიტორიას⁵³, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას,⁵⁴ პირად მიმოწერას მეუღლეებს შორის⁵⁵, სექსუალური ცხოვრების დეტალებს⁵⁶, სოციალურად გაკიცხვად საქციელს,⁵⁷ ელექტრონული შეტყობინების შინაარსს⁵⁸, ან ქონებრივი სახის ურთიერთობებს პირებს შორის, მაგ.: პირის მიერ ქონების დაკარგვა, როგორც სოციალური პრესტიჟის დამამცირებელი გარემოება. ამდენად, ცალკეული პიროვნული უფლებისგან გან-

50 Hiller, V., 2014. Der Konflikt zwischen Persönlichkeitsschutz und Pressefreiheit im deutschen und schwedischen Recht. Freiberg: Nomos, 1. Auflage, გვ. 61.

51 BGHZ 13, 334 (338, 339).

52 BGHZ 24, 72 (79) Persönlichkeitsrechtlich geschützte Geheimsphäre.

53 Beater, A., 2005. BGB-Kommentar. Stuttgart: §823 BGB, 13. Auf., Anh I, Rz. 321.

54 BGH NJW 1996, 984, 985.

55 BverfGE 27, 344, Ehescheidungsakten, zur geschützten Kommunikation innerhalb der Familie, ob. ასევე BverfGE 90, 225, Postkontrolle.

56 BverfGE 47, 46; 49; 286 - სქესის შეცვლასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება (Geschlechtsumwandlung).

57 BverfGE 44, 353-ნარკომანიის საკონსულტაციო ცენტრთან დაკავშირებით გადაწყვეტილება (Suchtkrankenberatungsstelle.).

58 BGH GRUR 2015, 92.

სხვაგვებით, კერძო სფერო, მართალია, ასევე აღმოცენდება ზოგადი პიროვნული უფლებების წიაღიდან, თუმცა ის იცავს არა სპეციალურად რომელიმე კონკრეტულ უფლებას, არამედ თემატურად და სივრცობრივად განსაზღვრულ სხვა ღირებულებებსაც,⁵⁹ რაც ვერ იქნება ამომწურავად გაწერილი სსკ-ის მე-18 მუხლში. ის ზოგადად მოიცავს ყველა ვითარებას, რაც ობიექტური შეფასებით „კერძოობის“ კრიტერიუმს აკმაყოფილებს.

საქართველოს კანონმდებლობით, პიროვნული უფლებების დაცვის განმტკიცების კუთხით, მნიშვნელოვანია განისაზღვროს დაცული სფეროები, რომელთა ფარგლებში შესრულებული მოქმედება არ არის განკუთვნილი საზოგადოებისთვის და მოქმედი სუბიექტი კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით არ ელოდება, რომ მისი ესა თუ ის ქმედება, თუ მასთან დაკავშირებული რაიმე ასპექტი საზოგადოების განხილვის საგანი გახდება. თუ სამართლებრივი მექანიზმი არ უზრუნველყოფს ინდივიდისთვის ამგვარი სივრცის არსებობას, პიროვნებას ექნება მუდმივი განცდა და შიში, შეაფასოს, თუ როგორ იქნება აღქმული მისი კონკრეტული ქცევა მესამე პირების მხრიდან, რაც შედეგად ადამიანს დაემუქრებოდა ფსიქიკური გადატვირთვის საფრთხე, ვინაიდან მას მოუწევდა პერმანენტულად გაეკონტროლებინა, რა შთაბეჭდილებას ახდენს თავის გარემოსა და გარშემო მყოფებზე და იქცევა თუ არა სწორად,⁶⁰ რაც ჩანასახშივე ძირს გამოუთხრიდა „მარტოობაზე უფლებების“ პრინციპს.

ინტიმური სფეროსგან განსხვავებით, კერძო სფერო არ სარგებლობს აბსოლუტური პრივილეგიით, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი შეზღუდვა დასაშვებია, ანუ მასში ჩარევა

შესაძლებელია საამისო დაცვის ღირსი ინტერესისა და კანონიერი მიზნის არსებობის შემთხვევაში. შესაბამისად, კერძო სფეროში ჩარევის დროს ჩარევა გამართლებული და დასაბუთებული უნდა იყოს უპირატესი საყოველთაო ინტერესის არსებობით, ანუ ჩარევის მართლზომიერების დადგენის მიზნით უნდა შეფასდეს, არსებობს თუ არა ისეთი დაცვის ღირსი ინტერესი, რომელიც პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებაზე მაღლა დგას.

პირადი ჩანაწერის ხელშეუხებლობის უფლება, როგორც აბსოლუტური უფლება

ქართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად დგინდება, რომ უზენაესი სასამართლო პიროვნულობის დაცული სფეროს ფარგლებისა და ჩარევის გამართლების საფუძვლის ძიებისას ხშირად ახსენებს პიროვნულობით დაცულ სფეროებს და საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლზე დაყრდნობით ინტიმურ სფეროს აბსოლუტურად დაცულ და ხელშეუხებელ სივრცედ განიხილავს. რაც შეეხება კერძო საუბრებს, როგორც კერძო სფეროს შემადგენელ ერთ-ერთ კომპონენტს, ის არ სარგებლობს აბსოლუტური პრივილეგიით ანუ მასში ჩარევა შესაძლებელია საამისო დაცვის ღირსი ინტერესისა და კანონიერი მიზნის არსებობის პირობებში.⁶¹ მისასაღმებელია ასევე სასამართლოს მსჯელობა კერძო კომუნიკაციის ფარული ჩაწერის შედეგად მოპოვებული მტკიცებულების სა-

59 BVerfG, Urteil vom 15. 12. 1999 – 1 BvR 653/9-ქართული თარგმანი იხ. შვაბე, ი., 2011. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. თბილისი: გვ. 35.

60 იქვე.

61 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება (საქმე #ას-290-276-2016).

მოქალაქე თუ სისხლის სამართლის პროცესში გამოყენების დაუშვებლად ცნობის თაობაზეც ღირებულებათა იერარქიაში უპირატესი საყოველთაო ინტერესის არსებობისა და ჩარევის მართლზომიერების დადგენის პირობებში.

რაც შეეხება ევროპულ გამოცდილებას, შეიძლება ითქვას, ევროპის უმეტეს ქვეყანაში დაცვის უპირველესი სამიზნე პირად და ინტიმურ სფეროს მოიცავს, რომლის საზღვრის დარღვევა თავად უფლებამოსილი პირის თანხმობით დაუშვებელია⁶² და მოიცავს პიროვნებასთან დაკავშირებულ ყველა ასპექტს, რომელთა შესახებ უფლებამოსილი პირს არ სურს კომუნიკაცია ან მესამე პირებისთვის გაცნობა.⁶³ სასამართლო პრაქტიკის განზოგადების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ინტიმურ სფეროში ხშირად ექცევა პირადი მიმოწერა, სქესობრივი ცხოვრების ამსახველი დეტალები,⁶⁴ შიშველი ფოტოები,⁶⁵ ჯვრისწერის ცერემონიის დროს გადაღებული ფოტოები⁶⁶, მეუღლეებს შორის სექსუალური ხასიათის საუბრები,⁶⁷ პიროვნულობის ამსახველი გამოსახუ-

ლებები. „ინტიმურობას“ კერძო და საჯარო ცხოვრებას შორის ურთიერთობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია, მასში მოიაზრება: 1. სიახლოვე და სანდოობა (გასაიდუმლოება). 2. სექსუალური, ეროტიკული მოქმედებანი, შეხება. 3. მყუდრო ატმოსფერო. 4. ინტიმური (როგორც განსაკუთრებით პიროვნული)⁶⁸. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით დადგენილია ადამიანის ღირსების ხელშეუხებლობის პრინციპი.⁶⁹ სწორედ ადამიანის ღირსებისა და თავისუფალი განვითარების უფლების დაცვასთან არის კავშირში ადამიანის ინტიმური სფეროს ხელშეუხებლობის დათქმაც,⁷⁰ რომელშიც ჩარევის გასამართლებად არც საყოველთაო ინტერესის არსებობა შეიძლება იქნეს მითითებული და შესაბამისად, არც თანაზომიერების პრინციპი.⁷¹

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრებით, ამ ხელშეუხებელ, საიდუმლო სფეროში ჩარევა *per se* აფუძნებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, ინტერესების მართლზომიერების

- 62 Ondreasova, E., 2017. Personality Rights in different European Countries: Privacy, Dignity, Honour and Reputation, The Legal Protection of Personality Right (Chinese and European Perspectives). Boston: გვ. 61.
- 63 Epping, V. and Hillgruber, C., BeckOK Grundgesetz. Art. 2, 37. Edition, 2018, Rn. 39.
- 64 Fechner, N., 2010. Wahrung der Intimität? Grenzen des Persönlichkeitsschutzes für Prominente. Frankfurt am Main: S. 33.
- 65 BGH NJW 1985, 1617, 1618.
- 66 Beater, A., 2005. Kommentar zum BGB. §823 BGB, 13. Auf., Stuttgart: Anh I, Rz. 33, S. 321.
- 67 BGW NJW 1988, 1984, 1985.
- 68 Branahl, U., 2013. Medienrecht. 7. Aufl., Wiesbaden: Springer, 158.
- 69 BVerfG, Urteil vom 16. 1. 1957 – 1 BvR 253 56; BVerfG, Urteil vom 10. 5. 1957 – 1 BvR 550/52-ჰომოსექსუალიზმთან დაკავშირებით გადაწყვეტილება (Männliche Homosexualität); იგივე პოზიცია იხ. BVerfG, Beschluß vom 16. 7. 1969 – 1 BvL 19/63 – Repräsentativstatistik; BVerfG, Beschluß vom 15. 1. 1970 – 1 BvR 13/68-Einsicht in die Ehescheidungsakten durch Untersuchungsführer im Disziplinarverfahren; BVerfG, Beschluß vom 8. 3. 1972 – 2 BvR 28/71-Beschlagnahme der ärztlichen Karteikarte eines Beschuldigten; BVerfG, Beschluß vom 19. 7. 1972 – 2 BvL 7/71 – სოციალურ მუშაკებს არ აქვთ უფლება უარი თქვან ჩვენების მიცემაზე (Kein Zeugnisverweigerungsrecht der Sozialarbeiter).
- 70 BVerfG, Beschluß vom 8. 3. 1972 – 2 BvR 28/71 – ეჭვმიტანილის სამედიცინო ჩანაწერის ამოღება (Beschlagnahme der ärztlichen Karteikarte eines Beschuldigten).
- 71 BVerfG, Beschluß vom 31. 1. 1973 – 2 BvR 454/71 – ფარული ჩანაწერის არამართლზომიერი შეფასება (Unzulässige Verwertung einer heimlichen Tohaugnahme).

პრინციპით შეპირისპირების საჭიროების გარეშე,⁷² ხოლო სხვა ე.წ. კერძო სფეროში მიმდინარე მოვლენების დაცულობის ხარისხის განსაზღვრისათვის აუცილებლად მიიჩნევა არა ამ ქვეყნის სხვა ადამიანის სამყაროზე ზემოქმედების ხარისხის შეფასებას, არამედ ამ ქვეყნის სოციალური მნიშვნელობისა და მასშტაბის განსაზღვრას.⁷³ შესაბამისად, ზოგადი პიროვნული უფლებით დაცული უფლებებით მინიჭებული ძალაუფლება ცხოვრებისეული მოვლენების გასაჯაროების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე გამონაკლისის სახით ექვემდებარება შეზღუდვას, თუ პირი, როგორც სოციალურ მცხოვრები არსება, კომუნიკაციის დამყარებისას გავლენას ახდენს სხვის სივრცეზე ან საზოგადოებრივ ბალანსზე⁷⁴. ამდენად, აბსოლუტურ დაცვას სასამართლო ავრცელებს არა მთლიანად კერძო სფეროზე, არამედ პირადი ცხოვრების ყველაზე შიდა და ღრმა ნაწილზე⁷⁵, ე.წ. ინტიმურ სფეროზე⁷⁶.

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო და ფედერალური უმაღლესი სასამართლო გადაწყვეტილებებში აქტიურად იყენებს სფეროთა თეო-

რიას, თუმცა ბევრი მცდელობის მიუხედავად მათაც ვერ შეძლეს სამართლებრივი სიცხადისთვის აუცილებელი განჭვრეტადი კრიტერიუმების ფორმირება, რომელიც აქტუალური იქნებოდა ნებისმიერ სიტუაციაზე⁷⁷. იურიდიულ დოქტრინაში არსებობს აზრთასხვადასხვაობა ქვეყნის კონკრეტულ სფეროში მოხვედრის კრიტერიუმებთან დაკავშირებით⁷⁸. ერთი მოსაზრების მიხედვით, განმსაზღვრელია პირის სუბიექტური სურვილი ამა თუ იმ მოვლენის საიდუმლოდ შენახვასთან დაკავშირებით. სხვა მოსაზრება, რომელსაც გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო იზიარებს, განმსაზღვრელ კრიტერიუმად ქვეყნის სოციალურ მნიშვნელობას ობიექტურ ჭრილში შეფასებას მიიჩნევს, ანუ თუ რამდენად ახდენს გავლენას ქვეყნის სხვა პირის ან საზოგადოების ინტერესებზე⁷⁹. ეს უკანასკნელი პოზიცია სავსებით მართებულად იქნა გაკრიტიკებული იურიდიულ ლიტერატურაში⁸⁰ იმ მოტივით, რომ პიროვნულობის ყველაზე ვიწრო და ხელშეუხებელი ინტიმური სფეროს აღიარება მხოლოდ თეორიულ დონეზე პრაქტიკაში აზრს კარგავს, როდესაც სასამართლო გარკვეულ გარემოებებსა და იერარქიულად მაღალი

72 BVerfG, Beschluß vom 31. 1. 1973 – 2 BvR 454/71 – ფარული ჩანაწერის არაპარტლბომიერი შეფასება (Unzulässige Verwertung einer heimlichen Tonaufnahmen).

73 BVerfG, Urteil vom 10. 5. 1957 – 1 BvR 550/52 – ჰომოსექსუალიზმთან დაკავშირებით გადაწყვეტილება (Männliche Homosexualität); შდრ. BVerfG, Beschluß vom 19. 7. 1972 – 2 BvL 7/71 – სოციალურ მუშაკებს არ აქვთ უფლება უარი თქვან ჩვენების მიცემაზე (Kein Zeugnisverweigerungsrecht der Sozialarbeiter).

74 BVerfG, Beschluß vom 14-09-1989 – 2 BvR 1062/87.

75 BVerfG, Beschluß vom 16. 7. 1969 – 1 BvL 19/63 – Mikrozensus.

76 BVerfG, Beschluß vom 16. 7. 1969 – 1 BvL 19/63 – Mikrozensus; BVerfG, Urteil vom 10. 5. 1957 – 1 BvR 550/52 – ჰომოსექსუალიზმთან დაკავშირებით გადაწყვეტილება (Männliche Homosexualität); შდრ. BVerfG, Beschluß vom 31. 1. 1973 – 2 BvR 454/71 – ეჭვმიტანილის სამედიცინო ჩანაწერის ამოღება (Unzulässige Verwertung einer heimlichen Tonaufnahmen); BVerfG, Beschluß vom 3. 6. 1980 – 1 BvR 185/77 – Eppler-, „Derjenige Beziehungen, die der Aussenwert nicht zugänglich sind und deshalb von Natur aus „Geheimnischarakter“ haben“.

77 Amelung, U., 2002. Der Schutz der Privatheit im Zivilrecht. Tübingen: გვ. 13.

78 იქვე გვ. 12.

79 Amelung, U., 2002. Der Schutz der Privatheit im Zivilrecht, Tübingen: გვ. 12; BverfGE 6, 389, 433 – ჰომოსექსუალიზმთან დაკავშირებით გადაწყვეტილება – (Homosexualität).

80 Marion, B. 1997. Der Sachliche Schutzbereich des zivilrechtlichen allgemeinen Persönlichkeitsrechts. Tübingen: გვ. 195.

ლეგიტიმური ინტერესის პირობებში იტოვებს გასაღებას თავისთვის, რომ ამ დახურულ სფეროში ჩარევასაც შეუქმნას ლეგიტიმური საფუძველი. უდავოა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე სიმართლის დადგენა და ამ გზით მართლმსაჯულების აღსრულება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა, რომლის განხორციელებაშიც შეიძლება უდიდესი წვლილი შეიტანოს პირადმა ჩანაწერებმა. ეს დაშვება ბაღებს კითხვას, თუ რა ვითარებასა და გარემოებაში შეიძლება გახდეს ინტიმური ჩანაწერი, როგორც ხელშეუხებელი სფეროს შემადგენელი ერთ-ერთი კომპონენტის, გასაჯაროება დაშვებულია, როდესაც სახეზე არ გვაქვს ამ პირის ნებართვა, რომელიც ჩანაწერის გამოყენებას ლეგიტიმურ საფუძველს შეუქმნიდა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას, იურიდიულ დოქტრინას სიმძიმის ცენტრი კვლავ სამოსამართლო სამართალზე გადააქვს და ზოგადი რეკომენდაციით შემოიფარგლება, რომლის მიხედვითაც ინტიმური სფეროს ხელშეუხებლად აღიარების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება დანაშაულის სიმძიმისა და სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის ინტერესების აწონ-დაწონვის შედეგად უნდა მოხდეს.

თავის მხრივ, კონკრეტული დავის ფარგლებში დაცული სფეროს განსაზღვრის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხოლოდ ობიექტური ან მხოლოდ სუბიექტური მომენტი დამოუკიდებლად მაინც ვერ ასრულებს გამიჯვნის ზუსტი კრიტერიუმის ფუნქციას, რადგან ვერც ერთი მათგანი ვერ უზრუნველყოფს საკმარისად განსაზღვრულ ფორმულის შემოთავაზებას. ხშირ შემთხვევაში, „მარტო ყოფნის“ სურვილი არც თუ ისე ნათლადაა შეცნობადი გარეგნულად გარეშე თვალისთვის და ის უმეტესად სურვილი, ობიექტურად შეცნობად

კრიტერიუმებთან კორელაციაში უქმნის მარტოობაზე უფლებას ლეგიტიმურ საფუძველებს. ამასთან, თავად სფეროთა თეორიაც ვერ სცემს ამომწურავად პასუხს კითხვას, კონკრეტული დავის განხილვისას, ადამიანის პიროვნულ სფეროსთან რა დისტანციაზე და რა მოცულობით უნდა მოხდეს ხელყოფა, რომ რომელიმე კონკრეტულ სფეროდ დავაკვალიფიციროთ.⁸¹ განსაკუთრებით საფრთხილოა „ინტიმურობის“ მიმართ ერთიანი საზომის დაწესება, რადგან თავად ამ ცნების აღქმაც კი საზოგადოებაში უადრესად პერსონიფიცირებულ და ინდივიდუალურ ხასიათს ატარებს. მაგალითად, მოსახლეობის ერთი ნაწილი ხშირად ძალიან თავისუფლად ასაჯაროებს პირადი ცხოვრების ცალკეულ დეტალებს, მაშინ, როცა მეორე ნაწილისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია ამ დეტალების საიდუმლოდ შენახვა.

სავსებით მართებულად იმსახურებს კრიტიკას პირადი და ინტიმური სფეროს გამიჯვნის კრიტერიუმად სოციალური დამოკიდებულების შემოტანა. ამ კრიტერიუმის გამოყენებით არსებობს საფრთხე, რომ ინდივიდი აბსოლუტურად არაკომუნიკაბელური და იზოლირებული არსება უნდა იყოს, მისი ინტიმური სფეროს ჩარევა რომ დაცვის ღირსს ინტერესად იქნეს აღიარებული, რადგან თუ პიროვნება მოქმედებს, როგორც სოციალური წევრი სხვა პირებთან კომუნიკაციურ ურთიერთობის პლატფორმაზე, ამით ის გავლენას ახდენს სხვა ადამიანსა და საზოგადოებაზე, რითაც თავისი ნებით ტოვებს დაცულ (ინტიმურ) სფეროს, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, დაცულ სფეროში მოთავსების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას არა იმდენად ქვევის სხვა ადამიანებზე ზემოქმედების ხარისხი, არამედ სოციალური მნიშვნელობის სახეობა და ინტენსივობაა გადამწყვეტი.⁸²

81 Hiller, V., 2014. Der Konflikt zwischen Persönlichkeitsschutz und Pressefreiheit im deutschen und schwedischen Recht. Freiberg: Nomos, 1. Auflage, გვ. 53-54.

82 BVerfGE 34, 238, 248 – Tonaufnahme.

კონცეფციის პარადოქსულობა განსაკუთრებით თვალშისაცემია სექსუალური ცხოვრების სფეროში, რომელიც, ერთი მხრივ, წარმოადგენს ინტიმური სფეროს ყველაზე დაცულ ნაწილს, ხოლო, მეორე მხრივ, დაცულობის შეფასების წინაპირობად სოციალურ მნიშვნელობას მოითხოვს.⁸³ ამის შეფასება კი არა აბსტრაქტულად, არამედ საქმის გარემოების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ამგვარი დაშვებით ფაქტობრივად ისპობა ზღვარი კერძო და ინტიმურ სფეროებს შორის, როდესაც ყველაზე ინტიმური ადამიანური ურთიერთობების დაცულობის ხარისხის შეფასებისასაც კი მის სოციალურ მნიშვნელობაზე ხდება აპელირება. მით უფრო, რომ თავად საკონსტიტუციო სასამართლოც ვერ გაექცა იმ რეალობას, რომ პიროვნულობის დახურულ სფეროებზე საუბრისას დისკუსიის ცენტრში პიროვნება დგას, რომელიც არა განცალკევებით, იზოლირებულად, არამედ სოციუმის ფარგლებში ვითარდება,⁸⁴ რაც ბუნებრივად ახდენს გავლენას სხვა ადამიანის ან მთლიანად სოციუმის ინტერესებზე.

სფეროთა ერთმანეთისგან გამიჯვნას ასევე ართულებს ცნებათა ერთგვაროვნების არარსებობის პრობლემაც ტერმინოლოგიური თუ შინაარსობრივი თვალსაზრისით. ინდივიდუალურობის ხელშეუხებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ინფორმაციული თვითგამორკვევის სფერო, რომელიც მოიცავს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უფლებამოსილებას, როდის და რა ვითარებაში გახდეს მისი პირადი ცხოვრება საჯარო.⁸⁵ თვითგამორ-

კვევის უფლების რეალიზაცია საზოგადოებაში და პირადი სფეროს დაცვა საზოგადოებისგან წარმოადგენს სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთის შემავსებელ კომპონენტს, რომელიც თოთოეული პიროვნული ინდივიდუალულობის დაცვას განაპირობებს სხვა ადამიანების გარემოცვისგან.⁸⁶ ამდენად, ტერმინოლოგიური კუთხით დამაბნეველია საზოგადოებაში ინდივიდუალულობის დაცვის კერძო სფეროდ კვალიფიკაცია, რადგან ცნებები: პიროვნულობა, ინდივიდუალულობა და კერძოობის დაცვა იდენტურ ცნებებს არ წარმოადგენს. საკმაოდ ფართოდ შეიძლება იქნეს გაგებული ასევე ტერმინები: კერძო, ინტიმური და საიდუმლო.

იურიდიულ დოქტრინაში სხვადასხვა ავტორი ურთიერთჩანაცვლებადი მნიშვნელობით მოიხსენიებს ინდივიდუალურ, პირად და საიდუმლო სფეროს,⁸⁷ მაშინ, როცა იმავე შინაარსის მქონე სფეროების აღსანიშნავად მეცნიერთა სხვა ჯგუფი⁸⁸ ინტიმურ, პირად, სოციალურ და საჯარო სფეროებს იყენებს. განსხვავებული და უკიდურესად ფართო ასევე თითოეული სფეროს ფარგლები, რომლის დადგენა არა მხოლოდ დროისა და სივრცის, არამედ უფლებამოსილი პირის პიროვნების გათვალისწინებითაც უნდა მოხდეს. ამასთან, იმის მიხედვით, პირადი უფლების რომელ სფეროს შეეხება საქმე, დაცულობის ხარისხი განსხვავებულია.⁸⁹ მიუხედავად ცნებათა სხვადასხვაობისა, საუბარია შინაარსობრივად ერთიან მიდგომასა და მთავარ პოსტულატზე, რომ დაცული იქნეს ადამიანის სოციალური ყოფიერება და აქედან

83 Dieterwalt, R., 1980. Der Grundrechtliche Schutz der Privatsphäre. Berlin: Duckerand Humboldt, გვ. 87.

84 Amelung, U., 2002. Der Schutz der Privatheit im Zivilrecht. Tübingen: გვ. 14.

85 Marion, B., 1997. Der Sachliche Schutzbereich des zivilrechtlichen allgemeinen Persönlichkeitsrechts. Tübingen: გვ. 189.

86 იქვე. გვ. 189.

87 Hubmann, H., 1967. Das Persönlichkeitsrecht. Köln: გვ. 268.

88 Paschke, M., 2009. Medienrecht. Berlin: 3. Aufl., Springer. Rn. 942; იგივე პოზიცია იხ. Branahl, U., 2013. Medienrecht. Wiesbaden: 7. Aufl., Springer, გვ. 140.

89 Beater, A., 2005. BGB-Kommentar. Stuttgart: §823 BGB, 13. Aufl., Anh I, Rz. 32-33.

გამომდინარე განსხვავებული ცხოვრებისეული გარემოებები სხვადასხვა სფეროების მიხედვით იქნეს სისტემატიზირებული, რათა მოსამართლეს გაუადვილდეს ფაქტის სამართლებრივი შეფასება.

დასკვნა

ემპირიული გამოცდილების გათვალისწინებით განხორციელებულმა კვლევამ გამოკვეთა რა თითოეული სფეროს შემადგენელი კომპონენტები, გარკვეული წარმოდგენა შექმნა პიროვნულობის ერთიან კონცეფციასზე. კვლევა ცხადყოფს, რომ სფეროთა თაობაზე მოძღვრების შემუშავების მიზანი და მოტივი იყო პიროვნული უფლებებით დაცული საკუთარი სივრცის დაცვის სხვადასხვა ყალიბში მოთავსება, რომელზეც დაცვის განსხვავებული მასშტაბები იმოქმედებდა.

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განვითარებული პრაქტიკა, რომელიც კონკრეტული ვითარების და ინტერესთა კოლიზიისას აღმატებული ინტერესის არსებობის პირობებში ფაქტობრივად უშვებს აბსოლუტურ სფეროში ჩარევასაც კი, პრაქტიკაში აზრს უკარგავს სფეროთა თეორიის არსებობას და მთლიანად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს აბსოლუტურად დაცული, ხელშეუხებელი სფეროს, როგორც ასეთის, არსებობას. ცხადია, პრაქტიკის ამგვარი განვითარება არც გერმანულ იურიდიულ დოქტრინაში დარჩენილა კრიტიკის მიღმა.⁹⁰ პირადი ჩანაწერის ხელშეუხებლობის უფლება მჭიდროდ არის დაკავშირებული პირადი ცხოვრების ძირითად უფლებასთან. ამასთან, ადამიანის დღიური, როგორც წესი, განეკუთვნება პირადი ცხოვრების ინტიმურ სფეროს,

ხოლო სხვა ტიპის პირადი ჩანაწერები – პირადი ცხოვრების კერძო სფეროს⁹¹. დღიურთან გაიგივებული ჩანაწერები, რომლებიც დაკავშირებულია ავტორის პიროვნულ სფეროსთან და ავტორი მიზნად არ ისახავდა მათ გასაჯაროებას, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ავტორის ნების საწინააღმდეგოდ სასამართლოში მტკიცებულებად, გარდა ჩარევის გამამართლებელი განსაკუთრებული საფუძვლის არსებობის შემთხვევაშიც კი. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ პირადი ჩანაწერის განხორციელებისას, ავტორს ექნება მუდმივი შიში, რომ ეს უკანასკნელი მისი ნებართვის გარეშე შეიძლება გახდეს განხილვის საგანი, ეს უკვე ნიშნავს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების მნიშვნელოვან შეზღუდვას.

ამდენად, ინდივიდუალობისა და პიროვნული სფეროს ყველაზე ოპტიმალური განმარტება, თუ ასეთის არსებობას საერთოდ დასაშვებად მივიჩნევთ, შეიძლება ასე ჟღერდეს: ეს არის საზოგადოებისგან გამიჯნული სფერო, რომელშიც თითოეული მათგანი საჯაროობისგან, ყურადღებისგან ან მესამე თვალისგან მოშორებით პოულობს საკუთარ თავს და მოგვიანებით, მისი სურვილის შესაბამისად, აქვს შესაძლებლობა, გადაწყვიტოს რა მოცულობით და როდის გახადოს ეს უკანასკნელი ცნობილი საზოგადოებისთვის.

შეიძლება ითქვას, რომ პიროვნულობის დაცვის სამოქალაქო სამართლებრივი მექანიზმების ეფექტურობის საქმეში სფეროთა თეორიის დამოუკიდებელი დოგმატური ღირებულება საეჭვოა, თუმცა, ასევე არ არსებობს არგუმენტი, რომელიც სფეროთა თეორიის არსებობის საჭიროებას მთლიანად გამორიცხავდა. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სფეროთა გა-

90 Marion, B., 1997. Der Sachliche Schutzbereich des zivilrechtlichen allgemeinen Persönlichkeitsrechts. Tübingen: გვ. 195-196.

91 კობახიძე, ი., 2013. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თბილისი: მუხ. 20, გვ. 180-181.

მოყენება ხელს უწყობს და უადვილებს მოსამართლეს საქმის განხილვისას ინტერესების აწონ-დაწონვას, როგორც დამხმარე საშუალება ჩარევის მართლზომიერების შეფასებისას, თუმცა აზრს მოკლებულია

მისი იურიდიულ დოგმად განხილვა, რომელიც აბსტრაქტულ-გენერალური მოწესრიგებით დაადგენდა ზოგადი პიროვნული უფლების დაცულობის ფარგლებს.

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბიჭია, მ., 2012. პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით. თბილისი.
2. ერქვანია, თ., 2011. ადამიანის ძირითადი უფლებები ჰორიზონტალურ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში. მართლმსჯელება და კანონი, 4(31), თბილისი.
3. ნინიძე, თ., 1977. პირადი საიდუმლოების დაცვის სამოქალაქო-სამართლებრივი გარანტიები. საბჭოთა სამართლის ჟურნალი, (1), თბილისი.
4. ნინიძე, თ., და სხვები, 1999. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი. თბილისი.
5. ქათამაძე, ნ., 2020. დისერტაცია პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის სამოქალაქო-სამართლებრივი მექანიზმი. თბილისი: [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi5/Nino_Katamadze.pdf> [წვდომის თარიღი 26 იანვარი 2021].
6. შვაბე, ი., 2011. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. თბილისი.
7. ჭანტურია, ლ., 2011. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი.
8. Branahl, U., 2013. Medienrecht. Wiesbaden: 7. Aufl.
9. Pashke, M., 2014. Medienrecht. Hamburg: Vol-1st. überarb. Aufl.
10. Matthias, J. and Geck, E., 2012. Tagebuchfall revisited – Der Bundesgerichtshof, die Gedankenfreiheit und ein selbstgespräch im Auto. Nürnberg: Juristen Zeitung.

ნორმატიული მასალა:

1. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>> [წვდომის თარიღი 18 სექტემბერი 2021].
2. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/18472?publication=52>> [წვდომის თარიღი 10 ოქტომბერი 2021].
3. „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>> [წვდომის თარიღი 10 ოქტომბერი 2021].
4. „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.“ [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/document/view/90034?publication=141>> [წვდომის თარიღი 10 ოქტომბერი 2021].
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=116>> [წვდომის თარიღი 10 ოქტომბერი 2021].
6. „სიტყვისა და გამონათქვამის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=6>> [წვდომის თარიღი 10 ოქტომბერი 2021].

სასამართლო პრაქტიკა:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება (საქმე #ას-1155-1101-2014).

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება (საქმეზე #ას-1337-1375-2014).
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე #ას-1054-994-2015).
4. BVerfG, Beschluß vom 16. 7. 1969 – 1 BvL 19/63 – Repräsentativstatistik.
5. BVerfG, Beschluß vom 15. 1. 1970 – 1 BvR 13/68 – Einsicht in die Ehescheidungsakten durch Untersuchungsführer im Disziplinarverfahren.
6. BVerfG, Beschluß vom 8. 3. 1972 – 2 BvR 28/71 – Beschlagnahme der ärztlichen Karteikarte eines Beschuldigten.
7. BVerfG, Beschluß vom 19. 7. 1972 – 2 BvL 7/71 – (Kein Zeugnisverweigerungsrecht der Sozialarbeiter); BVerfG: BVerfG 05.06.1973 1 BvR 536/72 "Lebach" (GRUR 1973, 541).
8. BGH NJW 1996, 1128.
8. Branahl, U., 2013. Medienrecht. Wiesbaden: 7. Aufl. (in German)
9. Pashke, M., 2014. Medienrecht. Hamburg: Vollst. überarb. Aufl. (in German)
10. Matthias, J. and Geck, E., 2012. Tagebuchfall revisited – Der Bundesgerichtshof, die Gedankenfreiheit und ein selbstgespräch im Auto. Nürnberg: Juristen Zeitung. (in German)

Bibliography:

Used Literature:

1. Bichia, M., 2012. Protection of Personal Life in accordance with the Civil Law of Georgia. Tbilisi. (in Georgian).
2. Erkvania, T., 2011. Fundamental Human Rights in Horizontal Private Legal Relations. "Justice and Law", 4 (31), Tbilisi. (in Georgian)
3. Ninidze, T., 1977. Civil-legal guarantees for the protection of personal secrets. Soviet Law, (1), Tbilisi. (in Georgian)
4. Ninidze, T. and others, 1999. Commentary on the Civil Code of Georgia, Book One. Tbilisi: Article 17. (in Georgian)
5. Katamadze, N., 2020. dissertation Civil Mechanism for Protection of Personal Non-Property Rights. Tbilisi:[online] available at: https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi5/Nino_Katamadze.pdf [Accessed 26 January 2021]. (in Georgian)
6. Schwabe, I., 2011. Decisions of the German Federal Constitutional Court. Tbilisi. (in Georgian)
7. Chanturia, L., 2011. General Part of Civil Law. Tbilisi, Publishing House Law, Tbilisi. (in Georgian)

Normative Materials:

1. European Convention of Human Rights. [online] Available: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0> [Accessed 10 October 2021]. (in German)
2. Law of Georgia on Operative-Investigative Activities. [online] Available: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/18472?publication=52> [Accessed 10 October 2021]. (in Georgian)
3. Criminal Code of Georgia, Legislative Herald of Georgia.[online] is available:<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426> [Accessed 10 October 2021]. (in Georgian)
4. "Criminal Procedure Code of Georgia". [online] Available: <https://matsne.gov.ge/document/view/90034?publication=141> [Accessed 10 October 2021]. (in Georgian)
5. Law of Georgia "on Freedom of Speech and Expression". [online] Available: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=6> [Accessed 10 October 2021]. (in Georgian)
6. Civil Code of Georgia.[online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=116> [Accessed 10 October 2021]. (in Georgian)

Judicial Practice:

1. Decision of the Supreme Court of Georgia of May 4, 2015 (Case #AS-1155-1101-2014). (in Georgian)
2. Decision of the Supreme Court of Georgia of July 17, 2015 (Case #AS – 1337-1375-2014). (in Georgian)
3. Decision of the Supreme Court of Georgia of January 22, 2016 (Case #AS-1054-994-2015). (in Georgian)
4. BVerfG, Beschluß vom 16. 7. 1969 – 1 BvL 19/63

- Repräsentativstatistick. (in German)
5. BVerfG, Beschluß vom 15. 1. 1970 – 1 BvR 13/68 – Einsicht in die Ehescheidungsakten durch Untersuchungsführer im Disziplinarverfahren. (in German)
 6. BVerfG, Beschluß vom 8. 3. 1972 – 2 BvR 28/71 – Beschlagnahme der ärztlichen Karteikarte eines Beschuldigten. (in German)
 7. BVerfG, Beschluß vom 19. 7. 1972 – 2 BvL 7/71 – (Kein Zeugnisverweigerungsrecht der Sozialarbeiter); BVerfG: BVerfG 05.06.1973 1 BvR 536/72 "Lebach"(GRUR 1973, 541). (in German)
 8. BGH NJW 1996, 1128. (in German)
 10. Ibid.p. 186. (in Georgian)
 11. Kublashvili, K., 2008. Fundamental Rights. Tbilisi: pp. 95-96. (in Georgian)
 12. Bamberger, H., Roth, H., Hau, W. and Poseck, R., 2018. Beck'scher Online-Kommentar. München:§12, 46 Auf., Rn. 115. (in German)
 13. BGHZ 106, 229= GRUR 1989, 225 – Briefkastenwerbung. (in German)
 14. Beater, A., 2005. BGB-Kommentar. Stuttgart: §823 BGB, 13. Auf., Anh I, Rz. 6. (in German)
 15. Gotsiridze, E., 2013. Commentary on the Constitution of Georgia, Chapter Two.Tbilisi: Petiti, p. 180. (in Georgian)
 16. Branahl, U., 2013. Medienrecht. Dortmund: Springer, 7. Aufl., p. 146. (in German)
 17. Rixecker, R., 2018. Münchener Kommentar zum BGB. Allgemeine Persönlichkeitsrecht, München: §12, Band 1, 7. Auflage, Rn. 120. (in German)

References:

1. Bichia, M., 2017. The Georgian Model of Compensation of Non-property Damage for Violating Personal Rights in Line with European Standards, TSU Journal of Law, (1), p. 4. (in Georgian)
2. Rixecker, R., 2018. Münchener Kommentar zum BGB. Allgemeine Persönlichkeitsrecht, §12, Band 1, 7. Auflage, München:Rn. 35. (in German)
3. Kereselidze, D., 2009. General System Concepts of Private Law. Tbilisi: Institute of European and Comparative Law Publishing. p. 131. (in Georgian)
4. Chanturia, L., 1997. Introduction to the General Part of Georgian Civil Law. Tbilisi: Samartali Publishing House, p. 190. (in Georgian)
5. Kereselidze, D., 2009. General System Concepts of Private Law. Tbilisi: Institute of European and Comparative Law Publishing, p. 137. (in Georgian)
6. Judgment of the Constitutional Court of Georgia 26December 2007 (Case #1/3/407, II / p.5). (in Georgian)
7. Tugushi, T. and others, 2013. Human Rights and the Practice of Proceedings of the Constitutional Court of Georgia. Tbilisi: p. 190. (in Georgian)
8. Judgment of the Supreme Court of Georgia May 25, 2016 (Case #AS-290-276-2016). (in Georgian)
9. Kobakhidze, I., 2013. Commentary on the Constitution of Georgia. Tbilisi: Art. 20, p. 179. (in Georgian)
18. BVerfGE 80, 367 = NJW 1990, 563-Tagebuch Fall. (in German)
19. Rixecker, R., 2018. Münchener Kommentar zum BGB. Allgemeine Persönlichkeitsrecht, München: §12, Band 1, 7. Auflage, Rn. 120. (in German).
20. Hubmann, H., 1967, Das Persönlichkeitsrecht. Köln: p. 268. (in German)
21. BGHZ 13, 334 (338), Leserbrief. (in German)
22. Epping, V. and Hillgruber, C., 2018. Beck'scher Online-Kommentar Grundgesetz. München: OK Grundgesetz, Art. 2, 37. Edition, Rn. 36. (in German)
23. Hiller, V., 2014. Der Konflikt zwischen Persönlichkeitsschutz und Pressefreiheit im deutschen und schwedischen Recht.Freiberg: Nomos, 1. Auflage, p. 30. (in German)
24. BGH JZ 2012, 582, 583 Tz. 15. (in German)
25. Rixecker, R., 2018. Münchener Kommentar zum BGB. Allgemeine Persönlichkeitsrecht, München: §12, Band 1, 7. Auflage, Rn. 120. (in German)
26. Gotsiridze, E., Commentary on the Constitution of Georgia, Chapter Two. Tbilisi: 2013, 180. (in Georgian)
27. Epping, V. and Hillgruber, C., 2018. Beck'scher Online-Kommentar Grundgesetz. München: OK Grundgesetz, Art. 2, 37. Edition, Rn. 40. (in German)
28. Bamberger, H., Roth, H., Hau, W. and Poseck, R., 2018. Beck'scher Online-Kommentar.

- München: §12, 46 Auf., Rn. 212. (in German)
29. Hiller, V., 2014. Der Konflikt zwischen Persönlichkeitsschutz und Pressefreiheit im deutschen und schwedischen Recht. Freiberg: Nomos, 1. Auflage, p. 30. (in German)
 30. Epping V. and Hillgruber, C., BeckOK Grundgesetz. Art. 2, 37. Edition, 2018, Rn. 39. (in German).
 31. Decision of the Supreme Court of Georgia May 25, 2016 (Case #AS-290-276-2016). (in Georgian)
 32. Fechner, N., 2010. Wahrung der Intimität? Grenzen des Persönlichkeitsschutzes für Prominente. Frankfurt am Main: p. 33. (in German)
 33. BGH NJW 1985, 1617, 1618. (in German)
 34. Beater, A., 2005. BGB-Kommentar. Stuttgart: §823 BGB, 13. Auf., Anh I, Rz. 321 (in German)
 35. BGW NJW 1988, 1984, 1985. (in German)
 36. Branahl, U., 2013. Medienrecht. Dortmund: Springer, 7. Aufl., p. 158. (in German)
 37. BVerfG, Beschluß vom 8. 3. 1972 – 2 BvR 28/71 – Beschlagnahme der ärztlichen Karteikarte eines Beschuldigten. (in German)
 38. BVerfG, Beschluß vom 31. 1. 1973 – 2 BvR 454/71 – Unzulässige Verwertung einer heimlichen Tonaufnahme. (in German)
 39. Bichia, M., 2012. Protection of Personal Life, in accordance with the Civil Law of Georgia. Tbilisi: p. 37 (in Georgian).
 40. BVerfG, Beschluß vom 31. 1. 1973 – 2 BvR 454/71 – Unzulässige Verwertung einer heimlichen Tonaufnahmen. (in German)
 41. BVerfG, Urteil vom 10. 5. 1957 – 1 BvR 550/52 – Männliche Homosexualität; BVerfG, Beschluß vom 19. 7. 1972 – 2 BvL 7/71 – Kein Zeugnisverweigerungsrecht der Sozialarbeiter. (in German)
 42. BVerfG: BVerfG 05.06.1973 1 BvR 536/72 "Lebach" (GRUR 1973, 541). (in German)
 43. BVerfG, Beschluß vom 14-09-1989 – 2 BvR 1062/87. (in German)
 44. BGH, Urteil vom 21. 2. 1964 – 4 StR 519/63 (LG Hagen). (in German)
 45. BVerfG, 80, 367, (373), Beschluß vom 14-09-1989 – 2 BvR 1062/870 – Tagebuchentscheidung. (in German)
 46. BVerfG, Beschluß vom 14-09-1989 – 2 BvR 1062/87. (in German)
 47. Ibid.
 48. Kobakhidze, I., 2013. Commentary on the Constitution of Georgia. Tbilisi: Art. 20, p. 186. (in Georgian)
 49. Bamberger, H., Roth, H., Hau, W. and Poseck, R., 2018. Beck'scher Online-Kommentar, München: §12, 46 Auf., Rn. 182. (in German)
 50. Hiller, V., 2014. Der Konflikt zwischen Persönlichkeitsschutz und Pressefreiheit im deutschen und schwedischen Recht. Freiberg: Nomos, 1. Auflage, p. 61. (in German)
 51. BGHZ 13, 334 (338, 339). (in German)
 52. BGHZ 24, 72 (79) Persönlichkeitsrechtlich geschützte Geheimsphäre; 24, 220 (208, 209). (in German)
 53. Beater, A., 2005. BGB-Kommentar. Stuttgart: §823 BGB, 13. Auf., Anh I, Rz. 321. (in German)
 54. BGH NJW 1996, 984, 985. (in German)
 55. BVerfGE 27, 344, Ehescheidungsakten, zur geschützten Kommunikation innerhalb der Familie, BVerfGE 90, 225, Postkontrolle. (in German)
 56. BVerfGE 47, 46; 49; 286, Geschlechtsumwandlung. (in German)
 57. BVerfGE 44, 353, Suchtkrankenberatungsstelle. (in German)
 58. BGH GRUR 2015, 92. (in German)
 59. BVerfG, Urteil vom 15. 12. 1999 – 1 BvR 653/9. (in German)
 60. Ibid.
 61. Judgment of the Supreme Court of Georgia May 4, 2015 (Case #AS-1155-1101-2014). (in Georgian)
 62. Ondreasova, E., 2017. Personality Rights in different European Countries: Privacy, Dignity, Honour and Reputation, The Legal Protection of Personality Right (Chinese and European Perspectives). Boston: p. 61. (in English)
 63. Epping, V. and Hillgruber C., BeckOK Grundgesetz. Art. 2, 37. Edition, 2018, Rn. 39. (in German)
 64. Fechner, N., 2010. Wahrung der Intimität? Grenzen des Persönlichkeitsschutzes für Prominente. Frankfurt am Main, S. 33. (in German)
 65. BGH NJW 1985, 1617, 1618. (in German)
 66. Beater, A., 2005. Kommentar zum BGB. §823, 13. Auf., Stuttgart, Anh I, Rz. 33, S. 321. (in German)
 67. BGW NJW 1988, 1984, 1985. (in German)
 68. Branahl, U., 2013. Medienrecht. 7. Aufl., Wiesbaden, Springer, 158. (in German)
 69. BVerfG, Urteil vom 16. 1. 1957 – 1 BvR 253 56; BVerfG, Urteil vom 10. 5. 1957 – 1 BvR 550/52 (Männliche Homosexualität). (in German)
 70. BVerfG, Beschluß vom 8. 3. 1972 – 2 BvR 28/71

- (Beschlagnahme der ärztlichen Karteikarte eines Beschuldigten). (in German)
71. BVerfG, Beschluß vom 31. 1. 1973 – 2 BvR 454/71 (Unzulässige Verwertung einer heimlichen Tohaugnahme). (in German)
 72. BVerfG, Beschluß vom 31. 1. 1973 – 2 BvR 454/71 (Unzulässige Verwertung einer heimlichen Tonaufnahmen). (in German)
 73. BVerfG, Urteil vom 10. 5. 1957 – 1 BvR 550/52 – (Männliche Homosexualität); (in German)
 74. BVerfG, Beschluß vom 14-09-1989 – 2 BvR 1062/87. (in German)
 75. BVerfG, Beschluß vom 16. 7. 1969 – 1 BvL19/63 – Mikrozensus. (in German)
 76. BVerfG, Beschluß vom 16. 7. 1969 – 1 BvL 19/63 – Mikrozensus; BVerfG, Urteil vom 10. 5. 1957 – 1 BvR 550/52 – (Männliche Homosexualität). (in German)
 77. Amelung, U., 2002. Der Schutz der Privatheit im Zivilrecht. Tübingen: p.13. (in German)
 78. Ibid. p. 12 (in German)
 79. Amelung, U., 2002. Der Schutz der Privatheit im Zivilrecht. Tübingen: p. 12; BverfGE 6, 389, 433 – Homosexualität). (in German)
 80. Marion, B., 1997. Der Sachliche Schutzbereich des zivilrechtlichen allgemeinen Persönlichkeitsrechts. Tübingen: p. 195. (in German)
 81. Hiller, V., 2014. Der Konflikt zwischen Persönlichkeitsschutz und Pressefreiheit im deutschen und schwedischen Recht. Freiberg: Nomos, 1. Auflage. pp. 53-54. (in German)
 82. BVerfGE 34, 238, 248 – Tonaufnahme; BVerfGE 80, 367, 374 – Tagebuch. (in German)
 83. Dieterwalt, R., 1980. Der Grundrechtliche Schutz der Privatspäre. Berlin: Duckerand Humboldt, p. 87. (in German)
 84. Amelung, U., 2002. Der Schutz der Privatheit im Zivilrecht. Tübingen: p. 14. (in German)
 85. Marion, B., 1997. Der Sachliche Schutzbereich des zivilrechtlichen allgemeinen Persönlichkeitsrechts. Tübingen: p. 189. (in German)
 86. Ibid. p. 189. (in German)
 87. Hubmann, H., 1967. Das Persönlichkeitsrecht. Köln: p. 268. (in German)
 88. Paschke, M., 2009. Medienrecht. Berlin: 3. Aufl., Springer, Rn. 942. (in German)
 89. Beater, A., 2005. BGB-Kommentar. Stuttgart: §823 BGB, 13. Auf., Anh I, Rz. 32-33. (in German)
 90. Marion, B., 1997. Der Sachliche Schutzbereich des zivilrechtlichen allgemeinen Persönlichkeitsrechts. Tübingen: PP. 195-196. (in German)
 91. Kobakhidze, I., 2013. Commentary on the Constitution of Georgia. Tbilisi: Art. 20, PP. 180-181. (in Georgian)

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო რეგიონალური და უნივერსალური სახელმძღვანელო ორგანოები და მათი მნიშვნელობა

ნინო ბოჭორიშვილი

სამართლის დოქტორი, გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის მეცნიერთა კავშირის წევრი

ელფოსტა: nino.botchorishvili@gttu.edu.ge

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე აღიარებული ადამიანის უფლებების უფლებების სარგებლობის მნიშვნელოვანი ასპექტები და დარღვეული უფლებების ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე დაცვის საშუალებების ეფექტურობის საკითხები.

კვლევის ფარგლებში განხილულია ევროპის საბჭო, როგორც რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაცია და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, როგორც უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია და მათ მიერ მიღებული საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე დაარსებული რეგიონალური და უნივერსალური მექანიზმების მნიშვნელობა. სტატიაში განხილულია უნივერსალური საზღვარგარეთ ორგანიზაციებისადმი იშვიათი მიმართვის გამომწვევი მიზეზები, ასევე ევროპის საბჭოს ეგიდით მიღებული ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ კონვენციიდან წვერი სახელმწიფოს გასვლით გამონეული უარყოფითი შედეგები.

მიუხედავად იმის, რომ საქართველომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციას 2014 წელს მოაწერა ხელი, დღემდე არ არის რატიფიცირებული მისი დამატებითი ოქმი, რის გამოც არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კომიტეტისათვის მიმართვის არანაირი მექანიზმი.

კვლევამ აჩვენა, რომ თურქეთისთვის „სტამბულის კონვენციის“ დებულებების ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვა და მისი პრაქტიკაში განხორციელება გადაულახავ პრობლემად იქცა, რის გამოც იგი გავიდა კონვენციიდან, რაც ცალსახად უკან გადაგმულ ნაბიჯად შეიძლება შეფასდეს თურქეთში ოჯახში ძალადობისა და განსაკუთრებით ქალთა მიმართ ძალადობის უმძიმესი მდგომარეობიდან გამომდინარე. კვლევის შედეგად გაკეთდა რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: თავისუფლება, მექანიზმები, ურთიერთქმედება

International Regional and Universal Human Rights Treaty Bodies and Their Importance

Nino Botchorishvili

Doctor in Law, Associate Professor at Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University

Email: nino.botchorishvili@gttu.edu.ge

სინო ბოჭორიშვილი

ABSTRACT

The article discusses important aspects of the enjoyment of internationally and nationally recognized fundamental human rights and the effectiveness of national and international remedies for infringement of these rights.

The research discusses the Council of Europe as a regional international organization and the United Nations as a universal international organization and the importance of regional and universal mechanisms established by the international treaty adopted by them. The article discusses the reasons for the infrequent reference to universal supervisory bodies, as well as the negative consequences of the withdrawal of a member state from the Convention on Preventing and Combating Violence Against Women and Domestic Violence adopted under the auspices of the Council of Europe.

Although Georgia signed the Convention on the Rights of Persons with Disabilities in 2014, its additional protocol has not yet been ratified, therefore, there is no mechanism for appealing to the Committee on the Rights of Persons with Disabilities.

Research has shown that for Turkey, the transposition of the provisions of the Istanbul Convention into national law and its practical implementation has become an insuperable problem, causing Turkey to withdraw from the Convention, which unambiguously can be considered as a step back considering the severe situation in Turkey in terms of domestic violence and especially, violence against women.

The recommendations has been made as a result of the research.

KEYWORDS: Liberty, Mechanisms, Interaction

შესავალი

გლობალიზაციის პირობებში მსოფლიოში პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, სოციალური და სამართლებრივი მოვლენები სულ უფრო და უფრო ურთიერთდაკავშირებული ხდება და უფრო ფართო მნიშვნელობას იღებს. გლობალიზაციის პროცესში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის კვლევას.

1945 წლის შემდეგ დასავლეთ ევროპა სულ უფრო და უფრო აღიქვამდა საკუთარ თავს, როგორც ეკონომიკების და ხალხების მაღალ დონეზე ინტეგრირებულ და მჭიდროდ დაკავშირებულ ჯგუფებს. 1989 წლის შემდეგ ევროპის კონტინენტზე პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები „ადარ ემყარება დანაწევრებულ, ძალთა ბალანსზე დაფუძნებულ ევროპას, არამედ პოლიტიკურ სივრცეს, რომელშიც სულ უფრო მეტად დომინირებს ერთიანი ორგანიზაცია, იმდენად, რომ დაპირისპირება და მეტოქეობა წევრებს შორის უკიდურესად შემცირებულია საერთო წესებისა და ინსტიტუტების საშუალებით“¹

საერთაშორისო ორგანიზაციები წარმოადგენენ საერთაშორისო ცხოვრების მოწესრიგების ყველაზე განვითარებულ და მრავალმხრივ მექანიზმს. თანამედროვე მსოფლიოში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ერთ-ერთი მთავარი

მხასიათებელია საერთაშორისო ორგანიზაციათა რაოდენობისა და აქტიურობის მკვეთრი ზრდა².

გლობალიზაციის პროცესმა ხელი შეუწყო რეგიონალური და უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნას.

საქართველოს კონსტიტუციით „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა სახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ“³ ასევე ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით შიდა სახელმწიფოებრივ კანონმდებლობასა და საერთაშორისო ხელშეკრულებას შორის კოლიზიის არსებობისას ცალსახად საერთაშორისო ხელშეკრულებას ანიჭებს უპირატესობას⁴.

საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებების საქართველოს კანონმდებლობის ნაწილად აღიარებით საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ნორმები სახელმწიფოებრივი სამართლის წყარო ხდება. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით – საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია⁵. ამავე მუხლის მე-3 პუნქტით კი – ოფიციალურად გამოქვეყნებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკ-

1 Keohane, R., and others (eds.), 1993. After the Cold War: International Institutions and State Strategies in Europe 1989-1991 London: Harvard Univ. Press.

2 სანიკიძე, გ. და კილურაძე, ნ., 2001. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები. თბილისი: ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“.

3 საქართველოს კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>> [წვდომის თარიღი 25 ნოემბერი 2021].

4 ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90052?publication=33>> [წვდომის თარიღი 25 ნოემბერი 2021].

5 მუხლი 6, პუნქტი 1, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ საქართველოს კანონი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/33442?publication=16>> [წვდომის თარიღი 25 ნოემბერი 2021].

რულების დებულებები, რომლებიც ადგენენ კონკრეტული ხასიათის უფლებებსა და მოვალეობებს და არ საჭიროებენ დამაზუსტებელ შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიღებას, საქართველოში მოქმედებენ უშუალოდ. შესაბამისად, საერთაშორისო ხელშეკრულებები, საქართველოსათვის სავალდებულოა როგორც საერთაშორისო დონეზე, ისე ეროვნულ დონეზეც.

საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე აღიარებული ადამიანის ფუნდამენტური უფლებების მარტოდენ აღიარება საკმარისი არ არის, მთავარია უფლებებით სარგებლობა და დარღვეული უფლებების ეროვნულ დონეზე დაცვის საშუალებების ეფექტურობა. იმ შემთხვევაში კი, როდესაც პირი საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას სახელმწიფოს შიგნით ვერ ახერხებს, მას შესაძლებლობა აქვს საკუთარი უფლებების დასაცავად გამოიყენოს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები.

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები იყოფა: ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალურ და ადამიანის უფლებათა დაცვის რეგიონულ ინსტრუმენტებად. კვლევის ფარგლებში განხილული იქნება ევროპის საბჭო, როგორც რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაცია და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, როგორც უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია.

ევროპის საბჭო – რეგიონალური ორგანიზაცია

ევროპის საბჭო – რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაცია – ევროპის საბჭო, რომელიც წარმოადგენს რეგიონალურ

საერთაშორისო ორგანიზაციას, შეიქმნა 1949 წელს და ამჟამად აერთიანებს 47 წევრ სახელმწიფოს. ევროპის საბჭო არის საერთო-ევროპული სტანდარტების დამდგენი სივრცე ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობის და დემოკრატიული განვითარებისთვის. ამჟამად ევროპის საბჭოს ეგიდით 211-მდე რეგიონული, საერთაშორისო ხელშეკრულებაა შექმნილი.

ევროპის საბჭო ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციას წარმოადგენს, რომლის წევრობას სახელმწიფოსათვის გარკვეულწილად ადასტურებს მათ მიკუთვნებას პლურალისტული დემოკრატიის სტანდარტებისადმი. ქვეყნები, რომლებიც ევროსაბჭოში ერთიანდებიან, იღებენ ვალდებულებას, რომ ხელს მოაწერენ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას.

ევროპის საბჭოს ინსტიტუციური სტრუქტურა აერთიანებს ევროპის საბჭოს-მინისტრთა კომიტეტს, საპარლამენტო ასამბლეას, ადგილობრივ და რეგიონულ თვითმმართველობის ორგანოთა კონგრესს და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია⁶ არის საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ევროპის საბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა კონვენციის რატიფიცირებით აიღეს ვალდებულება დაიცვან არამართო მათი მოქალაქეების, არამედ მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ყველა პირის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები. კონვენცია, რომელსაც ხელი 1950 წლის 4 ნოემბერს რომში მოეწერა, ძალაში შევიდა 1953 წელს. კონვენციით დაცული უფლებების უზრუნველსაყოფად დაარსდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული

6 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>> [წვდომის თარიღი 25 ნოემბერი 2021].

კონვენციის XI დამატებითი ოქმი, რომელმაც დაარსა ადამიანის უფლებათა ერთიანი და მუდმივმოქმედი სასამართლო, ძალაში შევიდა 1998 წლის 11 ნოემბერს, ხოლო XIV დამატებითი ოქმი პროცედურების გამარტივების შესახებ ძალაში შევიდა 2011 წლის 1 ივნისს.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას საქართველომ ხელი მოაწერა 1999 წლის 27 აპრილს. 1999 წლის 20 მაისს პარლამენტმა მოახდინა მისი რატიფიცირება და ის ძალაში შევიდა: I დამატებითი ოქმი ძალაში შევიდა 2002 წლის 7 ივნისს; IV დამატებითი-ოქმიძალაშიშევიდა 2000 წლის 13 აპრილს; VI დამატებითი ოქმი ძალაში შევიდა 2000 წლის 1 მაისს; VII დამატებითი ოქმი ძალაში შევიდა 2000 წლის 1 ივნისს; XII დამატებითი ოქმი 2005 წლის 1 აპრილს; XIII დამატებითი ოქმი 2003 წლის 1 სექტემბერს.

საქართველო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას 1999 წელს შეუერთდა, ევროპული სასამართლოს პირველი გადაწყვეტილება საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი იქნა 2002 წელს, საქმე ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ, წლების მანძილზე იზრდებოდა ევროპული სასამართლოსადმი მიმართვიანობა საქართველოს წინააღმდეგ და 2002 წლიდან დღემდე სულ 106 გადაწყვეტილება აქვს გამოტანილი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საქართველოს წინააღმდეგ⁷. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის რეგიონალური

მექანიზმი, უფრო მეტად ხელმისაწვდომია და ქმედითია საქართველოს მოქალაქეებისათვის, ვიდრე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მიღებული საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე დარსებული უნივერსალური მექანიზმები.

ევროპის საბჭოს ეგიდით მიღებული კიდევ ერთი საერთაშორისო ხელშეკრულება არის ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (შემდგომში – სტამბულის კონვენცია)⁸, რომელიც უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო აქტს წარმოადგენს. სტამბულის კონვენცია მიღებულია ევროპის საბჭოს მიერ 2011 წლის 11 მაისს, ის ძალაში შევიდა 2014 წელს, სავალდებულოდ აღიარებაზე კონვენციის 10 ხელმომწერი მხარის მიერ თანხმობის გამოხატვის შემდეგ⁹.

სტამბულის კონვენციას საქართველომ ხელი 2014 წელს მოაწერა, 2017 წელს კი რატიფიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ. კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოებს მიიღონ შესაბამისი კანონმდებლობა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მაქსიმალურად ეფექტური ბრძოლის უზრუნველყოფის მიზნით. კონვენცია განსაზღვრავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა, ძალადობის თავიდან აცილება, მოძალადეთა მიერ ჩადენილი დანაშაულის კრიმინალიზაცია.

სტამბულის კონვენციის მიხედვით ოჯახში ძალადობა ნიშნავს „ყველა ფიზიკურ,

7 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.justice.gov.ge/Ministry/Index/155>> [წვდომის თარიღი 25 ნოემბერი 2021].

8 ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ კონვენცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0>> [წვდომის თარიღი 25 ნოემბერი 2021].

9 მუხლი 75, პუნქტი 3, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ კონვენცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0>> [წვდომის თარიღი 25 ნოემბერი 2021].

სქესობრივ, ფსიქოლოგიურ თუ ეკონომიკურ ძალადობას, რაც ხდება ოჯახში ან ოჯახურ წრეში, ყოფილ ან ამჟამინდელ მეუღლეებს, ან პარტნიორებს შორის, იმის მიუხედავად, მოძალადე იზიარებდა თუ არა საცხოვრებელს მსხვერპლთან¹⁰.

სტამბულის კონვენციით განისაზღვრება შემდეგი სახის ძალადობის ფორმები: ფსიქოლოგიური ძალადობა, დევნა, ფიზიკური ძალადობა, სქესობრივი ძალადობა, იძულებითი ქორწინება, გენიტალიების დასახიჩრება; იძულებითი აბორტი, იძულებითი სტერილიზაცია... და წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს აღნიშნული ქმედებების კრიმინალიზაციისაკენ.

სტამბულის კონვენცია ასევე ეხება სტერეოტიპებს, ღირსების სახელით ჩადენილ დანაშაულებს და სხვა მსგავს მავნე პრაქტიკას, რომელიც ოჯახში ძალადობის მაპროვოცირებელია. სტამბულის კონვენცია ეხება მოძალადეთა რეაბილიტაციის აუცილებლობას და ამ კუთხით გასატარებელ ღონისძიებებს, ისევე, როგორც განათლების როლს და მნიშვნელობას ოჯახში პრევენციის საკითხებში. სტამბულის კონვენცია ეხება ნაადრევ ქორწინებებს და სახელმწიფოებს მოუწოდებს, შექმნან შესაბამისი კანონმდებლობა მსგავსი პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით; სტამბულის კონვენცია ასევე ეხება არასრულწლოვანი მსხვერპლის და ძალადობის მოწმის საკითხს.

ოჯახში ძალადობის გამომწვევი რამდენიმე მიზეზი არსებობს, რომლებიც თავისი ბუნებით არაერთგვაროვანია. საზოგადოებაში გაბატონებულია მოსაზრება, რომ ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზი არის

უმუშევრობა. სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, ნარკომანია და ალკოჰოლიზმი¹¹. მეცნიერული კვლევის თანხმად, ისინი გარკვეულწილად ძალადობის ხარისხზე მოქმედებენ. ძალადობის გამომწვევი მიზეზები კი ძალაუფლება და მისი კონტროლია. სოციალური და ეკონომიკური პრობლემები სულაც არ წარმოადგენს ძალადობის გამომწვევ მიზეზებს¹².

ძალადობა – ძალის აშკარა ან ფარული გამოყენება – ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფისაგან ისეთი რამის მისაღწევად, რაზედაც ისინი თავისი ნებით არ თანხმდებიან. სინონიმებია: აგრესია, სასტიკი მოპყრობა, შეურაცხყოფა, იძულება, ხელყოფა, წამება, მუქარა. ძალადობა არის ყოველგვარი ქმედება ან სიტყვა, რომელსაც შეუძლია ადამიანი შეურაცხყოს, ზიანი მოუტანოს მას ან შეულახოს კანონით მინიჭებული უფლებები. ძალადობის დროს ითრგუნება ადამიანის ნება, შელახულია მისი ხელშეუხებლობა, ღირსება და თავისუფლება. ესენი კი ადამიანის განუყოფელი უფლებებია.

არსებობს პირდაპირი და არაპირდაპირი (ანუ სტრუქტურული) ძალადობა. პირდაპირი ძალადობა ნიშნავს ფიზიკურ ძალადობას, ფიზიკური ძალის ან ძალაუფლების წინასწარგამიზნულ გამოყენებას, მიმართულს საკუთარი თავის, სხვა ადამიანის ან საზოგადოების წინააღმდეგ, რომლის შედეგადაც ადგილი აქვს (ან არსებობს ამის დიდი ალბათობა) სიკვდილს, სხეულის დაზიანებას, ფსიქოლოგიურ ტრავმას, ნორმალური განვითარებიდან გადახრას ან სხვადასხვა სახის ზარალს. არაპირდაპირი ძალადობა კი ნიშნავს სიდატაკეს, ექსპლუ-

10 მუხლი 3, პუნქტი „ბ“, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ კონვენცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0>> [წვდომის თარიღი 25 ნოემბერი 2021].

11 ბოჭორიშვილი, კ. და ლორია ა., 2009. პრაქტიკული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე. თბილისი: ბონა კაუზა. გვ. 19.

12 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. 2006. ოჯახში ძალადობა, ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ. თბილისი: მერიდიანი, გვ. 29.

ატაციას, სოციალურ უსამართლობას, დემოკრატიის უქონლობას და ა.შ.

ძალადობა შედგება სამი კომპონენტი-საგან: მსხვერპლი, დამნაშავე და თვით ქმედება. თავისი ხასიათისა და შედეგების გათვალისწინებით იგი ხშირად მოიაზრება, როგორც კრიმინალი. ძალადობა მოიცავს უკანონო ქმედებათა ყველა სახეს, გამოხატულს მუქარით ან ქმედებით, რომელსაც შედეგად მოჰყვება ქონების დაზიანება ან განადგურება, ანდა პიროვნების შეურაცხყოფა, ან სიკვდილი. ძალადობის ყველაზე ფართოდ გამოხატული ფორმაა ძალადობა ოჯახში. ოჯახში ძალადობის ფორმებია: ფიზიკური ძალადობა (ცემა), სექსუალური ძალადობა, მუქარა, ემოციური ძალადობა (სისტემატური ყვირილი, გინება), საზოგადოებისგან იზოლაცია, რაიმე ქმედების მუქარით აკრძალვა, დაშინება და ა.შ. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი შეიძლება იყოს ქალი, ბავშვი, ინვალიდი, მოხუცი და, იშვიათად, მამაკაცი. ყველაზე გავრცელებული ფორმაა ქმრის ძალადობა ცოლზე და მშობლების – შვილებზე.¹³

ოჯახში ძალადობა მსოფლიოში ერთ-ერთი გავრცელებული სოციალურ – სამართლებრივი ფორმაა. ოჯახურ ძალადობაში მონაწილეებად მოიაზრებიან ის პირები, რომლებიც ურთიერთთანაცხოვრებაში არიან, ოჯახში მოძალადე უმეტესად ერთი პიროვნებაა, რომელიც სხვადასხვა სახის ზეწოლას ახდენს სხვა ოჯახის წევრებზე, ზუსტად იმ ფაქტის გამო, რომ ეს ქმედება ხდება ოჯახის წევრებს შორის დიდი ხნის განმავლობაში, ასე ვთქვათ, ტაბუდადებულად ითვლებოდა არა მარტო სხვა ქვეყნებში, არამედ საქართველოშიც და მასში ჩარევა ოჯახის საქმეში ჩარევად ითვლებოდა. სწორედ ამ ფაქტის აღმოსაფხვრელად შემუშავებულია უამრავი თეორია და სანქცია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც შეუძლებელია ამის სრულად მოსპობა.

სტამბულის კონვენცია არის იურიდიულად სავალდებულო ევროპის საბჭოს ხელშეკრულება, რომელიც მიმართულია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთისაკენ.

სტამბულის კონვენცია დღეის მდგომარეობით რატიფიცირებულია ევროპის საბჭოს 47 წევრი ქვეყნიდან 34 წევრი სახელმწიფოს მიერ, ხოლო დარჩენილი 13 სახელმწიფოდან ნაწილს ხელმოწერა აქვს, მაგრამ არა რატიფიცირებული, ზოგიერთი საერთოდ უარს ამბობს ხელმოწერაზე.

სტამბულის კონვენცია არ არის ხელმომწერი რუსეთის ფედერაციის და აზერბაიჯანის მიერ, ხოლო დანარჩენი 11 ქვეყანა – სომხეთი, ბულგარეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, უნგრეთი, ლატვია, ლიხტენშტეინი, ლიტვა, მოლდოვის რესპუბლიკა, სლოვაკეთის რესპუბლიკა, უკრაინა, გაერთიანებული სამეფო მიუხედავად ხელმოწერისა, დღემდე თავს იკავებენ სტამბულის კონვენციის რატიფიცირებაზე.

სტამბულის კონვენცია ხელმოსაწერად გაიხსნა თურქეთის სახელმწიფოში – ქალაქ სტამბულში, სწორედ ამიტომ კონვენციის სახელწოდება პრაქტიკაში დამკვიდრდა, როგორც „სტამბულის კონვენცია“. გადაწყვეტილება კონვენციის რატიფიცირების შესახებ თურქეთის პარლამენტმა 2012 წელს მიიღო ერთხმად. ეს ხელშეკრულება წარმოადგენდა უნიკალურ იურიდიულ ინსტრუმენტს ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ კონვენციის ტექსტს მხარს უჭერდა და უჭერს ყველა ქალთა უფლებების დამცველი თურქეთში, რომლებიც წლების მანძილზე ითხოვდნენ კონვენციით აღიარებული უფლებების განხორციელებას ქვეყნის მასშტაბით. მიუხედავად თურქეთის სახელმწიფოს ძალისხმევისა, მოხდინათ კონვენციის დებულებების ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვა, პრაქტიკაში მისი გამოყენება გადა-

13 ბოჭორიშვილი, კ. და ლორია, ა., 2009. პრაქტიკული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე. თბილისი: ბონა კაუზა, გვ. 27.

ულახავ პრობლემად იქცა, სწორედ ამიტომ კონვენციის რატიფიცირებიდან 9 წლის შემდეგ – 2021 წლის 20 მარტს თურქეთის პრეზიდენტმა გააკეთა განაცხადი ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციიდან გასვლის შესახებ, რაც ცალსახად უკანგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება შეფასდეს თურქეთში ოჯახში ძალადობისა და განსაკუთრებით ქალთა მიმართ ძალადობის უმძიმესი მდგომარეობიდან გამომდინარე.

თურქეთის სახელმწიფოს კონვენციიდან გასვლის გადაწყვეტილებას უდიდესი გამომხაურება მოჰყვა როგორც ევროპის საბჭოში, ისე ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში, აღსანიშნავია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის დუნჯა მიატოვიჩის ოფიციალური განმარტება: – „2021 წლის 20 მარტს გამოცემული თურქეთის პრეზიდენტის ბრძანებულება, რომელიც ითვალისწინებს ევროპის საბჭოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კონვენციიდან გასვლის შესახებ, არასათანადოდ გააზრებული გადაწყვეტილებაა. ეს ძირს უთხრის ქალის უფლებებს და არასწორ სიგნალს უგზავნის თურქეთის და მის ფარგლებს გარეთ მყოფ ყველა ქალს, იმ პერიოდში, როდესაც ქვეყანაში იზრდება ფემიციდი და ქალთა მიმართ სხვა სახის ძალადობა, თურქეთმა არ უნდა დაიხიოს უკან“¹⁴. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა დუნჯა მიატოვიჩმა მოუწოდა თურქეთის ხელისუფლებას გადახედოს კონვენციიდან გასვლის გადაწყვეტილებას.

თურქეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილებას სტამბულის კონვენციიდან გასვლის შესახებ, თურქეთის არაერთ ქალაქში პროტესტი მოჰყვა. მომიტინგეების ლოზუნგებს

შორის იყო: „სტამბოლის კონვენცია ზოგავს სიცოცხლეს“ და „ჩვენ არ ვიღებთ ერთი ადამიანის გადაწყვეტილებას“. ქალთა უფლებების დამცველებმა, ადვოკატებმა და ოპოზიციურმა პოლიტიკოსებმა დაგმეს ერდოღანის განკარგულება და ამტკიცებდნენ, რომ მას არ შეუძლია თურქეთის კანონიერად გაყვანა პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო კონვენციიდან. თურქეთში ყოველდღე კლავენ ქალებს და კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ეს ნაბიჯი ქალებს კიდევ უფრო დიდ საფრთხეში აყენებს. არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩვენ შევაჩერებთ ფემიციდის“ პლატფორმის მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, სულ მცირე 300 ქალი იქნა მოკლული 2020 წელს, ძირითადად მათი პარტნიორების მიერ, ხოლო 171 ქალი გარდაცვლილი იპოვნეს საექვო ვითარებაში. თურქეთში კონვენციის მოწინააღმდეგეების აზრით, კონვენცია ხელს უწყობს განქორწინებას და ძირს უთხრის ტრადიციულ ოჯახურ ღირებულებებს. მათ განსაკუთრებით პრობლემურად მიაჩნიათ, რომ ხელმომწერებმა უნდა დაიცვან მსხვერპლები დისკრიმინაციისგან, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტურობის მიუხედავად. მათი შეშფოთება არის ის, რომ ამ ცალკეულმა პუნქტმა შეიძლება გამოიწვიოს გეი ქორწინება.

სტამბულის კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოებს, მიიღონ საკანონმდებლო და პრაქტიკული ზომები ქალთა მიმართ ძალადობის აღსაკვეთად, მსხვერპლთა დასაცავად და დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად. სტამბულის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების მიერ კონვენციის დებულებების ეფექტური შესრულების უზრუნველსაყოფად შექმნილია სპეციალური დამოუკიდებელი მონიტორინგის მექანიზმი, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში

14 ევროპის საბჭოს ოფიციალური ვებგვერდი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.coe.int/en/web/commissioner/-/turkey-s-announced-withdrawal-from-the-istanbul-convention-endangers-women-s-rights>> [წვდომის თარიღი 25 ნოემბერი 2021].

ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფი (შემდგომში „გრევიო“). გრევიო-ს მიერ წევრი სახელმწიფოების პირველი (საბაზისო) შეფასების პროცედურის დროებითი გრაფიკი წინასწარ აქვს შემუშავებული, რომელიც მოიცავს 2016-2023 წლებს.

თურქეთმა ანგარიში გრევიო-ს წარუდგინა 2017 წელს. პირველი ზოგადი ანგარიში გრევიოს საქმიანობის შესახებ ექსპერტთა ჯგუფმა 2019 წელს გამოაქვეყნა, რომელიც ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ წევრი სახელმწიფოების მიერ წარდგენილი ანგარიშების საფუძველზე შედგება და მოიცავს 2015 წლის ივნისიდან 2019 წლის მაისამდე პერიოდს¹⁵ ამ მოხსენებით გათვალისწინებულ პერიოდში, გრევიო-მ მიიღო 15 სახელმწიფო ანგარიში შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოებისთვის გაგზავნილი მოთხოვნების შესაბამისად. ესენი იყვნენ: ავსტრია, მონაკო, დანია, ალბანეთი, თურქეთი, მონტენეგრო, პორტუგალია, შვედეთი, საფრანგეთი, ფინეთი, სერბეთი, ნიდერლანდები, იტალია, ესპანეთი, ბელგია. შეფასების ანგარიშები აფასებს მხარეების მიერ კონვენციის შესრულებას, აგრეთვე ნორმატიულ ჩარჩოებს, როგორც სახელმწიფოთა პოლიტიკასა და პრაქტიკაზე. ეს შეფასება მიუთითებს იმაზე, რომ კონვენციამ უკვე მოახდინა ხელშესახები და პოზიტიური გავლენა. მას აქვს ერთი რამ, გენდერული ნიშნით ძალადობა განდა საზოგადოებისათვის ცნობილი და გაიზარდა მსხვერპლთა და საზოგადოების ინფორმირებულობა მასთან ბრძოლის აუცილებლობის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ მიღწეულია პროგრესი ბევრ მონაწილე სახელმწიფოში, ამის მიუხედავად, სპეციალური დახმარე-

ბის სერვისების რაოდენობა ძალადობის მსხვერპლთა მიმართ კვლავ არასაკმარისია და მისი დაფინანსება ძალზე არამდგრადია. ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: ალბანეთი, დანია, ავსტრია და თურქეთი, პრობლემურია დამხმარე სერვისები, რადგან სოფლად არ არის დამხმარე მომსახურება, პრაქტიკაში მოსახლეობის სეგმენტების გამოორიცილება.

გრევიო-მ ასევე გამოავლინა რამდენიმე ხარვეზი კონვენციის დებულებების არადისკრიმინაციული განხორციელების მხრივ (როგორც ეს გათვალისწინებულია მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით) და შენიშნა ეფექტური ზომების არარსებობა ქალების საჭიროებების გათვალისწინებით მოწყვლადი ჯგუფები. მართლაც, შეფასების ანგარიშებში ხაზგასმულია, რომ დაზარალებული ქალები ძალადობის, რომლებიც მიეკუთვნებიან მოწყვლად ჯგუფებს (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები, ქალები) ეროვნული უმცირესობებისგან, ბოშების საზოგადოების ჩათვლით, LBT (ლესბოსელი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი) ქალები, ქალები სოფლებიდან, მიგრანტები, თავშესაფრის მაძიებლები და ლტოლვილი ქალები, ბინადრობის ნებართვის არმქონე ქალები და დამოკიდებულების მქონე ქალები) ხშირად კონკრეტული ბარიერების წინაშე აღმოჩნდნენ.

გრევიოს ექსპერტთა ჯგუფმა ასევე გამოაქვეყნა თურქეთზე საბაზისო შეფასების ანგარიში¹⁶, სადაც თურქეთში კონვენციის დებულებების დარღვევები ფიქსირდება. გრევიო მოუწოდებს თურქეთს გააფართოვოს მოსამართლეთა და პროკურორთა შესაძლებლობების განვითარების მცდელობები, რომ გაიგოს და გამოიყენოს საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები და

15 ევროპის საბჭოს ოფიციალური ვებგვერდი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://rm.coe.int/1st-general-report-on-grevio-s-activities/16809cd382>> [წვდომის თარიღი 25 ნოემბერი 2021].

16 ევროპის საბჭოს ოფიციალური ვებგვერდი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://rm.coe.int/eng-grevio-report-turquie/16808e5283>> [წვდომის თარიღი 25 ნოემბერი 2021].

სტანდარტები ქალთა ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის შესახებ ქალებსა და მამაკაცებს შორის, სტამბულის კონვენციის დებულებების შესაბამისად, აგრეთვე ჩაატაროს ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები ყველა ქალისა და გოგონასთვის, რომელთა მიზანია მათი ცოდნის გაზრდა ამ დებულებებისა და არსებული საშუალებების შესახებ, მათი უფლებების მოთხოვნის შესახებ, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოში;

გრევიო ასევე მოუწოდებს თურქეთის ხელისუფლებას, ხელი შეუწყოს პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელებას ქალებისა და გოგონების დისკრიმინაციული სტერეოტიპების წინააღმდეგ. ამ მიზნით, ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს და მხარი დაუჭიროს ადგილობრივ ქალთა და გოგონების ცენტრებს, რომლებიც მუშაობენ ქალებისა და გოგონების გაძლიერებაზე ყველა თემში, განსაკუთრებით იმ თემებში, როგორცაა: სოფლის თემები, სადაც გაბატონებული პატრიარქალური დამოკიდებულება, მნიშვნელოვან გამოწვევას უქმნის გენდერულ თანასწორობას.

გრევიო ასევე ყურადღებას ამახვილებს თურქეთში კონვენციის საწინააღმდეგო მანკიერი ჩვეულებების პრაქტიკაზე და მოუწოდებს მას, უზრუნველყოს თვითმკვლელობების, უბედური შემთხვევებისა და ქალთა სიკვდილის შემთხვევები, რომლებიც შეიძლება შეინიღბოს „პატივის“ სახელით, გამოიძიოს ეფექტურად და მოძალადეები მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თურქეთმა გრევიოს ანგარიშების გათვალისწინებით საკუთარი კანონმდებლობისა და პრაქტიკის გაუმჯობესების ნაცვლად, მიიღო სრულიად გაუმართლებელი გადაწყვეტილება და უარი თქვა კონვენციის შესრულებაზე მაშინ, როდესაც ევროპის საბჭო ძალისხმევას არ იშურებდა, დარჩენილ 13 სახელმწიფოს რაც შეიძლება უმოკლეს ვადებში მოეხდინა სტამბულის კონვენციის

რატიფიცირება და ექცია საკუთარი კანონმდებლობის ნაწილად. შესაბამისად, უმძიმესი დარტყმა აღმოჩნდა 2021 წლის 22 თებრვალს თურქეთის სახელმწიფოს მიერ გაკეთებული განაცხადი კონვენციიდან გასვლის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი არის 2021 წლის 01 ივნისი, სწორედ ეს ვადაა დარჩენილი იმისათვის, რომ თურქეთის სახელმწიფომ კიდევ ერთხელ გადახედოს საკუთარ გადაწყვეტილებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია – უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია

1945 წელს შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელიც ევროპის საბჭოსგან განსხვავებით წარმოადგენს უნივერსალურ საერთაშორისო ორგანიზაციას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციას გარდა იმისა, რომ ცენტრალური ადგილი უკავია სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციების სიტემაში, ასევე ასრულებს განსაკუთრებულ როლს თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკურ განვითარებაში. აღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაციის უმთავრესი მიზანია მშვიდობისა და საერთაშორისო უსაფრთხოების გარანტიების შექმნის ხელშეწყობა და სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობის განვითარება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს ორგანოებს წარმოადგენენ ეკონომიკური და სოციალური საბჭო და ჰააგაში არსებული საერთაშორისო სასამართლო. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შედის ასევე 14 სპეციალიზებული სააგენტო, რომელთაც სპეციალური ფუნქციური დანიშნულება გააჩნიათ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საწესდებო (არასახელმწიფოებო) ორგა-

ნოს წარმოაგენს – ადამიანის უფლებათა საბჭო, რომელიც პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა საკითხებზე. საბჭო განლაგებულია ჟენევაში და შედგება 47 წევრი სახელმწიფოსაგან. მისი მანდატი, სხვა ფუნქციებთან ერთად, ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა დარღვევებზე მუშაობას და რეკომენდაციების შემუშავებას. საბჭოს მოვალეობაში შედის ადამიანის უფლებების სფეროში გაეროს მუშაობის კოორდინირება. ასევე გაერო-ს (არასახელმწიფოებო) ორგანოა – უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა. უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მექანიზმი შეიქმნა 2006 წლის 15 მარტს. აღნიშნული მექანიზმის მეშვეობით ადამიანის უფლებათა საბჭოს აქვს მანდატი, პერიოდულად მოახდინოს გაერთიანებული ერების ყველა წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ადამიანის უფლებათა მდგომარეობის განხილვა. „უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის გამორჩეულ ხასიათში მოიაზრება ის ფაქტი, რომ მისი საშუალებით ხორციელდება ადამიანის უფლებათა მდგომარეობის ფართო მონიტორინგი. ვალდებულებათა შესრულება ყველა ქვეყანას თანაბრად ეკისრება, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა რატიფიცირებული ესა თუ ის ხელშეკრულება. ამჟამად არ არსებობს სხვა მსგავსი მექანიზმი, რომელიც ამგვარ მონიტორინგს განახორციელებდა სახელმწიფოებზე. უპმ. მთლიანად თანამშრომლობაზე დაფუძნებული მექანიზმია და ახდენს ადამიანის უფლებათა სახელმწიფოებო ორგანოების საქმიანობის შევსებას“¹⁷.

ცალკე უნდა აღინიშნოს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი, რომლის მიზანია ადამიანის უფლებათა დაცვა და ხელშეწყობა მთელს მსოფლიოში. მისი სათაო ოფისი განთავსებულია ჟენევა-

ში და წარმოდგენილია 40-ზე მეტ ქვეყანაში. ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი მუშაობს საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ნორმების განსამტკიცებლად, უწყობს ხელს ადამიანის უფლებათა შესახებ შესაბამისი შეთანხმებების რატიფიკაციას და კანონის უზენაესობის განმტკიცებას.

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის წარმომადგენლობა საქართველოში გაერთიანებულია საქართველოს გაეროს სააგენტოთა ჯგუფში და ეხმარება მთავრობას/სამოქალაქო საზოგადოებას ინსტიტუციონალურ გაძლიერებაში ადამიანის უფლებების დაცვისა და უშუალო განხორციელების მიზნით. ამის გარდა, გაეროს უმაღლესი კომისრის ოფისის მიზანია, მოახდინოს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვა გაეროს სააგენტოების საქმიანობაში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მიღებულია და წევრ სახელმწიფოთა მიერ ხელმოწერილია ასობით საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლებიც არეგულირებენ ურთიერთობებს საზოგადოებრივი ცხოვრების სრულიად სხვადასხვა სფეროებში.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის მიზნით შეიქმნა არაერთი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი, უპირველესი დოკუმენტი, რომელიც ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა თავისუფლებების დასაცავად შეიქმნა, იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1948 წელს მიღებული საერთაშორისო ხასიათის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია¹⁸.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით აღიარებული უფლებების

17 თომასვილი, თ., 2014. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები. თბილისი: საქართველოს რეფორმების ასოციაცია, გვ. 5.

18 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. 1948. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi3.pdf>> [წვდომის თარიღი 25 ნოემბერი 2021].

დაცვის მიზნით 1966 წლის 16 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი¹⁹. საქართველომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის რატიფიცირება მოახდინა 1994 წლის 3 მაისს და აიღო აღნიშნული პაქტით გათვალისწინებული ვალდებულებები, მათ შორის საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ვალდებულება. ხელმომწერი სახელმწიფოების მიერ პაქტით აღებული ვალდებულებების შესრულების ზედამხედველობას ახორციელებს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, რომელიც წარმოადგენს დამოუკიდებელ ექსპერტთა ორგანოს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მიღებული საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან მხოლოდ ცხრა აარსებს სახელშეკრულებო ორგანიზაციას, ესენია:

1. ადამიანის უფლებათა კომიტეტი, რომელსაც საქართველო შეუერთდა 1994 წლიდან.

2. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი 1981. CEDAW. საქართველო მიუერთდა 1994 წელს. დამატებითი ოქმი ძალაშია 2002 წლიდან.

3. რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი. 1969, CERD საქართველო მიუერთდა 1999 წელს. ინდივიდუალური განაცხადების დასაშვებობა 2005 წლიდან.

4. სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული უფლებების კომიტეტი.

5. ბავშვთა უფლებების კომიტეტი 1991. CRC

6. კომიტეტი წამების წინააღმდეგ. 1988. CAT. საქართველო მიუერთდა 2005 წელს.

7. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კომიტეტი. 1908, CRPD. საქართველო მიუერთდა 2014 წელს. საქართველო არა არის დამატებითი ოქმის მონაწილე.

8. მიგრანტ მუშაკთა უფლებების კომიტეტი 1985, CMW. საქართველო არა არის მონაწილე.

9. იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების კომიტეტი. საქართველო არა არის მონაწილე.

აქედან საქართველომ ინდივიდუალური განცხადებების წარდგენის 5 მექანიზმზე გამოთქვა თანხმობა, ესენია: 1. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით შექმნილი – ადამიანის უფლებათა კომიტეტი. 2. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციით – ქალთა დისკრიმინაციის სალიკვიდაციო კომიტეტი. 3. წამების წინააღმდეგ კონვენციის ფარგლებში შექმნილი – წამების საწინააღმდეგო კომიტეტი. 4. რასობრივი დისკრიმინაციის კონვენციით შექმნილი – რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი. 5. ბავშვის უფლებათა კონვენციით შექმნილი – ბავშვის უფლებების კომიტეტი. რაც შეეხება ინდივიდუალური განცხადებების წარდგენის კიდევ ერთ მექანიზმს – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციით შექმნილ – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კომიტეტს, მიუხედავად იმისა, რომ კონვენციას ხელი 2014 წელს მოეწერა, დამატებითი ოქმი დღემდე არ არის რატიფიცირებული, თუმცა ვიმედოვნებთ, უახლოეს პერიოდში მოეწერება ხელი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მიღებული საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე დაარსებული აღნიშნული უნივერსალური მექანიზმები

19 საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ. 1966. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0>> [წვდომის თარიღი 25 ნოემბერი 2021].

საქართველოში დიდი პოპულარულობით არ სარგებლობს, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირება საქართველოს დამოუკიდებლობის დღიდან დავიწყეთ, ინდივიდუალური განაცხადებით მიმართვის შესაძლებლობა ძალიან დაგვიანდა, რიგ შემთხვევაში კი – დღესაც არ არის შესაძლებელი, მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დაცვის კომიტეტის უფლება განიხილოს ინდივიდუალური განაცხადები საქართველოს წინააღმდეგ. უნივერსალური საზედამხებელი ორგანოების ნაკლებ გამოყენების პრაქტიკა გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, ინფორმაციის ნაკლებობით და მეორე მხრივ, კომიტეტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე კომპენსაციის განსაზღვრის მექანიზმის არარსებობის გამო.

კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ დღეის მდგომარეობით არსებითად განხილულია 4 საქმე, კერძოდ: ადამიანის უფლებათა კომიტეტის გადაწყვეტილებები საქმეებზე – ღომუკოვსკი, წიკლაური, გელ-

ბახიანი და დოკვაძე საქართველოს წინააღმდეგ²⁰ და შოთა რატიანი საქართველოს წინააღმდეგ²¹. ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის მიერ მიღებულია გადაწყვეტილება საქმეზე – X და Y საქართველოს წინააღმდეგ²², ხოლო წამების წინააღმდეგ კომიტეტის გადაწყვეტილება საქმეზე – ჯ.ჩ. და ჯ.ე. საქართველოს წინააღმდეგ²³

ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ განხილული პირველი საქმე იყო შოთა რატიანი საქართველოს წინააღმდეგ, რომელზეც გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა 2005 წელს²⁴, მაგრამ აღსრულების მექანიზმის ეროვნულ დონეზე არ არსებობის გამო აღსრულებები იყო. აღსრულების მექანიზმი კი 10 წლის შემდეგ, 2016 წელს გაჩნდა, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებით 35³-ე მუხლის პირველი პუნქტით „პირი, რომლის მიმართაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ან ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის

- 20 ადამიანის უფლებათა კომიტეტის 1998 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე ღომუკოვსკი, წიკლაური, გელბახიანი და დოკვაძე საქართველოს წინააღმდეგ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<http://hrlibrary.umn.edu/undocs/session62/2327.htm?fbclid=IwAR32OVG8F3gXqcoXANw-1lhUcjmK5mPxxUn3sFKchufA-YbPv6xBwImEXE>> [წვდომის თარიღი 25 ნოემბერი 2021].
- 21 ადამიანის უფლებათა კომიტეტის 2005 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე რატიანი საქართველოს წინააღმდეგ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://hrlibrary.umn.edu/undocs/975-2001.html?fbclid=IwAR3EscUIeFD4eKSr7mdUHyGsdf5_fha6GPmH5UsrkZ-_5v0PoCVAP_dXPY> [წვდომის თარიღი 25 ნოემბერი 2021].
- 22 ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის 2015 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე X და Y საქართველოს წინააღმდეგ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saertashorisokvleebii7.pdf?fbclid=IwAR0LC52vZLLN6pn8PJfupL7YteOAdmdaeNOvD0IWFsGQHx-GtLWtDMcp1Cg>> [წვდომის თარიღი 25 ნოემბერი 2021].
- 23 წამების წინააღმდეგ კომიტეტის 2017 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე ჯ.ჩ. და ჯ.ე. საქართველოს წინააღმდეგ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://atlas-of-torture.org/en/document/h7po7091r0jhri3ilqns1c3di?page=1&fbclid=IwAR2gjmkyYfga-Ze8vFYWirzmXfl6iz9dd7fSBjG-jjhFtZFBdWqQoA4grY>> [წვდომის თარიღი 25 ნოემბერი 2021].
- 24 ადამიანის უფლებათა კომიტეტის 2005 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე რატიანი საქართველოს წინააღმდეგ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://hrlibrary.umn.edu/undocs/975-2001.html?fbclid=IwAR3EscUIeFD4eKSr7mdUHyGsdf5_fha6GPmH5UsrkZ-_5v0PoCVAP_dXPY> [წვდომის თარიღი 25 ნოემბერი 2021].

ადმოფხვრის კომიტეტმა ამ კოდექსის VII¹⁴ თავის ამოქმედებამდე მიიღო გადაწყვეტილება სახელმწიფოს მიერ კომპენსაციის გადახდის თაობაზე, უფლებამოსილია, აღნიშნული კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე ფულადი კომპენსაციის გაცემის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს ამ კოდექსის VII¹⁴ თავით დადგენილი წესით²⁵. როგორც ვხედავთ, 10 წლის დაგვიანებით და მხოლოდ ორი საზედამხედველო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე შეგვიძლია მივმართოთ სასამართლოს კომპენსაციის გაცემის მოთხოვნით.

საქართველოს კანონმდებლობის მნიშვნელოვანი ხარვეზის გამოსწორებად შეიძლება შეფასდეს 2016 წელს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლში განხორციელებული ცვლილება, აღსანიშნავია, რომ კოდექსი მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე ითვალისწინებდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვას, ხოლო ცვლილებით 423-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ „არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის ადმოფხვრის კომიტეტის, ბავშვის უფლებათა კომიტეტის, წამების წინააღმდეგ კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმი-

ნაციის ადმოფხვრის კომიტეტის (შემდგომ – კომიტეტი) გადაწყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან დაკავშირებით დადგენილ იქნა კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა და გადასასინჯი გადაწყვეტილება ამ დარღვევას ეფუძნება“²⁶. იმავე შინაარსის ცვლილებები განხორციელდა, ასევე, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლში, ასევე საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 21⁵⁷-ე მუხლში.

დასკვნა

სტამბულის კონვენცია ხელმოსაწერად გაიხსნა თურქეთის სახელმწიფოში, ქალაქ სტამბულში, სწორედ ამიტომ კონვენციის სახელწოდება პრაქტიკაში დამკვიდრდა, როგორც „სტამბულის კონვენცია“. ეს ხელშეკრულება წარმოადგენდა უნიკალურ იურიდიულ ინსტრუმენტს ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ. მიუხედავად თურქეთის სახელმწიფოს ძალისხმევით, მოეხდინათ კონვენციის დებულებების ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვა, პრაქტიკაში მისი განხორციელება გადაულახავ პრობლემად იქცა, სწორედ ამიტომ კონვენციის რატიფიცირებიდან 9 წლის შემდეგ 2021 წლის 20 მარტს თურქეთის პრეზიდენტმა გააკეთა განაცხადი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციიდან გასვლის შესახებ, რაც ცალსახად უკან გადაგმულ ნაბიჯად შეიძლება შეფასდეს თურქეთში ოჯახში ძალადობისა

25 საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილებების განხორციელების შესახებ საქართველოსკანონი [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3274951?publication=0>> [წვდომის თარიღი 25 ნოემბერი 2021].

26 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების განხორციელების შესახებ საქართველოსკანონი [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3505735?publication=0>> [წვდომის თარიღი 25 ნოემბერი 2021].

და განსაკუთრებით ქალთა მიმართა ძალადობის უმძიმესი მდგომარეობიდან გამომდინარე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მიღებული საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე დაარსებული უნივერსალური მექანიზმები საქართველოში დიდი პოპულარულობით არ სარგებლობს, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირება საქართველოს დამოუკიდებლობის დღიდან დავიწყეთ, ინდივიდუალური განაცხადებით მიმართვის შესაძლებლობა ძალიან დაგვიანდა, რიგ შემთხვევაში კი დღესაც არ არის შესაძლებელი, მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დაცვის კომიტეტის უფლება

განიხილოს ინდივიდუალური განაცხადები საქართველოს წინააღმდეგ. უნივერსალური საზედამხედველო ორგანოების ნაკლებ გამოყენების პრაქტიკა გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, ინფორმაციის ნაკლებობით და მეორე მხრივ, კომიტეტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე კომპენსაციის განსაზღვრის მექანიზმის არ არსებობის გამო. 2016 წელს გაჩნდა შესაძლებლობა მხოლოდ ორი საზედამხედველო ორგანოს – ადამიანის უფლებათა კომიტეტის ან ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მივმართოთ სასამართლოს კომპენსაციის გაცემის მოთხოვნით.

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალექსიძე, ლ., 2010. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისი: ინოვაცია.
2. ბოჭორიძე, ნ., 2016. სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება საქართველოში. თბილისი: მეორე გადამუშავებული გამოცემა, ბონა კაუზა.
3. ბოჭორიძე, კ. და ლორია ა., 2009. პრაქტიკული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე. თბილისი: ბონა კაუზა.
4. გაბრიძე, გ., 2012. ევროპული კავშირის სამართალი. თბილისი: ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი.
5. თომაშვილი, თ., 2014. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები. თბილისი: საქართველოს რეფორმების ასოციაცია.
6. კორკელია, კ., „რედ.“ 2015. ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე. თბილისი: მერიდიანი.
7. კორკელია, კ., „რედ.“ 2010. ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები. სტატიათა კრებული. თბილისი: მერიდიანი.
8. ლიჩი, ფ., 2013. როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. თბილისი: მერიდიანი.
9. ოპერმანი, თ., კლასენი, კ. დ. და ნეთეს-ჰაიმი, მ., 2020. ევროპული სამართალი: სასწავლო სახელმძღვანელო. მე-8, განახლებული გამოცემა. თბილისი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ).
10. სანიძე, გ. და კილურაძე, ნ., 2001. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები. თბილისი: ფონდი “ღიასაზოგადოება – საქართველო“.
11. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. 2006. ოჯახში ძალადობა, ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ. თბილისი: მერიდიანი.
12. J.A.G. 2000. "The Brave New World of Sir John Laws", *The Modern Law Review*, 63 (2).
13. Keohane, R. and others (eds.), 1993. *After the*

Cold War: International Institutions and State Strategies in Europe 1989-1991 London: Harvard Univ. Press.

14. Steiner, H. J., Alston, Ph. and Goodman, R., 2007. International Human Rights in Context, Law, Politics and Morals.

15. Wadham, J. and Said, T., 2002. "What price the right of Individual Petition: report of the evaluation group to the Committee of Ministers on the European Court of Human Rights." European Human Rights Law Review.

16. Waldron, J., 1993. "Liberal Rights, Collected Papers 1981-1991". Cambridge University Press.

ნორმატიული მასალა:

1. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>> [წვდომის თარიღი 15 ნოემბერი 2021].

2. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. 1948. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi3.pdf>> [წვდომის თარიღი 25 ნოემბერი 2021].

3. ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90052?publication=33>> [წვდომის თარიღი 25 ნოემბერი 2021].

4. საქართველოს კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>> [წვდომის თარიღი 15 ნოემბერი 2021].

5. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ საქართველოს კანონი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/33442?publication=16>> [წვდომის თარიღი 15 ნოემბერი 2021].

6. საერთაშორისო პაქტის ამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ. 1966. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0>> [წვდომის თარიღი 15 ნოემბერი 2021].

7. საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილებების განხორციელების შესახებ საქართველოს კანონი [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3274951?publication=0>> [წვდომის თარიღი 15 ნოემბერი 2021].

8. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების განხორციელების შესახებ საქართველოს კანონი [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3505735?publication=0>> [წვდომის თარიღი 15 ნოემბერი 2021].

9. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შესახებ საქართველოს კანონი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3505742?publication=0>> [წვდომის თარიღი 15 ნოემბერი 2021].

10. საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილებების შესახებ საქართველოს კანონი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3505723?publication=0>> [წვდომის თარიღი 15 ნოემბერი 2021].

11. ქალთამიმართალოდობისა და ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ კონვენცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0>> [წვდომის თარიღი 15 ნოემბერი 2021].

სასამართლო პრაქტიკა:

1. ადამიანის უფლებათა კომიტეტის 1998 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე ლომუკოვსკი, წიკლაური, გელბახიანი და ლოკვაძე საქართველოს წინააღმდეგ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<http://hrlibrary.umn.edu/undocs/session62/2327.htm?fbclid=IwAR32OVG8F3gXqcoXANw-1lhUcjmK5mPxxUn3sFKchufA-YbPv6xBwlmEXE>> [წვდომის თარიღი 15 ნოემბერი 2021].

2. ადამიანის უფლებათა კომიტეტის 2005 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე რატიანი საქართველოს წინააღმდეგ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<http://hrlibrary.umn.edu/undocs/975-2001.html?f>>

- [fbclid=IwAR3EscUleFD4eKsr7mdUHgSdf5_fha6GPmH5UrkZ-5v0PoCVAP_dXPY>](#) [წვდომის თარიღი 15 ნოემბერი 2021].
3. ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის 2015 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე X და Y საქართველოს წინააღმდეგ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saertashoriso-kvleebii7.pdf?fbclid=IwAR0LC52vZLLN6pn8PJfupL7YteOAdmdaeNOvD0IWFsGQHX-GtLWtDMcp1Cg>> [წვდომის თარიღი 15 ნოემბერი 2021].
 4. წამების წინააღმდეგ კომიტეტის 2017 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე ჯ.ჩ. და ჯ.ე. საქართველოს წინააღმდეგ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://atlas-of-torture.org/en/document/h7po7091r0jhri3ilqns1c3di?page=1&fbclid=IwAR2gjmkiYfga-Ze8vFYWirzmXfl6i_z9dd7fSBJG-jhFtZFBdwgQoA4grY> [წვდომის თარიღი 15 ნოემბერი 2021].
 8. Leach, F., 2013. How to apply to the European Court of Human Rights. Tbilisi: Meridian. (in Georgian)
 9. Operman, T., Klassen, K. D. and Nethesheim, M., 2020. European Law: A Textbook. I -8, updated edition. Tbilisi: German Society for International Cooperation (GIZ). (in Georgian)
 10. Sanikidze, G. and Kighuradze, N., 2001. Contemporary International Relations. Tbilisi: Open Society Georgia Foundation. (in Georgian)
 11. Georgian Young Lawyers Association. 2006. Domestic Violence, Against Women and Girls. Tbilisi: Meridian. (in Georgian)
 12. J.A.G. 2000. "The Brave New World of Sir John Laws". The Modern Law Review, 63 (2). (in English)
 13. Keohane, R., and others (eds.), 1993. After the Cold War: International Institutions and State Strategies in Europe 1989-1991 London: Harvard Univ. Press. (in English)
 14. Steiner, H. J., Alston, Ph. and Goodman, R., 2007. International Human Rights in Context, Law, Politics and Morals.
 15. Wadham, J. and Said, T., 2002. What price the right of Individual Petition: report of the evaluation group to the Committee of Ministers on the European Court of Human Rights. European Human Rights Law Review. (in English)
 16. Waldron, J., 1993. "Liberal Rights, Collected Papers 1981-1991", Cambridge University Press. (in English)

Bibliography:

Used literature:

1. Aleksidze, L., 2010. Contemporary International Law. Tbilisi: Innovation. (in Georgian)
2. Bochorishvili, N., 2016. A fair court exercises jurisdiction in Georgia. Tbilisi: Second revised edition, Bona Causa. (in Georgian)
3. Bochorishvili, K. and Loria, A., 2009. A Practical Handbook on Domestic Violence. Tbilisi: Bona Causa. (in Georgian)
4. Gabrichidze, G., 2012. European Union Law. Tbilisi: Institute of European and Comparative Law. (in Georgian)
5. Tomashvili, T., 2014. International Human Rights Mechanisms. Tbilisi: Georgian Reform Association. (in Georgian)
6. Korkelia, K., Ed. 2015. The Impact of Human Rights Standards on Georgian Legislation and Practice. Tbilisi: Meridian. (in Georgian)
7. Korkelia, K., "Ed." 2010. Constitutional and international mechanisms of human rights protection. Collection of articles. Tbilisi: Meridian. (in Georgian)

Normative Materials:

1. Universal Declaration of Human Rights. 1948. [Online] Available: <<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi3.pdf>> [Accessed 25 November 2021]. (in Georgian)
2. Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms. [Online] Available: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>> [Accessed 25 November 2021]. (in Georgian)
3. Organic Law of Georgia on Normative Acts. [Online] Available: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90052?publication=33>> [Accessed 25 November 2021]. (in Georgian)
4. The Constitution of Georgia. [Online] Available: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?Publication=35>> [Accessed 25 November 2021]. (in Georgian)

- ber 2021]. (in Georgian)
5. Law of Georgia on International Agreements of Georgia. [Online] Available: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/33442?publication=16>> [Accessed 25 November 2021]. (in Georgian)
 6. International Covenant on Civil and Political Rights. 1966. [Online] Available: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0>> [Accessed 25 November 2021]. (in Georgian)
 7. Law of Georgia on Amendments to the Administrative Procedure Code of Georgia [Online] Available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3274951?Publication=0>> [Accessed 25 November 2021] (in Georgian)
 8. Law of Georgia on Amendments to the Civil Procedure Code of Georgia [Online] Available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3505735?Publication=0>> [Accessed 25 November 2021]. (in Georgian)
 9. Law of Georgia on Amendments to the Criminal Procedure Code of Georgia. [Online] Available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3505742?publication=0>> [Accessed 25 November 2021]. (in Georgian)
 10. Law of Georgia on Amendments to the Administrative Procedure Code of Georgia. [Online] Available: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3505723?publication=0>> [Accessed 25 November 2021]. (in Georgian)
 11. Convention on the Prevention and Suppression of Violence against Women and Domestic Violence. [Online] Available: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0>> [Accessed 25 November 2021]. (in Georgian)
- gia. [Online] Available: <http://hrlibrary.umn.edu/undocs/975-2001.html?fbclid=IwAR3EscUleFD4eKSr7mdUHYGsdf5_f_ha6GPmH5UsrkZ-5v0PoCVAP_dXPY> [Accessed 25 November 2021]. (in English)
3. The decision of the Human Rights Committee of 29 July 2005 in the case of Ratan Georgia. [Online] Available: <<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saertashoriso-kvlevebii7.pdf?fbclid=IwAR0LC52vZLLN6pn8PJfupL7YteO-AdmdaeNOvD0IWFsGQHX-GtLWtDMcp1Cg>> [Accessed 25 November 2021]. (in Georgian)
 4. The decision of the Committee against Torture of June 2, 2017 in the case of J.C. And J.E. Against Georgia. [Online] Available: <https://atlas-of-torture.org/en/document/h7po7091r0jhri3ilqns1c3di?page=1&fbclid=IwAR2gjmkyfYga-Ze8vFY-WirzmXfl6i_z9dd7fSBJG-jjhFtZFBdwqQoA4grY> [Accessed 25 November 2021]. (in English)

References:

1. Keohane, R. and others (eds.), 1993. After the Cold War: International Institutions and State Strategies in Europe 1989-1991 London: Harvard Univ. Press. (in English)
2. Sanikidze, G. and Kighuradze, N., 2001. Modern Interethnic Relations. Tbilisi: Open Society Georgia Publishing House. (in Georgian)
3. The Constitution of Georgia. [Online] Available: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?Publication=35>> [Accessed 15 November 2021]. (in Georgian)
4. Organic Law of Georgia on Normative Acts. [Online] Available: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90052?publication=33>> [Accessed 15 November 2021]. (in Georgian)
5. Article 6, paragraph 1. Law of Georgia on International Agreements of Georgia. [Online] Available: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/33442?publication=16>> [Accessed 15 November 2021]. (in Georgian)
6. Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, [Online] Available: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>> [Accessed 15 November 2021]. (in Georgian)
7. Official website of the Ministry of Justice of Georgia. [Online] Available: <<https://www.justice.gov>>

Judicial Practice:

1. Decision of the Committee on the Elimination of All Forms of Discrimination against Women of 6 August 2015 in the case of X and Y Georgia. [Online] Available: <<http://hrlibrary.umn.edu/undocs/session62/2327.htm?fbclid=IwAR32OVG-8F3gXqcoXANw-1lhUcjmK5mPxxUn3sFKchufA-YbPv6xBwl-mEXE>> [Accessed 25 November 2021]. (in English)
2. The decision of the Human Rights Committee of 29 May 1998 in the case of Domukovski, Tsiklauri, Gelbakhiani and Dokvadze v. Geor-

- [ge/Ministry/Index/155](https://matsne.gov.ge/Ministry/Index/155)> [Accessed 15 November 2021]. (in Georgian)
8. Convention on the Prevention and Suppression of Violence against Women and Domestic Violence. [Online] Available: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0>> [Accessed 15 November 2021]. (in Georgian)
 9. Article 75, paragraph 3, Convention on the Prevention and Suppression of Violence against Women and Domestic Violence. [Online] Available: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?Publication=0>> [Accessed 15 November 2021]. (in Georgian)
 10. Article 3, paragraph "b", Convention on the Prevention and Suppression of Violence against Women and Domestic Violence. [Online] Available: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0>> [Accessed 15 November 2021]. (in Georgian)
 11. Bochorishvili, K. and Loria A., 2009. A Practical Handbook on Domestic Violence. Tbilisi: Bona Causa. p. 19. (in Georgian)
 12. Georgian Young Lawyers Association. 2006. Domestic Violence, Against Women and Girls. Tbilisi: Meridian. p. 29. (in Georgian)
 13. Bochorishvili, K. and Loria A., 2009. A Practical Handbook on Domestic Violence. Tbilisi: Bona Causa. p. 27. (in Georgian)
 14. Official website of the Council of Europe. [Online] Available: <<https://www.coe.int/en/web/commissioner/-/turkey-s-announced-withdrawal-from-the-istanbul-convention-endangers-women-s-rights>> [Accessed 15 November 2021]. (in Georgian)
 15. Official website of the Council of Europe. [Online] Available: <<https://rm.coe.int/1st-general-report-on-greivio-s-activities/16809cd382>> [Accessed 15 November 2021]. (in Georgian)
 16. Official website of the Council of Europe. [Online] Available: <<https://rm.coe.int/eng-greivio-report-turquie/16808e5283>> [accessed 15 November 2021]. (in Georgian)
 17. Tomashvili, T., 2014. International Human Rights Mechanisms. Tbilisi: Georgian Reform Association. p. 5. (in Georgian)
 18. Universal Declaration of Human Rights. 1948. [Online] Available: <<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi3.pdf>> [Accessed 15 November 2021]. (in Georgian)
 19. International Covenant on Civil and Political Rights. 1966. [Online] Available: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0>> [Accessed 15 November 2021]. (in Georgian)
 20. Decision of the Committee on the Elimination of All Forms of Discrimination against Women of 6 August 2015 in the case of X and Y Georgia. [Online] Available: <<http://hrlibrary.umn.edu/undocs/session62/2327.htm?fbclid=IwAR32OVG-8F3gXqcoXANw-1hUcjmK5mPxhUn3sFKchufA-YbPv6xBwl-mEXE>> [Accessed 25 November 2021]. (in English)
 21. The decision of the Human Rights Committee of 29 May 1998 in the case of Domukovski, Tsiklauri, Gelbakhiani and Dokvadze v. Georgia. [Online] Available: <http://hrlibrary.umn.edu/undocs/975-2001.html?fbclid=IwAR3EscUleFD4eKSr7mdUHYGsdf5_f_ha6GPmH5UsrkZ-5v0PoCVAP_dXPY> [Accessed 25 November 2021]. (in English)
 22. The decision of the Human Rights Committee of 29 July 2005 in the case of Ratan Georgia. [Online] Available: <<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saertashoriso-kvlevebii7.pdf?fbclid=IwAR0LC52vZLLN6pn8PjfupL7YteO-AdmdaeNOvDOIWFsGQHX-GtLWtDMcp1Cg>> [Accessed 25 November 2021]. (in Georgian)
 23. The decision of the Committee against Torture of June 2, 2017 in the case of J.C. And J.E. Against Georgia. [Online] Available: <https://atlas-of-torture.org/en/document/h7po7091r0jhri3ilqns1c3di?page=1&fbclid=IwAR2gimkjYfga-Ze8vFY-WirzmXfl6i_z9dd7fSBJG-jjhFtZFBdwqQoA4grY> [Accessed 25 November 2021]. (in English)
 24. Judgment of the Human Rights Committee of 29 July 2005 in the case of Ratan Georgia. [Online]. Available: <http://hrlibrary.umn.edu/undocs/975-2001.html?fbclid=IwAR3EscUleFD4eKSr7mdUHYGsdf5_f_ha6GPmH5UsrkZ-5v0PoCVAP_dXPY> [Accessed November 25, 2021]. (in English)
 25. Law of Georgia on Amendments to the Administrative Procedure Code of Georgia, [Online] Available at: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3274951?Publication=0>> [Accessed 15 November 2021]. (in Georgian)
 26. Law of Georgia on Amendments to the Civil Procedure Code of Georgia, [Online] Available: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3505735?publication=0>> [Accessed 15 November 2021]. (in Georgian)

სამომხმარებლო შეთანხმებების სამართლებრივი ბუნება სოციალურ ქსელებში

ზვიად გაბისონია

სამართლის დოქტორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი

ელფოსტა: zviad.gabisonia@btu.edu.ge

ზვიად გაბისონია

აბსტრაქტი

თანამედროვე სამართალში იკვეთება ახალი სამართლის დარგების თუ დარგთა ჯგუფების წარმოშობის ტენდენცია. ერთ-ერთ ასეთ დარგთა ჯგუფს განეკუთვნება ტექნოლოგიების სამართალი, რომლის ერთ-ერთ დარგსაც სოციალური ქსელების სამართალი წარმოადგენს.

სოციალური ქსელების სამართალში ცენტრალური ადგილი უკავია სამომხმარებლო შეთანხმებებს. სტატიაში განხილულია სამომხმარებლო შეთანხმების სამართლებრივი ბუნება, მხარეთა უფლება-მოვალეობები და რისკების გადანაწილების საკითხები. სტატიაში განხილულია ცალკეულ სოციალურ ქსელებში განთავსებული სამომხმარებლო შეთანხმებების სამართლებრივი საკითხები, გამოსაყენებელ სამართალთან და მხარეთა უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებული პრობლემები.

სამომხმარებლო შეთანხმებაში ერთი მხარე ყოველთვის სოციალური ქსელის სერვისების მიმწოდებელი კომპანიაა, ხოლო მეორე მხარე შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გაირკვეს მხარეებს ერთმანეთის მიმართ რა უფლება-ვალდებულებები გააჩნიათ.

In light of the foregoing, bribery and influence trading share some similarities and, for the most part, unique characteristics. As a result, it is rather complicated to properly separate these offences during legal procedure. It is particularly difficult in court practice to distinguish between the influence of "official authority" and that of kinship or friendship, resulting in frequent instances of incorrect legal qualification for confusion and misuse of these articles, which results in completely different legal consequences. Such cases are unacceptable, particularly, given that bribery is a serious crime while influence trading is a less serious one.

Thus, the article analyzes the primary characteristics of bribery and influence trading, as they represent the fundamental legal grounds for their separation, based on the examples from court practice.

KEYWORDS: *Officiary, Authority, Influence*

შესავალი

როგორც ცნობილია, სისხლის სამართლის კოდექსის სამოხელეო დანაშაულთა თავში 2006 წლის 25 ივნისით დათარიღებული კანონის საფუძველზე შემოღებულ იქნა ზეგავლენით ვაჭრობის შემადგენლობა 339 პრიმა მუხლის სახით, რომელიც გარკვეულწილად შეიცავს კორუფციული დანაშაულის ნიშნებს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იგი არ წარმოადგენს კორუფციულ დანაშაულს, მაგრამ ქვეყანაში ქმნის კორუფციის ფონს, რადგან ამკვიდრებს აზრს, რომ ქრთამის გარეშე შეიძლება ყველაფრის „მოგვარება“, თუ მოხელესთან დაახლოებულ პირს გადმოიბირებ. მიუხედავად იმისა, რომ იურიდიულ დოქტრინაში საკმაოდ მკაფიოდ არის განსაზღვრული ზეგავლენით ვაჭრობის ფუნქციური დანიშნულება და მისი მოქმედების ფარგლები, დღემდე საკმაოდ პრობლემატურ მხარედ რჩება სასამართლო პრაქტიკაში ზეგავლენით ვაჭრობისა და ქრთამის აღების გამიჯვნის საკითხი.

სასამართლო პრაქტიკაში აღნიშნულ დანაშაულთა აღრევის მთავარ საფუძვლად გვევლინება ის ფაქტი, რომ, სამწუხაროდ, სამართალმეფარდების პროცესში ზედაპირულად ხდება საქმის შესწავლა, აქცენტი გადატანილია არა საქმის ფაბულის არსზე, ფაქტობრივი გარემოებების ლოგიკურ გაანალიზებაზე, არამედ მხოლოდ ფორმალურ მხარეზე – ამ შემთხვევაში სუბიექტებზე, უკეთეს საქმეში ფიგურირებს მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი, ავტომატურად ქმდება კვალიფიცირდება ქრთამის აღებად, მაშინ როდესაც სახეზეა ზეგავლენით ვაჭრობის შემადგენლობა.

ამდენად, საკითხის სრულყოფილი კვლევისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩინია, რომ იგი განხილულ იქნეს იურიდიული დოგმატიკისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე.

მექრთამეობისა და ზეგავლენით ვაჭრობის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები

მექრთამეობასა და ზეგავლენით ვაჭრობას შორის მსგავსება უპირველესად გამოიხატება სწორედ მათ მიერ დასაცავი ზოგადი სამართლებრივი სიკეთის ბუნებაში. კერძოდ, დანაშაულის ორივე შემადგენლობა, თავისი არსითა და ფუნქციური დანიშნულებით, მიმართულია სახელმწიფოში ნებისმიერი სახის კორუფციის აღმოფხვრისაკენ, მათი გამოვლენის ფორმებისა და განმასხვავებელი პირების მიუხედავად. ორივე დანაშაულის სამართლებრივი დაცვის ობიექტს, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს სახელმწიფოს, როგორც მისი ორგანიზაციული აპარატებისა და მათში მომუშავე საჯარო მოხელეთა ერთობის, პრესტიჟისა და ავტორიტეტის დაცვა. საბოლოოდ კი, მექრთამეობისა და ზეგავლენით ვაჭრობის ქმედებათა კრიმინალიზაცია, პირველ რიგში მიზნად ისახავს სახელმწიფოში კორუფციული ფონის აღმოფხვრასა და ჯანსაღი, ნეიტრალური, დემოკრატიული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი სამართლებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებას მოქალაქეთა და სახელმწიფო ორგანიზაციებს შორის. აღნიშნული კომპონენტი გახლდათ იმ ზოგადი მსგავსების გამოხატულების კონკრეტული ელემენტი, რის გამოც ისინი მიიჩნევიან სახელმწიფოსათვის კორუფციულ ქმედებებთან ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ სისხლისსამართლებრივ ბერკეტად.

სსკ-ის 339¹-ე მუხლი დამატებითი დაცვის მექანიზმია კორუფციულ ქმედებათა წინააღმდეგ სამართლებრივ ბრძოლაში და გამოიყენება იმ ქმედებათა მიმართ, რომლებიც, თავიანთი გამოვლინების ბუნებითა და ფორმით, პირდაპირ ვერ ექცევიან მექრთამეობის სამართლებრივ არეალში.

რაც შეეხება უშუალოდ მათი დისპოზიციურ ღონეზე მსგავსების ნიშნებს, ესენია:

1) დანაშაულის საგანი, კერძოდ, ორივე დანაშაულის შემთხვევაში პრობლემის გადაჭრით დაინტერესებული პირი მოხელეზე არამართლზომიერი და სხვაგვარი გავლენის მოსახდენად ახორციელებს მატერიალური და ასევე არამატერიალური ქონებრივი სიკეთეების გადაცემას მექრთამეობის შემთხვევაში უშუალოდ მოხელეზე ან ამ უკანასკნელის მიერ ამ საქმისათვის გამოყოფილ პირზე, ხოლო ზეგავლენით ვაჭრობისას კი – პასიურ ზეგავლენით მოვაჭრეზე.

ქრთამის აღების მუხლის (სსკ-ის 338-ე მუხლი) თავდაპირველ რედაქციაში ქრთამის საგნად მითითებული იყო მხოლოდ მატერიალური სიკეთეები, რის გამოც, ზოგადად, მექრთამეობა მიიჩნეოდა მხოლოდ ანგარებითი დანაშაულის გამოსატყულებად, კერძოდ, იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებების თანახმად, „მექრთამეობა ანგარებითი ხასიათის მოქმედებაა და, მაშასადამე, თანამდებობის პირის გამდიდრების მომენტი ამ დანაშაულის არსს წარმოადგენს“.¹ თუმცა 2006 წლის 25 აგვისტოთი დათარიღებული კანონით შესული ცვლილებებით ქრთამის საგნის ჩამონათვალი გაფართოვდა, კერძოდ, მას დაემატა კიდევ ერთი კომპონენტი, კერძოდ, „სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობა“. აღნიშნული ასევე გულისხმობს იმ არამატერიალურ ფასეულობებსაც, რომლებიც მოხელისათვის შეიძლება იმდენად მისაღები და სასარგებლოც კი აღმოჩნდეს მატერიალურ სიკეთესთან შედარებით, რომ მან განახორციელოს ქრთამის მიცემისათვის საჭირო ქმედება. ამის საილუსტრაციოდ

იურიდიულ ლიტერატურაში მოყვანილია შემდეგი შემთხვევები, კერძოდ, „მოხელეს სთავაზობენ, რომ დაუმსახურებლად მიანიჭებენ საპატიო წოდებას ან დაუწერენ დისერტაციას, თუ სანაცვლოდ იგი ქრთამის მიმცემის ინტერესებისათვის განახორციელებს რაიმე ქმედებას“.² არამართლზომიერი უპირატესობა შესაძლებელია იყოს ზეგავლენით ვაჭრობის საგანიც, როდესაც არამართლზომიერი უპირატესობით სარგებლობის მოთხოვნის ან შეთავაზების სანაცვლოდ, მოხელის ახლობელი მზადაა მოხელეზე არამართლზომიერი ზეგავლენის მოსახდენად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2004 წლის კორუფციის წინააღმდეგ კონვენციაში³ მოცემულია ზეგავლენით ვაჭრობის ცნება, აღნიშნული მუხლის განმარტებისას იურიდიულ დოქტრინაში გაანალიზებულია არამართლზომიერი ზეგავლენის ფარგლები, რომლის თანახმადაც: „არამართლზომიერი უპირატესობის ღიაპაზონი არის ფართო, უმეტესწილად ის შეიძლება იყოს რაღაც მატერიალური და ძვირფასი (ღირებულები), როგორცაა, მაგალითად: ფული, ძვირფასი ნივთები და ა.შ. მაგრამ ასევე შეიძლება იყოს არამატერიალური სარგებლის ისეთი სახე, როგორცაა: შიდა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, სექსუალური ან სხვაგვარი ხასიათის კეთილგანწყობა, მფარველობა“.⁴ არამატერიალური სარგებელი, როგორც არამართლზომიერი ზეგავლენის მოხდენის ერთ-ერთ საგანი, მოხსენიებულია ევროპის საბჭოს „კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენციის“ მე-12 მუხლშიც. ამდენად, ამ კომპონენტი-

- 1 მაყაშვილი, ვ. და ტყემელიაძე, გ., 1964. პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, გვ. 44.
- 2 ლეკვეიშვილი, მ., მამულაშვილი, გ. და თოდუა, ნ., 2020. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი მეორე, მეექვსე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 392.
- 3 United Nations Convention against corruption. New York 2004. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.unodc.org/documents/brussels/UN_Convention_Against_Corruption.pdf> [წვდომის თარიღი 20 ნოემბერი 2021].
- 4 Philipp, J., 2009. The Criminalization of Trading in influence in international anti-corruption laws. South Africa: University of the Western Cape, გვ. 15.

თაც აღნიშნული დანაშაულები ემსგავსება ერთმანეთს.

ზემოთ აღნიშნული საერთო ნიშნების მიუხედავად, მექრთამეობასა და ზეგავლენით ვაჭრობას შორის არის მთელი რიგი განსხვავებანი:

„მექრთამეობაში აუცილებელია ორმხრივი ურთიერთობა – ქრთამის ამღები და მისი მიმცემი. ზეგავლენით ვაჭრობა კი სამხრივ ურთიერთობას გულისხმობს – დაინტერესებული პირი (რომელიც წააგავს ქრთამის მიმცემს), ზეგავლენით მოვაჭრე (რომელიც წააგავს შუამავალს მექრთამეობაში) და მოხელე“.⁵ საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, სამხრივი ურთიერთობა მიჩნეულია ზეგავლენით ვაჭრობისა და მექრთამეობის განმასხვავებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოებად.⁶ ამდენად, მნიშვნელოვანია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ დაინტერესებული პირი (აქტიური ზეგავლენით მოვაჭრე) და ქრთამის მიმცემი. ეს უკანასკნელი პირდაპირი გზით ამყარებს კონტაქტს მოხელესთან, უშუალოდ ან შუამავლის მეშვეობით აძლევს/უგზავნის მას ქრთამის საგანს და უთანხმდება „საქმის მოგვარების“ პირობებზე. აქტიური ზეგავლენით მოვაჭრე კი „საქმის მოგვარების“ სანაცვლოდ უშუალოდ ჰპირდება და სთავაზობს ფულს ან სხვა საგანს არა უშუალოდ მოხელეს, არამედ ამ უკანასკნელთან კარგ ურთიერთობაში მყოფ პირს, რომელსაც შეუძლია მოხელის დარწმუნება მისთვის სასიკეთო გადაწყვეტილების მისაღებად. ამდენად, როგორც ვხედავთ, ქრთამის მიმცემს, აქტიური ზეგავლენით მოვაჭრესთან შედარებით, ბევრად უფრო მყარი გარანტი-

ები აქვს თავისი მიზნების მიღწევის თვალსაზრისით, ვინაიდან მას მოხელესთან გააჩნია არა ირიბი (როგორც ეს ზეგავლენით ვაჭრობის შემთხვევაშია), არამედ – პირდაპირი კავშირები.

„პასიური ზეგავლენით ვაჭრობა უნდა განვასხვავოთ მექრთამეობაში შუამავლობისაგან. შუამავალი არის ის, რომელიც მოქმედებს ქრთამის მიცემის ან ამღების ინტერესებიდან გამომდინარე და ხელს უწყობს ქრთამის მიცემა – ადების განხორციელებას. ხშირად შუამავალი მექრთამეობაში მონაწილე მხარეებისაგან მატერიალურ გასამრჯელოს დებულობს დახმარებისათვის, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ იგი მოქმედებდეს ანგარების გარეშე“.⁷ პასიური ზეგავლენით მოვაჭრე კი, ყოველთვის უშუალოდ იღებს ან სარგებლობს მისთვის გადაცემული დანაშაულის საგნით, მოხელეზე არამართლზომიერი ზეგავლენის მოხდენის სანაცვლოდ.

ქრთამის ადების ამსრულებელი მხოლოდ მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირია, ზეგავლენით მოვაჭრე კი კერძო პირია, რომელიც ამტკიცებს ან ადასტურებს, რომ მას შეუძლია არამართლზომიერი ზეგავლენის მოხდენა მოხელის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე. ქრთამის ადების დროს მოხელეს ან მასთან გათანაბრებულ პირს, ქრთამის სანაცვლოდ, სამსახურებრივი ავტორიტეტის გამოყენებით შეუძლია ქრთამის მიმცემის ინტერესებისათვის შესაბამისი ქმედების განხორციელება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში მოცემული საქმის მოგვარება უშუალოდ არ შედის მოხელის სამსახურებ-

5 ლეკვეიშვილი, მ., მამულაშვილი, გ. და თოდუა, ნ., 2020. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი მეორე, მეექვსე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 415.

6 Anti – Corruption resource centre. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.u4.no/terms>> [წვდომის თარიღი 20 ნოემბერი 2021].

7 ლლონტი, გ. და სხვები. 2011. კორუფცია საქართველოში, კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. გვ. 314.

რივ უფლებამოსილებაში, არამედ ეს საკითხი განეკუთვნება სხვა უფლებამოსილი პირის კომპეტენციას, რომელზედაც მოხელემ თავისი სამსახურებრივი ავტორიტეტის გამოყენებით მოახდინა გავლენა და მიაღებინა ქრთამის მიცემის სასარგებლო გადაწყვეტილება. სამართალმეფარდების პროცესში სწორედ ამ ასპექტში იკვეთება მთავარი პრობლემა მექრთამეობასა და ზეგავლენით ვაჭრობას შორის.

აღნიშნული საკითხის უკეთ გაანალიზებისათვის განვიხილოთ საქმე, ქართული სასამართლო პრაქტიკიდან. საქმის არსი მდგომარეობდა შემდეგში: ბრალდების მხარემ ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს, პირობითად „ა“-ს, ბრალი წაუყენა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის – ქრთამის აღებისათვის. „ა“-ს ქმედება გამოიხატა იმაში, რომ იგი თავის ნაცნობს დაჰპირდა გარკვეული თანხის გადახდის სანაცვლოდ ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებაში დახმარებას, რადგან მას მერიაში ჰყავდა ახლობელი მატალჩინოსნები, რომლებთანაც გააჩნდა ახლობლური ურთიერთობები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვისას „ა“-ს ქმედება ქრთამის აღებიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 339¹ მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულზე – ზეგავლენით ვაჭრობაზე. ბრალდების მხარის მიერ გასაჩივრდა პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც დააკმაყოფილა ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი და „ა“-ს ქმედება დააკვალიფიცირა ქრთამის აღებად. სააპელაციო

სასამართლოს გადაწყვეტილება დაცვის მხარის მიერ საკასაციო საჩივრით გასაჩივრდა უზენაეს სასამართლოში. უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებით კი ცვლილება შევიდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში და „ა“-ს ქმედება სსსკ-ის 338-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა სსსკ-ის 339-ე¹ მუხლის მეორე ნაწილზე. განსახილველ საქმეზე უზენაესმა სასამართლომ „ა“-ს ქმედების ზეგავლენით ვაჭრობად დაკვალიფიცირების სამართლებრივი დასაბუთებისას მიუთითა, რომ „ა“ „ბ“-ს დასაქმებას თავისი ახლობლური ურთიერთობების გამოყენებით აპირებდა, რაც გამორიცხავს თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით უკანონო ქმედების განხორციელების შეპირებას და შესაბამისად, მისი ქმედების ქრთამის აღებად შეფასების სამართლებრივ შესაძლებლობას.⁸

ამ გადაწყვეტილებით დადასტურდა, თუ როგორი არაერთგვაროვანი მიდგომა არსებობს პრაქტიკაში სამოხელეო დანაშაულის ამ ორ სახეს შორის. ამდენად, საინტერესოა, ქრთამის აღებისა და ზეგავლენით ვაჭრობის ურთიერთმიმართების საკითხის განხილვა და მათი ერთმანეთისაგან განმასხვავებელი ნიშნების დადგენა სასამართლო გადაწყვეტილებებისა და სისხლის სამართლის დოგმატიკაში არსებული მოსაზრებების ანალიზის საფუძველზე.

სსკ-ის 339-ე პრიმა მუხლში⁹ ზოგადად საუბარია მოხელეზე ან მასთან გათანაბრებულ პირზე ზეგავლენის მოხდენაზე, თუმცა არ არის განმარტებული „ზეგავლენის“ არსი ე.ი. მისი საკანონმდებლო დეფინიცია და გამოყენების ფარგლები. აღნიშნული მუხლის შემოღებას საფუძვლად უდევს ევროპის საბჭოს „კორუფციაზე სისხლის სა-

8 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 25 იანვრის განაჩენი (საქმე N 497 აპ-16).

9 საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. პარლამენტის უწყებანი 22/07/1999.2287.

მართლის კონვენცია". აღნიშნული კონვენციის მე-12 მუხლით, რომელსაც ეწოდება შუამავლობა უარყოფითი გავლენის მოხდენაში, დანაშაულადაა გამოცხადებული ისეთი ქმედება, რომელიც გამოიხატება განზრახ, პირდაპირ ან არაპირდაპირ, გაუმართლებელი უპირატესობის მიცემაში ან ამ უპირატესობის მიცემის დაპირებაში, ან შეთავაზებაში მისთვის, ვინც ასაბუთებს ან ადასტურებს, რომ შეუძლია უარყოფითი გავლენის მოხდენა მოხელეების მიერ მისაღებ გადაწყვეტილებებზე.¹⁰

აღნიშნული მუხლის სისტემური და ლოგიკური განმარტებიდან ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად გამომდინარეობს, რომ ზეგავლენით მოვაჭრეები მოხელესთან ახლო კავშირში მყოფი პირები არიან. ზეგავლენით ვაჭრობის ამსრულებლად არ უნდა ჩაითვალოს ის ფიზიკური პირი, რომელიც მოხელეზე ზეგავლენის მოხდენას ჰპირდება რაიმე სარგებლის მისაღებად, თუმცა, არავითარი რეალური ან სავარაუდო ზეგავლენა მასზე არა აქვს.¹¹ კერძოდ, როდესაც პირი უმტიციებს აქტიური ზეგავლენით მოვაჭრეს, მოხელეზე არამართლზომიერი ზეგავლენის განხორციელების შესაძლებლობას, მაგრამ იტყუება, იცის, რომ მას არ გააჩნია მოხელეზე არანაირი სახის ზეგავლენის განხორციელების ფაქტობრივი შესაძლებლობა, ამ შემთხვევაში სახეზე იქნება თაღლითობა ან მისი მცდელობა.

აქვე უნდა გაანალიზდეს თუ რას ნიშნავს რეალური და სავარაუდო ზეგავლენა. რეალური ზეგავლენა სახეზეა მაშინ, როდესაც პირი, მოხელესთან არსებული ახლო და მტიცივე ურთიერთობიდან გამომდინარე, ღრმად დარწმუნებულია, რომ მოხელე მის თხოვნას აუცილებლად მიიღებს მხედველობაში. სავარაუდო ზეგავლენა სახეზეა მაშინ, როდესაც პირს იმედი აქვს,

ვარაუდობს (თუმცა, დარწმუნებული არაა), რომ იგი შეძლებს მოხელეზე ზეგავლენის მოხდენას, თუმცა, იგი ამას ვერ მოახერხებს. ამ შემთხვევაშიც პირი ჩაითვლება პასიური ზეგავლენით მოვაჭრედ, ვინაიდან მას მოხელესთან რეალურად ჰქონდა გარკვეული სახის ურთიერთობა, რამაც მას იმედი მისცა მოხელეზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობაზე.

აღნიშნულ საკითხზე აგრეთვე საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 ივლისის N 128 აპ-16 განაჩენი, რომლითაც ზეგავლენით ვაჭრობა გადაკვალიფიცირდა ქრთამის აღებად. საქმის ფაბულა მდგომარეობდა შემდეგში: პირობითად „ა“ იყო ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოადგილე და, ამავდროულად, მიწის ნაკვეთების გასხვისების კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. კონკრეტული მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, იგი დაჰპირდა ბიზნესმენს, რომ კონკრეტული თანხის გადახდის შემთხვევაში, იგი გამოიყენებდა თავის თანამდებობრივ უფლებამოსილებას და საკითხის განხილვისას ზეგავლენას მოახდენდა კომისიის სხვა წევრებზეც მისი სასარგებლო გადაწყვეტილების მისაღებად. საქმის ფაქტობრივი გარემოებებით დადგინდა, რომ „ა“-ს ერთპიროვნულად არ შეეძლო მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის საკითხის გადაწყვეტა, ვინაიდან აღნიშნული საკითხი წყდებოდა კომისიის მიერ, ხმათა უმრავლესობით. განსახილველ შემთხვევაში, „ა“-მ ბიზნესმენის ინტერესების სასარგებლოდ არა მხოლოდ უშუალოდ გამოიყენა თავისი უფლებამოსილება, რაც გამოიხატა მიწის საკუთრებაში გადაცემის გადაწყვეტილებისათვის ხმის მიცემით, არამედ მან გამოიყენა თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტი კომისიის

10 ევროპის საბჭოს „კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენცია“. სტრასბურგი 27/01/1999.

11 ლეკვეიშვილი, მ., მამულაშვილი, გ. დათოდუა, ნ., 2020. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი მეორე, მეექვსე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 412.

სხვა წევრებზე ზეგავლენის მოსახდენად, რის შედეგადაც კომისიამ საკითხი გადაწყვიტა ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ. პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მიერ „ა“-ს ქმედება დაკვალიფიცირდა 339-ე¹ მუხლის მეორე ნაწილით (პასიური ზეგავლენით ვაჭრობა). აღნიშნული გადაწყვეტილება დასაბუთდა იმ არგუმენტით, რომ ვინაიდან „ა“-ს ერთპიროვნულად არ შეეძლო ბიზნესმენის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღება, ეს გამორიცხავდა ქრთამის მიცემის სასარგებლოდ ქმედების განხორციელების შესაძლებლობას, რის გამოც მან მოახდინა არამართლზომიერი ზეგავლენა იმ პირებზე, კომისიის სხვა წევრებზე, რომელთა კომპეტენციამაც შედიოდა მიწის გასხვისების საკითხის გადაწყვეტა. საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა აღნიშნული მოსაზრება და აღნიშნა, რომ „მართალია „ა“-ს არ შეეძლო ერთპიროვნულად მიეღო გადაწყვეტილება ქრთამის გამღები ინვესტორის სასარგებლოდ, მაგრამ თავისი უფლებამოსილების გამოყენებით მას შეეძლო როგორც თავისი წვლილის შეტანა კოლეგიური გადაწყვეტილების მიღებაში (საკითხის დადებითად გადაწყვეტისათვის ხმის მიცემის გზით), ასევე მიწის ნაკვეთის აუქციონის წესით გასხვისებაში მონაწილე სხვა ოფიციალურ პირებზე ზეგავლენის მოხდენა, რის დაპირებასაც ის იძლეოდა კიდევ ქრთამის სანაცვლოდ.“¹²

საკასაციო სასამართლოს მიერ საკითხის ამგვარად გადაწყვეტა მართებულია რამდენიმე გარემოების გამო: 1) ქრთამის აღების დროს მოხელე ქრთამის მიმცემის ინტერესების სასარგებლოდ განიხილავს უშუალოდ მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებს (გამონაკლისია თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენება), აქ იგულისხმება როგორც მის მიერ ერთპიროვნულად საკითხის გადაწყვეტის ფაქტობრივი შესაძლებლობა, აგრეთვე მისი უშუალო მო-

ნაწილეობა კოლეგიური ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თუ გააჩნია სამართლებრივი უფლებამოსილება, თავად გარკვეული სახის წვლილი შეიტანოს საკითხის გადაწყვეტის საბოლოო პროცესზე. ამის ერთ-ერთი გამოვლინებაა სწორედ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტისკენ მიმართული ხმის უფლება. ზეგავლენით ვაჭრობის შემთხვევაში კი გადასაწყვეტ საკითხთან დაკავშირებით მოხელეს არ გააჩნია არანაირი სახის კომპეტენცია, დაინტერესებულ საკითხთა სფერო მისი მსახურებრივი უფლებამოსილების მიღმაა. 2) განსახილველ საქმეში უტყუარად დადასტურდა მოხელის მიერ კომისიის სხვა წევრებზე თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტის (და არა პირადი ურთიერთობების) გამოყენების ფაქტი, აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერია.

მართალია, ქრთამის აღებასა და ზეგავლენით ვაჭრობას გააჩნია საერთო ნიშნები, თუმცა ისინი თავიანთი არსითა და დანიშნულებით მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მთავარი (კონსტიტუციური) განმასხვავებელი ნიშანი გახლავთ ის, რომ ზეგავლენით ვაჭრობისას, განსხვავებით ქრთამის აღება-მიცემისაგან, წინა პლანზეა წამოწეული პირადი ხასიათის (ახლობლური, მეგობრული, ნათესაური და ა.შ.) ურთიერთობები, რომლებიც დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების უმთავრეს მამოძრავებელ ძალად (მოტივად) გვევლინება.

როგორც ზემოთ განხილულ განაჩენებში გამოჩნდა, ამ დანაშაულების გამიჯვნის პრობლემა დგება მაშინ, როდესაც პასიური ზეგავლენით ვაჭრობის ამსრულებლად გვევლინება არა კერძო პირი, არამედ მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ როდესაც საქმეში ფიგურირებს მოხელე, ეს

12 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 ივლისის განაჩენი (საქმე N 128 აპ-16).

უპირობოდ არ უნდა ჩაითვალოს მის მიერ თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენება და, შესაბამისად, ეს ვითარება არ უნდა ვაქციოთ თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენების პრეზუმფციად. ამ შემთხვევაშიც ქმედების სწორად კვალიფიკაციისათვის უნდა დადგინდეს, მოხელე დანაშაულებრივი ქმედების განსახორციელებლად სხვა მოხელეზე თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით ახდენს არამართლზომიერ ზეგავლენას, თუ პირადი ხასიათის ურთიერთობიდან გამომდინარე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მოხელე უნდა ჩაითვალოს კერძო პირად, დანაშაული კი უნდა დაკვალიფიცირდეს ზეგავლენით ვაჭრობის მუხლით. მაგალითად, ძვირფასი ბეჭდის ჩუქების სანაცვლოდ მოხელემ დაუდასტურა პირს, რომ იგი დაითანხმებდა მოსამართლეს, რომელიც არის მისი მეჯვარე, ამ პირის სასარგებლო გადაწყვეტილების გამოტანაში.

აგრეთვე, საინტერესოა, როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს შემდეგი შემთხვევა, როცა დანაშაულის საგანი გადაეცემა უფრო მაღალი რანგის თანამდებობის პირს, შედარებით დაბალი რანგის თანამდებობის პირზე ზეგავლენის მოსახდენად, როცა ისინი ამავე დროს ნათესავები (ან ახლო მეგობრები) არიან? მაგალითად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე დაპირდა პირს, რომ ძვირფასი საჩუქრის სანაცვლოდ იგი მოაგვარებდა ამ საქმეს გადაწყვეტილების მიმღებ ქვედა ინსტანციის სასამართლოს მოსამართლესთან, რომელიც ამავე დროს იყო მისი ნათესავი. აღნიშნული პირები შეთანხმდნენ და მართლაც მოსამართლემ, უზენაესი სასამართლოს ამ მოსამართლის თხოვნით, გამოიტანა ამ პირის სასარგებლო გადაწყვეტილება. განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით ვერ გამოვლინდა, თუ რა იყო მოსამართლეზე არამართლზომიერი ზეგავლენის მოხლე-

ნის რეალური საფუძველი, კერძოდ, ეს გამომდინარეობდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობრივი ავტორიტეტიდან, თუ ამ ორ მოსამართლეს შორის ახლოობური ურთიერთობიდან.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მართებული შეხედულების თანახმად, „ვინაიდან ყოველგვარი ეჭვი უნდა გადაწყდეს პირის სასარგებლოდ, ამგვარი შემთხვევა უნდა დაკვალიფიცირდეს არა ქრთამის აღებად, არამედ ზეგავლენით ვაჭრობად“.¹³ სამართლიანობის ზოგადი პრინციპიდან გამომდინარე, როდესაც კანონით დადგენილი წესით ვერ მტკიცდება სამართლებრივად უფრო მძიმე ქმედების, თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენების ფაქტი, უპირატესობა უნდა მიენიჭოს საკითხის ბრალდებულისათვის სასიკეთოდ გადაწყვეტას. რისი გამოვლინებაც არის სწორედ ამ შემთხვევის ზეგავლენით ვაჭრობის მუხლით დაკვალიფიცირება, ვინაიდან აღნიშნული ქმედება მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, ხოლო ქრთამის აღება კი არის მძიმე დანაშაული.

აქვე ხაზი უნდა გაესვას ზემოთ უკვე განხილულ შემდეგ გარემოებას, კერძოდ, ზეგავლენით მოვაჭრე გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ იღებს უშუალო მონაწილეობას, იგი მოკლებულია ფაქტობრივ შესაძლებლობას, რომ თავად განახორციელოს მისი ინტერესის სფეროში მოქცეული საკითხის დადებითად გადაწყვეტისაკენ მიმართული რაიმე სახის ქმედება. ქრთამის ამღებისაგან განსხვავებით, ზეგავლენით მოვაჭრე ამ პროცესისაგან სრულად დისტანცირებულია და იგი, ფაქტობრივად, სრულად დამოკიდებულია იმ უფლებამოსილ პირზე (პირებზე), რომლის მიმართაც მან განახორციელა არამართლზომიერი ზეგავლენა.

„მექრთამეობასა და ზეგავლენით ვაჭრობას აგრეთვე გააჩნიათ სხვა განმასხვავებელი ნიშნებიც, კერძოდ: დანაშაულის

13 ლეკვეიშვილი, მ., მამულაშვილი, გ. და თოდუა, ნ., 2020. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი მეორე, მეექვსე გამოცემა. თბილისი: მეტიდიანი, გვ. 412.

საგანი მექრთამეობის დროს განკუთვნილია მოხელეზე გადასაცემად, ხოლო ზეგავლენით ვაჭრობისას – პასიური ზეგავლენით მოვაჭრისათვის¹⁴. მექრთამეობაში შუამავალი, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ქრთამის აღების ან მიცემის თანამონაწილეა, ხოლო ზეგავლენით ვაჭრობისას მოხელესთან „შუამავალი“ პირი – ზეგავლენით მოვაჭრე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მექრთამეობაში შუამავალი და ზეგავლენით მოვაჭრე-ფაქტობრივი მოცემულობით ემსგავსებიან ერთმანეთს. კერძოდ, ორივე შემთხვევაში აღნიშნული პირების მიერ განხორციელებული ქმედება ხელს უწყობს მოხელის მიერ უკანონო გადაწყვეტილების მიღების პროცესს. პირველ შემთხვევაში მექრთამეობაში შუამავალი, თავისი ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე შეიძლება იყოს ორგანიზატორიც, წამქეზებელიც და დამხმარეც, შესაბამისად, იგი თავისი როლის გათვალისწინებით აქტიურადაა ჩართული მექრთამეობის პროცესში. ანალოგიური ვითარებაა ზეგავლენით ვაჭრობის შემთხვევაშიც, ვინაიდან პასიური ზეგავლენით მოვაჭრე თავისი როლისა და ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე, ფაქტობრივად ითავსებს ორგანიზატორის, წამქეზებლის ან დამხმარის ფუნქციას, რათა მიაღწიოს დასახულ მიზანს. მაგალითად, როდესაც ზეგავლენით მოვაჭრე ცდილობს მოხელის დაყოლიებას სხვა პირისათვის სასარგებლო გადაწყვეტილების მისაღებად, იგი ფაქტობრივი მოცემულობით გვევლინება წამქეზებლის ამპლუაში, თუმცა, იურიდიული თვალსაზრისით კი არის ზეგავლენით ვაჭრობის დანაშაულის ამსრულებელი. ასევე, ორივე შემთხვევაში როგორც შუამავალი, ასევე ზეგავლენით მოვაჭრე, უშუალოდ ვერ იღებს მონაწილეობას „საქმის მოგვარების“ პროცესში, ისინი არსებითად დამოკიდებულნი არიან გადაწყვეტილების უშუალოდ

მიმღებ პირზე – მოხელეზე. შესაბამისად, მექრთამეობაში შუამავალი და ზეგავლენით მოვაჭრე, ფაქტობრივი თვალსაზრისით, ემსგავსებიან ერთმანეთს, ვინაიდან ასრულებენ ერთსა და იმავე სახის ქმედებებს, თუმცა სამართლებრივი შედეგების მიხედვით ისინი წარმოადგენენ მკვეთრად განსხვავებულ სუბიექტებს. კერძოდ, პირველ შემთხვევაში მექრთამეობაში შუამავალი, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, არის ქრთამის მიცემის ან აღების თანამონაწილე, ხოლო ზეგავლენით ვაჭრობის შემთხვევაში კი – ზეგავლენით მოვაჭრე არის უშუალოდ აღნიშნული დანაშაულის ამსრულებელი. მაგალითად, როდესაც მეუღლე ურჩევს თავის მოსამართლე ქმარს, რომ აიღოს საჩუქრად მიღებული ავტომობილი და გამოიტანოს საჩუქრის მიმცემის სასარგებლო გადაწყვეტილება, ამ შემთხვევაში მეუღლე ჩაითვლება ქრთამის აღებაში თანამონაწილედ, კერძოდ, იგი იქნება წამქეზებელი. ხოლო უკეთუ მას აჩუქეს ავტომობილი და ამის გამო იგი სთხოვს მოსამართლე ქმარს, რომ მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება „მისი მეგობრის“ მიმართ, ამ შემთხვევაში ცოლი არის პასიური ზეგავლენით მოვაჭრე.

მექრთამეობისა და ზეგავლენით ვაჭრობის პრაქტიკულ დონეზე გამიჯვნის სირთულისა და თავად „არამართლზომიერი ზეგავლენის“ არსის ბუნდოვანების საფუძვლით, რამდენიმე ევროპულმა ქვეყანამ უარი განაცხადა ზეგავლენით ვაჭრობის ქმედების კრიმინალიზაციაზე. მაგალითად, მართალია, გერმანიამ ოფიციალური დათქმა არ გააკეთა ევროპის საბჭოს 1999 წლის „კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენციის“ მე-12 მუხლზე, თუმცა აღნიშნული ქმედების კრიმინალიზაცია არ მოუხდენია. ანალოგიურად, ჰოლანდიაშიც არ მომხდარა აღნიშნული ქმედების კრიმინალიზაცია. მათი განმარტებით, „მექრთამეობის მომწესრიგებელი კანონმდებლობა, მცდელო-

14 იქვე. გვ. 417.

ბისა თუ თანამონაწილეობის ინსტიტუტის ჩათვლით, საკმარისად უზრუნველყოფს სახელმწიფო აპარატის დაცვას არასანქცირებული ზეგავლენისაგან და, აქედან გამომდინარე, საჭიროდ არ მიაჩნიათ აღნიშნული ქმედების ცალკე დანაშაულად სისხლის სამართლის კოდექსში გამოყოფა¹⁵. შვედეთში კი ხაზს უსვამენ „არამართლზომიერი ზეგავლენის“ არსისა და ფარგლების ბუნდოვანებას¹⁶. აღნიშნულ საკითხზე ანალოგიური მიდგომა არსებობს ასევე დანიამიც. მათი შეხედულებით, „ზეგავლენით ვაჭრობა ნაწილობრივ შერწყმულია კერძო სექტორში არსებულ მეურთაშობის დანაშაულთან, თანამონაწილეობის ასპექტში“. ასევე მიუთითებენ, აღნიშნული დანაშაულის რთულ სტრუქტურაზე¹⁷.

ახლა საინტერესოა მოკლედ განხილულ იქნეს იმ ქვეყნების კანონმდებლობა, რომლებშიც ზეგავლენით ვაჭრობა ცალკე დანაშაულად არის გამოცხადებული. ნორვეგიის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, „დასჯადაა გამოცხადებული აქტიური და პასიური ზეგავლენით ვაჭრობა“. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით, ნორვეგიის სისხლის სამართლის კოდექსში დაზუსტებულია აღნიშნული ქმედების სუბიექტი. კერძოდ, ცალკე ნაწილებადაა გათვალისწინებული აქტიური და პასიური ზეგავლენით ვაჭრობა ჩადენილი მოხელის მიერ და ანალოგიური ქმედებები ჩადენილი ჩვეულებრივი სუბიექტის მიერ¹⁸.

ამდენად, ნორვეგიაში პირდაპირ საკანონმდებლო დონეზეა გაწერილი მოხელის მიერ როგორც აქტიური, ასევე პასიური ზეგავლენით ვაჭრობის ჩადენის შესაძლებლობა. ნორვეგიის სისხლის-სამართლებრივი კანონმდებლობით: „ზეგავლენით ვაჭრობის შემადგენლობა სახეზეა მაშინ, როდესაც ზეგავლენით მოვაჭრე იყენებს თავის სტატუსს საჯარო მოხელეზე არამართლზომიერი გავლენის მოსახდენად თავისი კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ. ხოლო პასიური მეურთაშობა კი მოითხოვს, რომ სასურველი გადაწყვეტილება ნაწილობრივ მაინც ექცეოდეს დამნაშავის სამსახურებრივი კომპეტენციის სფეროში“¹⁹. ესპანეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, დასჯადაა გამოცხადებული მხოლოდ პასიური ზეგავლენით ვაჭრობა ჩადენილი საჯარო მოსამსახურის ან ჩვეულებრივი სუბიექტის მიერ²⁰. აქვე აღსანიშნავია, რომ ესპანეთის კანონმდებლობით დასჯად არაა გამოცხადებული აქტიური ზეგავლენით ვაჭრობა“. ზეგავლენით ვაჭრობის დანაშაულის შემადგენლობა პირველად ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსში გამოჩნდა 1928 წელს, თუმცა მან იარსება 1944 წლამდე, ამის შემდგომ თაღლითობად კვალიფიცირდებოდა ის შემთხვევა, როდესაც დამნაშავე ატყუებდა დაინტერესებულ პირს, რომ მას შეეძლო ზეგავლენის მოხდენა მოხელეზე, თუმცა, ფაქტობრივად მას არ გააჩნდა არც

15 Slingerland, W., 2010. Trading in influence: Corruption Revizited. Saxion university, გვ. 3. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.law.kuleuven.be/integriteit/egpa/egpa2010/slingerland_trading-in-influence.pdf> [წვდომის თარიღი 25 ნოემბერი 2021].

16 იქვე. გვ. 4.

17 Slingerland, W., 2010. Trading in influence: Corruption Revizited. Saxion university, გვ. 3-4. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.law.kuleuven.be/integriteit/egpa/egpa2010/slingerland_trading-in-influence.pdf> [წვდომის თარიღი 25 ნოემბერი 2021].

18 Philipp, J., 2009. The Criminalization of Trading in influence in international anti-corruption laws. South Africa: University of the Western Cape, გვ. 34.

19 იქვე. გვ. 35.

20 Philipp, J., 2009. The Criminalization of Trading in influence in international anti-corruption laws. South Africa: University of the Western Cape, გვ. 37-38.

რეალური და არც სავარაუდო ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა.²¹

მექრთამეობასა და ზეგავლენით ვაჭრობის ურთიერთმიმართების საკითხზე უნდა აღინიშნოს შემდეგი, კერძოდ, მექრთამეობა, თავისი არსითა და ფუნქციური დანიშნულებით, პირდაპირ და ასრებითად დაკავშირებულია მოხელესთან. კერძოდ, აღნიშნული დანაშაულის მთავარი ფიგურანტი არის მოხელე, რომელიც უკანონოდ იღებს მატერიალურ ან არამატერიალურ სარგებელს მის კომპეტენციაში შემავალ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების სანაცვლოდ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღნიშნული ქმედების დანაშაულად გამოცხადებით, სახელმწიფოს სურს, რომ მოხელეებისათვის მიკუთვნებული სამსახურებრივი მდგომარეობა მოხმარდეს მხოლოდ სახელმწიფოს კანონიერ ინტერესებს და იგი არ იქცეს მათი გამდიდრების წყაროდ. ესე იგი აქ აქცენტი გადატანილია სწორედ იმაზე, რომ მოხელემ „არ ივაჭროს“ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით. სულ სხვა ვითარებაა ზეგავლენით ვაჭრობის დანაშაულის შემთხვევაში, აქ აქცენტი გადატანილია არა უშუალოდ მოხელეზე, არამედ იმ პირზე, რომელიც პირადი სარგებლის მიღების საფუძვლით შეეცდება მოხელეზე არამართლზომიერო ზეგავლენის მოხდენას, ხოლო, თუ მოხელე მოექცევა აღნიშნული ზეგავლენის ფარგლებში და მიიღებს უკანონო გადაწყვეტილებას, იგი პასუხისგებაში მიეცემა არა უშუალოდ ქრთამის აღებისათვის, არამედ – სამოხელეო დანაშაულის სხვა მუხლით (მაგალითად, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზეგავლენით ვაჭრობა სწორედ იმიტომ არ წარმოადგენს კორუფციული დანაშაულის კლასიკურ სახეს, რომ ამ შემთხვევაში უშუალოდ მოხელე არაა ჩართული კორუფციულ გარიგებებსა და სარგებლის მიღების

პროცესებში. იმისათვის, რომ მექრთამეობა იყოს სახეზე, აუცილებელია იკვეთებოდეს აღნიშნული დანაშაულის მთავარი ფიგურანტის – მოხელის უშუალო მონაწილეობა კორუფციულ პროცესებში, ეს უკანასკნელი კი ცალსახად არ იკვეთება ზეგავლენით ვაჭრობის შემადგენლობაში.

ამდენად, ზეგავლენით ვაჭრობის შემადგენლობის არარსებობის შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიღმა რჩებიან ის პირები, რომელთა ძალისხმევითაც მოხელემ განახორციელა უკანონო ქმედება, კერძოდ, სხვა სამოხელეო დანაშაული (მაგრამ არა ქრთამის აღება). ამ შემთხვევაში ამ პირების მექრთამეობაში შუამავლად მიჩნევა და მათი ქმედების თანამონაწილეობად დაკვალიფიცირება სამართლებრივად უსაფუძვლოა, ვინაიდან სახეზე არ გვყავს მექრთამეობის სუბიექტი – მოხელე, ურომლისოდაც აღნიშნული შემადგენლობა არ არსებობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ მექრთამეობა თავისი კლასიკური გაგებით არ მოიცავს ზეგავლენით ვაჭრობის შემადგენლობის ნიშნებს, ამდენად, ამ უკანასკნელის ცალკე დანაშაულად სისხლის სამართლის კოდექსში არსებობა აუცილებელია, როგორც უკვე აღინიშნა, ქართულ სამართალმეფარდების პროცესში აღნიშნული დანაშაულების გამიჯვნის პრობლემა დგება მაშინ, როდესაც სუბიექტად გვევლინება მოხელე, რომელიც არ იყენებს სამსახურებრივ ავტორიტეტს. აღნიშნულ შემთხვევებში საქმის სწორად გადაწყვეტა არსებითად დამოკიდებულია სწორედ საქმის ფაქტობრივი გარემოებების სიღრმისეულ შესწავლასა და შემდგომში მათ სწორ სამართლებრივ შეფასებაზე.

21 იქვე. გვ.37.

დასკვნა

მართალია, ქრთამის აღებასა და ზეგავლენით ვაჭრობას გააჩნია საერთო ნიშნები, თუმცა ისინი თავიანთი არსითა და დანიშნულებით მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მთავარი (კონსტიტუციური) განმასხვავებელი ნიშანი გახლავთ ის, რომ ზეგავლენით ვაჭრობისას, განსხვავებით ქრთამის აღება-მიცემისაგან, წინა პლანზეა წამოწეული პირადი ხასიათის (ახლობლური, მეგობრული, ნათესაური და ა.შ.) ურთიერთობები, რომლებიც დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების უმთავრეს მამოძრავებელ ძალად (მოტივად) გვევლინებიან. როგორც ზემოთ განხილულ გადაწყვეტილებაში გამოჩნდა, რომ ამ დანაშაულების გამიჯვნის პრობლემა დგება მაშინ, როდესაც ამსრულებლად გვევლინება მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, როდესაც საქმეში ფიგურირებს მოხელე, ეს უპირობოდ არ უნდა ჩაითვალოს მის მიერ თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებად და შესაბამისად, ეს ვითარება არ უნდა ვაქციოთ თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენების პრეზუმფციად.

ამ შემთხვევაშიც ქმედების სწორად კვალიფიკაციისათვის უნდა დადგინდეს, მოხელე დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებლად სხვა მოხელეზე თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით ახდენს არამართლზომიერ ზეგავლენას თუ პირადი ხასიათის ურთიერთობიდან გამომდინარე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მოხელე უნდა ჩაითვალოს კერძო პირად, დანაშაული კი უნდა დაკვალიფიცირდეს ზეგავლენით ვაჭრობის მუხლით. როგორც ზემოთაც დავინახეთ, აღნიშნულ საკითხთან მიმართებით საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკის პოზიცია ანალოგიურია, რაც მთლიანობაში თანხვედრაში მოდის ევროპის საბჭოს კონვენციის სულისკვეთებასთან.

ამდენად, შემდგომში სასამართლო შეცდომებისა და მცდარი პრაქტიკის ჩამოყალიბების პრევენციის მიზნით, მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ გააკეთოს მნიშვნელოვანი განმარტება, რომელიც იქნება ერთგვარი სახელმძღვანელო სტანდარტი ქვედა ინსტანციის სასამართლოებისათვის ანალოგიურ საქმეებთან დაკავშირებით.

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლეკვიძელი, მ., მამულაშვილი, გ. და თოდუა, ნ., 2020. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი მეორე, მეექვსე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი.
2. მაყაშვილი, ვ. და ტყეშელიძე, გ., 1964. პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
3. ღლონტი, გ. და სხვები. 2011. კორუფცია საქართველოში, კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი.
4. Ferguson, G., 2018. Global Corruption, law, theory, practice, Third edition. Canada: University of Victoria.
5. Philipp, J., 2009. The Criminalization of Trading in influence in international anti-corruption laws. South Africa: University of the Western Cape.

ინტერნეტ რესურსები:

1. Anti – Corruption resource centre. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.u4.no/terms>> [წვდომის თარიღი 20 ნოემბერი 2021].
2. Slingerland, W., 2010. Trading in influence: Corruption Revizited. Saxion university. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.law.kuleuven.be/integriteit/egpa/egpa2010/slingerland_trading-in-influence.pdf> [წვდომის თარიღი 25 ნოემბერი 2021].

ნორმატიული მასალა:

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ. ნიუ იორკი, 2004. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.unodc.org/documents/brussels/UN_Convention_Against_Corruption.pdf> [წვდომის თარიღი 20 ნოემბერი 2021].
2. ევროპის საბჭოს „კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენცია“. სტრასბურგი, 27/01/1999.
3. საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. პარლამენტის უწყებანი 22/07/1999. # 2287.

სასამართლო პრაქტიკა:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 ივლისის განაჩენი (საქმე N 128 აპ-16).
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 25 იანვრის განაჩენი (საქმე N 497 აპ-16).

Bibliography:**Used Literature:**

1. Lekveishvili, M., Mamulashvili, G. and Todua, N., 2020. Criminal law, private part, book two, sixth edition. Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
2. Makashvili, V. and Tkesheliadze, G., 1964. The responsibility for bribery. Tbilisi: soviet Georgia. (in Georgian)
3. Ghlonti, G. and others, 2011. Corruption in

Georgia. Criminology analyse and commentary of Judicial practice. Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi state university Tinatin Tsereteli state and law institute (in Georgian)

4. Ferguson, G., 2018. Global Corruption, law, theory, practice, Third edition. Canada: University of Victoria. (in English)
5. Philipp, J., 2009. The Criminalization of Trading in influence in international anti-corruption laws. South Africa: University of the Western Cape. (in English)

Internet Resources:

1. Anti–Corruption resource centre. [online] available at: <<https://www.u4.no/terms>> [Accessed 20 November 2021]. (in English)
2. Slingerland, W., 2010. Trading in influence: Corruption Revizited. Saxion university. [online] available at: <https://www.law.kuleuven.be/integriteit/egpa/egpa2010/slingerland_trading-in-influence.pdf> [Accessed 25 November 2021]. (in English)

Normative Materials:

1. Criminal Law Convention on Corruption. Strasbourg 27/01/1999. (in English)
2. United Nations Convention against Corruption. New York 2004. [online] available at: <https://www.unodc.org/documents/brussels/UN_Convention_Against_Corruption.pdf> [Accessed 20 November 2021]. (in English)
3. Law of Georgia Criminal Code of Georgia. The Notifications of Parliament 22/07/1999. # 2287. (in Georgian)

Judicial practice:

1. Decision of Supreme Court of Georgia, July 8, 2016 (Case N128 ap-16). (in Georgian)
2. Decision of Supreme Court of Georgia, January 25, 2017 (Case N497 ap-16). (in Georgian)

References:

1. Maqhashvili, V. and Tqesheliadze, G., 1964. The Responsibility for Bribery. Tbilisi: Soviet Georgia, p. 44. (in Georgian)

2. Lekveishvili, M., Mamulashvili, G. and Todua, N., 2020. Criminal Law, private part, book two, sixth edition. Tbilisi: Meridiani, p. 392. (in Georgian)
3. United Nations Convention Against Corruption. New York 2004. [online] available at: <https://www.unodc.org/documents/brussels/UN_Convention_Against_Corruption.pdf> [Accessed 20 November 2021]. (in English)
4. Philipp, J., 2009. The Criminalization of Trading in Influence in International Anti-Corruption Laws. South Africa: University of the Western Cape, p. 15. (in English)
5. Lekveishvili, M., Mamulashvili, G. and Todua, N., 2020. Criminal Law, private part, book two, sixth edition. Tbilisi: Meridiani, p.415. (in Georgian)
6. Anti-corruption resource centre. [online] available at: <<https://www.u4.no/terms>> [Accessed 20 November 2021]. (in Georgian)
7. Ghloni, G. and others, 2011. Corruption in Georgia, Criminology Analyse and Commentary of Judicial Practice. Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi state university Tinatin Tsereteli State and Law Institute, p. 314. (in Georgian)
8. Decision of Supreme Court of Georgia, 25 January 2017 (Case N 497 ap-16). (in Georgian)
9. Law of Georgia Criminal Code of Georgia. The Notifications of Parliament 22/09/1999. # 2287. (in Georgian)
10. Criminal Law Convention on Corruption. Strasbourg 27/01/1999. (in English)
11. Lekveishvili, M., Mamulashvili, G. and Todua, N., 2020. Criminal Law, private part, book two, sixth edition. Tbilisi: Meridiani, p. 412. (in Georgian)
12. Decision of Supreme Court of Georgia, July 28 2016 (Case N128 ap-16). (in Georgian)
13. Lekveishvili, M., Mamulashvili, G. and Todua, N., 2020. Criminal law, private part, book two, sixth edition. Tbilisi: Meridiani, p. 412. (in Georgian)
14. Ibid. p. 417.
15. Slingerland, W., 2010. Trading in influence: Corruption Revizited. Saxion university, p. 3. [online] available at: <https://www.law.kuleuven.be/integriteit/egpa/egpa2010/slingerland_trading-in-influence.pdf> [Accessed 25 November 2021]. (in English)
16. Ibid. p. 4.
17. Slingerland, W., 2010. Trading in influence: Corruption Revizited. Saxion university, pp. 3-4. [online] available at: <https://www.law.kuleuven.be/integriteit/egpa/egpa2010/slingerland_trading-in-influence.pdf> [Accessed 25 November 2021]. (in English)
18. Philipp, J., 2009. The Criminalization of Trading in Influence in International Anti-Corruption Laws. South Africa: University of the Western Cape. p. 34. (in English)
19. Ibid. p. 35.
20. Ibid. pp. 37-38.
21. Ibid. p. 37.

სამართლის მეცნიერთა კავშირის HERALD OF LAW

სამართლის მეცნიერთა კავშირის
საერთაშორისო სამეცნიერო
რეფერირებადი ჟურნალი

International refereed
Scientific Journal of The Union
of Law Scientists

E ISSN 2667-9434

www.heraldoflaw.com

Email: info@heraldoflaw.com